საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

7 ივნისი ხუთშაბათი 2012 №133 (13 739) ფასი 80 თეთრი

საქართველოს ნაკრების კაპიტანი

## ირაკლი აბუსერიძე

უკრაინის ეროვნულ გუნდთან მატჩში, ქართული რაგბისთვის საიუბილეო,

## მე-80 კეპს მოიხვეჭს



13 ირაკლი აბუსერიძე თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ფაჩულია ლეიკერსში?



11

ზაზა ფაჩულია (უკანა პლანზე) და პაუ გასოლი

## ჩემპიონატს კლუბები მიხედავენ

პროფლიგის აღდგენა აუცილებელია!



3

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო




# ლელოს ხვალინდელ ნომერთან ერთად

ევროპის ჩემპიონატისადმი მიძღვნილი პლაკატი-გზამკვლევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● ტრანსფერი


ალექსანდრე იაშვილი (მარჯვნივ) ბოხუმში წარადგინეს

# იაშვილს ბოხუმის მაისურა გადასცეს

**ალექსანდრე იაშვილის** "ბოხუმში" ტრანსფერის შესახებ უკვე გაცნობეთ, გუშინ კი გერმანულმა მედიამ და კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა ვეტერანი ქართველი ფორვარდის პრეზენტაციის ამსახველი ფოტოები გაავრცელეს. იაშვილმა "ბოხუმთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

"საკმაოდ ახალგაზრდული გუნდი გვყავს, რომელსაც იაშვილის მსგავსი გამოცდილი ფეხბურთელი ძალიან სჭირდებოდა და მოხარულები ვართ, იგი კარიერას ჩვენთან რომ გააგრძელებს. იაშვილს საგოლე თვისებები ჯერაც არ დაუკარგავს და შედეგიანი გადაცემების შესრულებაც ძველებურად შეუძლია", - განაცხადა "ბოხუმის" მთავარმა მწვრთნელმა **ანდრეას ბერგმანმა.**

"ბოხუმი" ერთ-ერთი უძველესი გერმანული კლუბია და მის შემადგენლობაში თამაში ჩემთვის დიდი პატივია. კარიერის დასრულებაზე არ მიფიქრია, რამდენიმე საინტერესო წინადადებიდან კი უპირატესობა "ბოხუმის" ვარიანტს მივანიჭე. საკმაოდ მზარდი კლუბია და დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში უკეთეს შედეგს აჩვენებს", - ეს თავად იაშვილის კომენტარია.

მის კარიერაში "ბოხუმი" მეოთხე გერმანული კლუბი იქნება "ლიუბეკის", "ფრაიბურგისა" და "კარლსრუეს" შემდეგ. იაშვილი გერმანიაში 1997 წელს გადავიდა და პირველ ბუნდესლიგაში 198 მატჩი და 33 გოლი, ხოლო მეორე ბუნდესლიგაში – 213 მატჩი და 46 გოლი მოუგროვდა.

ზედმეტია იმის შეხსენება, რომ იგი "ბოხუმის" ღირსებას **ნიკოლოზ გელაშვილთან** ერთად დაიცავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● U 18. ინტერვიუ კახა კაჭარავასთან

# ხორვატიამდე დარჩა ხუთი თვე

**საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა (1994 წელს დაბადებულები) მზადება უკვე დაიწყო და რამდენიმე ამხანაგური მატჩიც ჩაატარა. ეს ის გუნდია, რომელიც მალე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების სტატუსს მიიღებს და შემოდგომაზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში ითამაშებს.**

**ამ ნაკრებს კახა კაჭარავა ხელმძღვანელობს, რომელიც გუშინ ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ მატჩს ესწრებოდა – პირველ ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელებისგან ოთხი ნაკრები შეიქმნა და ერთმანეთში ითამაშეს. სელექციის მხრივ მართლაც საინტერესო ტურნირი იყო, რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი გამოჩნდა, უმაღლეს ლიგის წამყვან გუნდებში თამაშზე თავისუფლად რომ განაცხადებდა პრეტენზიას.**

**კაჭარავასთან საუბარი იმით დავიწყეთ, თუ ზოგადად რა ვითარებაა იმ ასაკის ფეხბურთელებში, მას რომ უწევს მუშაობა.**



**- ქართულ ფეხბურთს პრობლემები არ აკლია, როცა ეს ნაკრები ჩაიბარეთ, ალბათ კიდევ უფრო კარგად დაინახეთ, თუ სად არის მთავარი ხარვეზი...**

- ყველაზე დიდი პრობლემა ტაქტიკურად გამართული თამაშის მიღწევაა. რამდენიმე ამხანაგური მატჩი ვითამაშეთ და ამ მხრივ ბევრი ხარვეზი დავინახე. პრობლემაა ფიზიკური მომზადებაც, ამ საკითხის გადაჭრას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. საქართველოს უმაღლეს ლიგაში 3-4 გუნდს თუ ჰყავს ფიზმომზადების მწვრთნელი, არადა, პირველი ლიგის ყველა გუნდშიც უნდა იყოს ასეთი სპეციალისტი.

**- უახლოესი შეკრება როდის გექნებათ?**

- ივლისის ბოლოს ბელარუსში წავალთ, 22 და 26 ივლისს შესაბამისად ბელარუსის და ისრაელის ნაკრებს შევხვდებით. ყველანაირად ვეცდებით, რომ დარჩენილი დრო ნაყოფიერად გამოვიყენოთ, შესარჩევი ეტაპის ჯგუფში პირველი მატჩი 26 ოქტომბერს გაიმართება. ტურნირი ხორვატიაში ჩატარდება, მასპინძლების გარდა ჩვენი მეტოქეები ისლანდია და აზერბაიჯანი იქნებიან. საკმაოდ რთული ჯგუფია, ხელწამოსაკრავი არავინაა, ისლანდიამ ხომ წლეულს 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც ითამაშა.

**- საქართველოს იმ 19-წლამდელთა ნაკრებიდან თუ აპირებთ ფეხბურთელების დამატებას, ახალხან რომ ითამაშეს ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდზე? არის იმის საშუალებაც, რომ ვასილ მაისურაძის გაწვრთნილი 17-წლამდელთა ნაკრებიდანაც აიყვანოთ ფეხბურთელები...**

- თუ რომელიმე რგოლის ასეთნაირად შევსება აუცილებელი გახდა, არ არის გამორიცხული, რომ მაისურაძის გუნდიდან დავიმატოთ ფეხბურთელები. შესაძლოა, ოთარ კორღალიძის გაწვრთნილი 19-წლამდელთა ნაკრებიდანაც ავიყვანოთ მოთამაშეები: სანდოხაძე, სამუშია...სასიხარულოა, რომ ტრავმის შემდეგ ვარჯიში განაახლა ნიჭიერმა თავდამსხმელმა არაბულმა. ერთი სიტყვით, სელექციის პროცესი მიმდინარეობს.

**- შეიძლება ითქვას, რომ ნაკრების ბირთვი უკვე ჩამოყალიბებულია?**

- ამ ნაკრებში არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც უკვე თამაშობენ უმაღლეს ლიგაში, მაგალითად, ენდელაძე - "ბაიაში", სამუშია -"ზესტაფონში", ფანცულაია -"ტორპედოში"....

**- სანამ ნაკრების მწვრთნელად დაგნიშნავდნენ, თბილისის "დინამოს" თავკაცობდით. ახლა ალბათ უფრო თავისუფლად შეგიძლიათ ისაუბროთ იმაზე, თუ რა ხდებოდა "დინამოში"...**

- ჩემპიონობა ვერ მოვიპოვეთ, შემდეგ "დინამოში" ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა და თავიანთი სამწვრთნელო გუნდი მოიყვანეს. მეც "დინამოდან" წამოსვლა მომიხდა. ვფიქრობ, ამით განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

**- იყო თბილისის "დინამოს" მწვრთნელი – ეს ალბათ ისეთი თანამდებობაა, თავისი სპეციფიკა რომ აქვს – რა არის ეს სპეციფიკა?**

- მწვრთნელს დრო უნდა მისცენ, ერთ-ორ დღეში გუნდი არ კეთდება, პროგრამა მინიმუმ ორი ან სამწლიანი უნდა იყოს და აქცენტი ახალგაზრდებზე უნდა კეთდებოდეს. ფაქტია, რომ სწორედ "დინამოში" დაწინაურდნენ მათე ვაწაძე, სანდრო კობახიძე, გიორგი ლორია...

**დავით თავართქილაძე**

● ფიფას რეიტინგი



# საქართველოს ნაკრები 95-ე ადგილზე დარჩა

**გუშინ** ფიფასა და "კოკა-კოლას" მორიგი ერთობლივი რეიტინგი გამოქვეყნდა, სადაც საქართველოს ნაკრების პოზიცია უცვლელია. შეგახსენებთ, ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა მაისში მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა – თურქეთთან ამხანაგურად 1:3 დამარცხდა, მაგრამ ამის მიუხედავად, არ დაქვეითებულა და კვლავ 95-ე საფეხურზეა.

რაც შეეხება მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენს მეტოქეებს, ესპანეთი რეიტინგს კვლავ ლიდერობს, საფრანგეთი ორი საფეხურით დაწინაურდა და მე-14-ეა, ბელარუსმა 69-ე ადგილი შეინარჩუნა, ფინეთი კი 79-ედან 75-ე პოზიციამდე დაწინაურდა.

რეიტინგის ზედა ათეულში უმთავრესი ცვლილება ისაა, რომ ურუგვაიმ გერმანიას მეორე ადგილი წაართვა, პორტუგალია კი მე-5-დან მე-10 ადგილამდე დაქვეითდა.

მსოფლიოს ათი საუკეთესო ნაკრების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

1. ესპანეთი
2. ურუგვაი
3. გერმანია
4. ჰოლანდია
5. ბრაზილია
6. ინგლისი
7. არგენტინა
8. ხორვატია
9. დანია
10. პორტუგალია

...95. საქართველო

**ლევან ჯანეზაშვილი**

● დინამო

# რომან ფიფია: გოგუა, სავარაუდოდ, წავა

## დინამოს პრობლემა საქორწინო ხელშეკრულებებია

**სეზონი** თბილისის "დინამოსთვის" სავალალოდ დასრულდა – საქართველოს ყველაზე ცნობილი და ტიტულოვანი კლუბი საპრიზო სამეულს მიღმა პირველად აღმოჩნდა. სწორედ ეს გახდა მიზეზი, სეზონის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე კლუბის მეპატრონემ **რომან ფიფიამ** რომ ბრძანა: დიდ საკადრო ცვლილებებს ვამზადდებთო.

ცნობილი გახდა, რომ ფიფიამ რუსთავის სპორტული დირქტორის პოსტი "მეტალურგის" მმართველ დირექტორს, **ბუბა ტყავაძეს** შესთავაზა. შემადგენლობაშიც დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი, მაგრამ ცნობილი მხოლოდ რამდენიმე წამსვლელის ვინაობაა – **ირჟი ჰომოლას** კონტრაქტი დაუსრულდა და გუნდს მისი გაგრძელება აღარ შეუთავაზებია, **მამუკა ლომიძემ** თავად გამოთქვა სლოვაკეთში დაბრუნების სურვილი, **გულვერდ თომაშვილი** გორის "დილაში" გადავიდა, გამოცდილმა მეკარე **სოსო გრიშიკაშვილმა** კი კარიერა დაასრულა.

ფიფიამ რამდენიმე საინტერესო ამბავი გაგვიმხილა: "შემადგენლობის განახლება ნამდვილად გვსურს, მაგრამ ჯერ ვერ გეტყვით, ვინ დაგვტოვებს. მაგალითად, ჰომოლა ნამდვილად დაგვემშვიდობა. მაგრამ არიან ისეთი ფეხბურთელებიც, რომლებმაც ლამის "საქორწინო ხელშეკრულებები" გააფორმეს და ეს თავადაც იციან. ულირსები ამით სარგებლობენ, ნორმალური და ღირსეული ადამიანები კი ამას არ კადრულობენ. რას ვიზამთ, არის ფიფა, კანონი და ამ კანონებს დავიცავთ. ამიტომ, ასეთი ფეხბურთელები იძულებულები იქნებიან თამაშის ხარისხს მაინც მოუმატონ, ეს ერთი წელი "დინამოში" რომ გაძლონ"

თუმცა, "დინამოს" მეპატრონეს აღარ დაუკონკრეტებია, ვის გულისხმობდა. სეზონის დასრულების შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გუნდს ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგადან" ჩამოყვანილი **გოგიტა გოგუაც** დატოვებდა: "სავარაუდოდ, ასე იქნება და ალბათ, გოგუა თამაშს სხვაგან გააგრძელებს. სხვა წამსვლელებზე ვერაფერს გეტყვით. ორ კვირაში ამაზე ბუბა ტყავაძე დაგელაპარაკებათ".

ფიფიამ ფეხბურთის ფედერაციის 21-ე ყრილობას რიგგარეშე ყრილობის ჩატარებისა და ალმასკომის განახლების ინიციატივით მიმართა. თუმცა, დელეგატების უმრავლესობამ წინადადება ჩააგდო: "არა უშავს, თანამშრომლობის იმედი მაინც მაქვს. პროფლიგის ჩამოყალიბება კლუბების უფლებების გაზრდას ნიშნავს და ეს მაიმედებს".

**მერაბ მამულაშვილი**



საქართველოს ჩემპიონატი

# ფედერაციამ ჩემპიონატი კლუბებს გადააბარა

## სისტემაზე დღეს დილმის ბაზაზე შეთანხმდებიან

რამდენი გუნდი ითამაშებს საქართველოს ჩემპიონატში და რა სისტემით? ფეხბურთის ფედერაციის 21-ე ყრილობაზე დაადგინეს, რომ 2012-2013 წლების სეზონში მონაწილეთა რაოდენობა არ გაიზრდება, მაგრამ ჩემპიონატის სისტემაზე დისკუსია გადადეს და გუშინ ფედერაციაში გააგრძელეს.

საბოლოო გადაწყვეტილება ვერც ამ შეხვედრაზე მიიღეს, მაგრამ სასურველი სისტემის კონტურები გამოიკვეთა და კიდევ – კლუბების წარმომადგენლები პროფლიგის ჩამოყალიბებაზე შეთანხმდნენ. დღეს კი თბილისის "დინამოს" დილმის ბაზაზე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ.

შეხვედრის შემდეგ კლუბების ხელმძღვანელებს კომენტარები ჩამოვართვით.



მარცხნიდან: ილია კოკაია, ლევან ფხაკაძე, რომან ფიფია — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**ლევან ფხაკაძე** ("ტორპედოს" პრეზიდენტი): *"ყველანი შევთანხმდით, რომ პროფლიგის აღდგენა აუცილებელია და მომავალი ჩემპიონატი ლიგის ხელმძღვანელობით უნდა ჩატარდეს. ხვალ შევიკრიბებით და ვიმსჯელებთ მის დებულებაზე, სტრუქტურაზე, ფუნქციებზე და ვფიქრობ, რომ ეს ორგანიზაცია რამდენიმე დღეში აღდგება. მერე პროფლიგა გადაწყვეტს, ჩემპიონატი რა სისტემით ჩატარდეს და როდის უნდა დაიწყოს.*

*ჩემი მოსაზრებაა, რომ უნდა იყოს 12-გუნდიანი ჩემპიონატი, რომელიც შემდეგ ზედა და ქვედა ექვსეულებად გაიყოფა, ოღონდ ქულები შენარჩუნდება. ჯამში 32 თამაში გამოდის, კვირაში ერთი ტური იქნება, ნორმალურ დროს დაიწყება და დამთავრდება. მიმაჩნია, რომ უახლოეს კვირაში ბევრი რამ გაირკვევა".*

**რომან ფიფია** ("დინამოს" მეპატრონე): *"მთავარია, რომ პროფლიგა აღდგება და მისი მენეჯერის არჩევა მოგვიწევს, რაც სულაც არ იქნება იოლი საქმე. მიმაჩნია, რომ ხვალ ყველაფერი უნდა გადაწყდეს – რეგლამენტი, ჩემპიონატის დაწყება და ა.შ. რაც მთავარია, უნდა იყოს მეტი მატჩი. ჩემი აზრი სხვებისას დაემთხვა, აჯობებს 12-გუნდიანი ჩემპიონატი, რომელსაც 6-6 გუნდი გააგრძელებს. ისიც კარგია, რომ უკვე საქმე გადაწყვეტამდეა მიყვანილი".*

**ილია კოკაია** ("ზესტაფონის" პრეზიდენტი): ადრეც ვთქვი და ვიმეორებ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში უნდა ითამაშონ ლიცენზიის მქონე გუნდებმა. რეალობის გათვალისწინებით, არალიცენზირებულებიც უნდა დაუშვან, მაგრამ ჩემი და „ტორპედოს" მოთხოვნაა, რომ მხოლოდ კარგ მოედნებზე ვითამაშოთ. ეს ჩვენი ჩემპიონატის დონესა და პრესტიჟს წაადგება, გუნდებმა კი არსებული პრობლემები დროულად უნდა მოაგვარონ. თუ ეს გამოსწორდება და გუნდებს ნორმალურად დააფინანსებენ, 16 გუნდის მონაწილეობასაც სიამოვნებით დავთანხმდებით. ახლა ოპტიმალური ვარიანტი 12 გუნდია, სისტემას კი დეტალურად ხვალ განვიხილავთ..

**- პროფლიგის აღდგენაზე რას ფიქრობთ?**

- პროფლიგის შექმნა მისაღები იდეა, მაგრამ ძველი გამოცდილება და შეცდომები უნდა გავითვალისწინოთ. ორგანიზაციამ საქმიანობა ფინანსური პრობლემების გამო შეაჩერა. ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, იგივე რომ არ მოხდეს და პროფლიგის დაფინანსების წყაროები უნდა მოვიძიოთ.

**ზვიად სიჭინავა** (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი): მორჩა, ჩემპიონატს თავად კლუბები მიხედავენ. ჩატარდება პროფლიგის ყრილობა, აირჩევენ პრეზიდენტსა და აღმასკომის წევრებს. უპირველესად კი, ჩემპიონატის თარიღებზე უნდა შეთანხმდნენ. სხვათა შორის, კლუბების ასეთი აქტიურობა ძალიან მახარებს.

- [illegible] მინდა ყველ[illegible] მადლობა [illegible], ვისაც პროფლიგის აღდგენამ იმედი გაუღვიძა. ფეხბურთი იყო, არის და იქნება ფედერაციის. მათ სისტემა უნდა ჩამოაყალიბონ და ჩვენ უნდა შეგვითანხმონ, შემდეგ უეფაში რომ გავაგზავნოთ და მათი თანხმობა მივიღოთ.

პროფლიგის ჩამოყალიბება ფედერაციისთვისაც უკეთესი იქნება, რადგან ჩვენ ისედაც უამრავი საქმე გვაქვს. ვგულისხმობ სახელმწიფო და საერთოდ, ინფრასტრუქტურულ პროგრამებს. კარგია ისიც, რომ თავად კლუბები გაიგებენ, რა სირთულეებს უკავშირდება ლიცენზირება, მსაჯების ხელფასების დარიგება და ა.შ. საერთოდ, ამ პროცესს ძალიან იმედიანად ვუყურებ.

**- მართალია, რომ თქვენი ინიციატივით ლიგას გია ფირცხალავა უხელმძღვანელებს?**

- პრეზიდენტი თავად კლუბებმა უნდა აირჩიონ და მათ საქმიანობასა და არჩევანში არ ჩავერევი. პროფლიგა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელმაც ხელშეკრულება ფედერაციასთან უნდა გააფორმოს და შეასრულოს ყველა ის მოთხოვნა, რომელიც ფიფა-უეფას გააჩნია.

**- საორგანიზაციო ჯგუფს ვინ ხელმძღვანელობს?**

- ამ საკითხს თავად კლუბები მიხედავენ.

**- ფედერაცია ლიგას საპრიზო ფონდით დაეხმარება?**

- ჯერ ლიგა ჩამოყალიბდეს და საპრიზო ფონდზე მერე ვილაპარაკოთ. ძალიან ბევრი ლაპარაკი იყო მარკეტინგზე, როგორ უნდა შეიფუთოს ეს პროექტი და ბიზნესს რა სახით მივაწოდოთ.

**- სახეზე აშკარად გეტყობათ კმაყოფილება. ჩემპიონატის ჩატარება ასეთი ტანჯვა იყო?**

- ყოველთვის კმაყოფილი ვარ, როდესაც საქმე კეთდება, ხალხი მსჯელობს და დროს ერთმანეთის გინებაში არ გაჰყავთ. დღეს მხოლოდ "დილა" და "ბაია" არ იყვნენ, ყველა დანარჩენმა სატკივარზე ღიად ილაპარაკა. აქამდე არავის უფიქრია, ფული საიდან მოიზიდონ, ახლა კი საერთო ძალისხმევა დასჭირდებათ.

**მერაბ მამულაშვილი**

შემთხვევა

# აფრიკელი ფეხბურთელების შავი ბედი საქართველოში

## ტრეფიკინგი ქართული ინტერპრეტაციით

**ცნობილმა ვებგვერდმა "ევრაზიანეტმა" ქართული ფეხბურთის, უფრო ზუსტად კი ერთ ქართულ კლუბში დატრიალებული ამბების შესახებ საკმაოდ საინტერესო სტატია გამოაქვეყნა, სადაც საქართველოში ჩამოსული აფრიკელი ფეხბურთელების თავგადასავალია აღწერილი. ქართველ ფეხბურთელებს ერთი სული აქვთ, როდის წავლენ აქედან, ბევრ აფრიკელს კი ჩვენი დონის ქვეყანაში თამაშიც სანატრელი აქვს. მათმა ნაწილმა ეს ოცნება აისრულა და საქართველოს ჩემპიონატი კარიერული ნინსვლისთვის კარგადაც გამოიყენა, ნაწილს კი არ გაუმართლა. თუ რა შეემთხვათ მათ, ამის შესახებ ჟურნალისტების, პოლ რიმპლისა და იუსტინა მილნიკევიჩის ნაამბობს გთავაზობთ.**



20 წლის კამერუნელი მცველი **ისააკ ნიენგუ** ყოველნაირად ცდილობდა რომელიმე ევროპულ კლუბში მოწყობას და ამ გზით სიღარიბისგან თავის დაღწევას. მას შეჰპირდნენ, რომ საქართველოს დედაქალაქ თბილისში, რეგიონული ლიგის ბინადარ კლუბ "ელიტაში" ჩაირიცხებოდა და ამ საქმისთვის ათას აშშ დოლარზე მეტი გამოართვეს. *"თბილისის აეროპორტში კლუბის მფლობელი დამხვდა და მითხრა, კეთილი იყოს შენი მობრძანება საქართველოშიო. როგორც კი მან საცხოვრებელში მიმიყვანა, მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც რიგზე ვერ იყო. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ კამერუნის რომელიღაც მიყრუებულ სოფელში მოვხვდი"*, - იხსენებს ნიენგუ, რომელიც მიტოვებულ ველოდრომზე მიუყვანიათ, სადაც ერთ ოთახში ათი ყმაწვილი ყოველგვარი ელემენტარული პირობებისა და გათბობის გარეშე ცხოვრობდა.

"ელიტის" მფლობელი ვინმე **გუგა ბაბაშვილი** იყო, რომლის კლუბიც ლიგაში სამონაწილეო თანხის, 2 ათასი ლარის (1 200 დოლარი) გადაუხდელობის გამო გათამაშებიდან მოიხსნა.

მთლიანობაში, გასული წლის აგვისტოში პროფესიული კარიერის აწყობის იმედად საქართველოს 11-მა კამერუნელმა ფეხბურთელმა მოაშურა, რისთვისაც მათ 2 500 დოლარი გადაიხადეს. მერე მათ დამატებით 1000-1000 დოლარის გადახდა მოსთხოვეს და აფრიკელებიც მიხვდნენ, რომ დიდ შარში იყვნენ გახვეულები.

კამერუნელებს უთხრეს, რომ მათ კონტრაქტით გარანტირებული ექნებოდათ საცხოვრებელი, საკვები, ჯიბის ფული და სამედიცინო დაზღვევა. არადა, როგორც თავად ჰყვებიან, ხშირად მშივრები დადიოდნენ, უმეტესად კი პურითა და წყლით უწევდათ დაკმაყოფილება.

*"ხშირად მინატრია კატის ან მტრედის ადგილზე ყოფნა, მათ ის მაინც შეეძლოთ, რომ საკვები ქუჩებსა და სკვერებში მოეძებნათ"*, - ამბობს 21 წლის **რეჯინალდ ესემი** და მადლიერებით იხსენებს, როგორ აჩუქა ქართველმა ხაბაზმა პური, ქართველმა მეზობელმა კი – ლოგინის თეთრეული.

ზემოთ ნახსენები ბაბაშვილი ადასტურებს, რომ კამერუნელებმა საქართველოში ჩამოსასვლელად ფული გადაიხადეს, მაგრამ უარყოფს, რომ ისინი საცხოვრებლად ველოტრეკზე განათავსა.

თერთმეტიდან ერთმა კამერუნელმა ფეხბურთელმა სამშობლოში დაბრუნება მოახერხა, დანარჩენი ათი კი საქართველოში ბუნდოვანი მომავლის პერსპექტივით რჩება. ქართულ კლუბებს მათი აყვანა შეუძლიათ, მაგრამ ჯერ ერთი ტრანსფერიც არ განხორციელებულა. შესაძლოა, ამას ხელს ლეგიონერის რეგისტრაციისთვის გადასახდელი 15 ათასი ლარიც უშლის.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა იციან აფრიკელ ფეხბურთელთა მძიმე მდგომარეობის შესახებ, მაგრამ მათ არაფრის გაკეთება შეუძლიათ. *"თუ რაიმე უკანონობა ხდება, ეს პოლიციის საქმეა და არა ფეხბურთის ფედერაციის"*, - აცხადებს ფედერაციის სატრანსფერო განყოფილების ხელმძღვანელი **ირაკლი ნაკაიძე.**

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, **ეკა ზღულაძემ** გვითხრა, სამინისტროსთვის აქამდე კამერუნელ ფეხბურთელთა პრობლემა უცნობი იყო. მან განაცხადა, რომ სამინისტრო საკითხს ყურადღებით შეისწავლის და საჭიროების შემთხვევაში ბაბაშვილის წინააღმდეგ საქმესაც აღძრავს.

კამერუნელები კი გამოუვალ მდგომარეობაში არიან – მათ სასამართლოსთვის საჭირო ფული არ გააჩნიათ, სამშობლოში დაბრუნებას კი სიკვდილი ურჩევნიათ. საქართველოში წამოსასვლელი თანხის მოსაგროვებლად ხომ მათ ნათესავებისა და მეზობლებისგან ვალები აიღეს.

საქართველოში მხოლოდ ფეხბურთელ აფრიკელებს არ ატყუებენ. ყოფილა შემთხვევა, როცა ვითომდა ტურისტულ სასწავლებელში მოსაწყობად აფრიკელი ახალგაზრდებისთვის 1 500 დოლარი გამოურთმევიათ და სინამდვილეში, ისინი "კვალიფიკაციის ასამაღლებლად" ერთ ექვსმაგიდიან ოთახში გაუმწესებიათ.

მოკლედ, აფრიკელ ახალგაზრდებს საქართველოში ჩასვლამდე დაფიქრება მართებთ. მათ ტყუილად ჰგონიათ, რომ ამერიკაში მიდიან.

მოამზადა
**ლევან ჟანეზაშვილმა**

სამზადისი



მერაბ გიგაური

# ტორპედოში მატებაა

ქუთაისის "ტორპედოს" მზადებასა და გუნდში მომხდარ ცვლილებებზე გუშინ ვიუწყებოდით. თუმცა, კიდევ რამდენიმე სიახლე შევიტყვეთ: სავარაუდოდ, "ტორპედოში" დაბრუნდება საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **მერაბ გიგაური,** რომელიც პოლონურ "იაგელონიაში" ერთწლიანი იჯარით თამაშობდა. პოლონური კლუბის თავკაცებს ახალგაზრდა ქართველის ტრანსფერის გამოსყიდვა სურდათ, ქართულ მხარესთან მოლაპარაკებაც დაიწყეს, მაგრამ გიგაურის თქმით, "ტორპედომ" მისი დაბრუნება გადაწყვიტა.

გიგაურის გარდა ქუთაისელთა მთავარ მწვრთნელს, **გია გეგუჩაძეს** ფოთის "კოლხეთის" შემტევი ნახევარმცველის **დათა სიჭინავასა** და რუსთავის "მეტალურგის" ნახევაემცველის **ზაზა ქელიძის** დაბრუნება სურს.

**მერაბ მამულაშვილი**

## ქართული ფეხბური

● 1001-ე სევდა

# ბესო ჩიხრაძე: შესაძლოა, გაგრადან წავიდე

## მსაჯები ძველი მილიციელებივით არიან


ბესო ჩიხრაძე

"გაგრას" პრეზიდენტი ბესო ჩიხრაძე არასოდეს გამოირჩეოდა სკანდალური განცხადებებით, მაგრამ ბოლო სეზონში განვითარებული მოვლენების შემდეგ ამბობს, რომ კლუბიდან წასვლაზე დაფიქრდა - მიზეზს ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

რუბრიკის მორიგ რესპონდენტთან ინტერვიუ იმ აქტუალურმა თემამ განაპირობა, რაც კლუბების მეპატრონეებს აწუხებთ.

**- სეზონი დასრულდა, "გაგრა" პირველ ლიგაში გავარდა და დაქვეითებული გუნდის დაფინანსებას ისევ აპირებთ?**

- ასე ვთქვათ: "გაგრა" იმიტომ არ არის შექმნილი, რომ მხოლოდ უმაღლეს ლიგაში ითამაშოს. დაბალ ლიგაში ასპარეზობა სამარცხვინო სულაც არ მგონია. მარამ ეს კლუბი უნდა არსებობდეს და იმედია, ადრე თუ გვიან, ჩვენ მშობლიურ გაგრაში ვითამაშებთ. სხვა საქმეა, რომ პირველ ლიგაში გავარდნას არ ვიმსახურებდით. ასე რომ, ჯერჯერობით კლუბში ვრჩები.

**- ჯერჯერობით?**

- თუ დაინტერესდებით, ამაზე ვრცლად შემდეგ ვილაპარაკოთ.

**- რატომ შემდეგ, ახლა ვილაპარაკოთ, რა გადარდებთ და გაწუხებთ?**

- ეს არის თემა, რომელიც ძალიან სერიოზულ პრობლემებს უკავშირდება. უპირველესად, მსაჯობასა და ფეხბურთში არსებულ სხვა პრობლემებს ვგულისხმობ.

**- ესეც დავაკონკრეტოთ.**

- სახელმწიფო ფეხბურთს სერიოზულად ეხმარება. ამაზე ადრე ვერც ვიოცნებებდით. კარგია, როდესაც ჩემპიონატსა და თასზე წარმატებულ გუნდებს მილიონ ლარს ურიცხავენ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ფასდაუდებელი დახმარება იმ კანონმდებლობის მიღება იქნება, რომელიც ფეხბურთს ბიზნესისთვის საინტერესოს გახდის. ფედერაციამ სწორედ ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს, დახმარების ფორმა და მიმართულება რომ შეიცვალოს. ჩემი აზრით, ქართულ ფეხბურთში ინვესტორები იმიტომ არ არიან, რომ მათთვის საინტერესო კანონები არ მიგვიღია. დარწმუნებული ვარ, ეს თავად ქვეყნისთვის იქნება მომგებიანი, ბიუჯეტში ფეხბურთიდან დღევანდელზე ბევრად მეტი თანხა დაბრუნდება.

**- ქართული ფეხბურთი წამგებიანი რომ არის?**

- ეს მხოლოდ ჩემპიონატის დონიდან არ გამომდინარეობს. ფეხბურთი თურქეთშიც არ იყო მომგებიანი, მაგრამ ახლა ბიზნესმენები რიგებს იკავებენ, ოღონდ კლუბებში აქციონერის სტატუსი მიიღონ. ეს უკვე მომგებიანი სფერო გახდა და თურქეთის ბიუჯეტი საკმაოდ სოლიდური თანხებით ივსება.

**- კონკრეტულად რა კანონმდებლობის მიღებას ითხოვთ?**

- შეღავათებს არ ვგულისხმობ, ეს ფეხბურთს არ სჭირდება, მისი განვითარებისთვის აუცილებელია კანონები. ესეც კარგად არის დასათვლელი, ბოროტად რომ არ გამოიყენონ. რეცეპტი არ არსებობს, აუცილებელია კლუბებმა ფედერაციასთან დავილაპარაკოთ და ჩვენი ინიციატივები სახელმწიფოს გავაცნოთ. იმიტომ, რომ სახელმწიფო ჩვენთვის ბევრს აკეთებს, ამის საპასუხოდ კი რაღაც აზრიანი უნდა შევთავაზოთ, სულ მათხოვრის როლში რომ არ ვიყოთ.

ახლა კონკრეტულად: გამოდის, რომ ჩვენი გადასახადებით ბიუჯეტში შედის თანხა, რომლის ნაწილსაც ისევ ფეხბურთს უბრუნებენ და ეს თანხა კვლავ გადასახადის ობიექტი ხდება. ხელმეორე გადასახადი გაუმართლებელია. ეს თუ გამოსწორდა, მერე აღარ ვიტყვით, ინვესტორები რატომ არ არიან და მხოლოდ "სოკარი" გვეხმარებაო.

ამას გარდა, სულ ისმის ლაპარაკი, რომ ჩვენს ფეხბურთში ჯანსაღი ვითარება არ არის. ამ მოსაზრებას აბსოლუტურად ვეთანხმები და მიმაჩნია, რომ პრობლემას ახალი სისხლის გარეშე ვერ მოვაგვარებთ. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ გულიანად და რაც უნდა კარგი კანონები მივიღოთ, ჩემი აზრით, საკვანძო საკითხის გადაუწყვეტლად, პროგრესს ტყუილად ველით.

**- რაზე ლაპარაკობთ?**

- მსაჯებზე.

**- ფედერაციის პრეზიდენტთან ზვიად სიჭინავასთან მეგობრობთ, მაგრამ "გაგრა" მსაჯობით სულ უკმაყოფილოა.**

- დიახ, ეს დიდი პრობლემაა.

**- ანუ ისინი ცალკე "თამაშობენ" და ფედერაციის პრეზიდენტს არ ემორჩილებიან?**

- დიახ, ვფიქრობ და დარწმუნებულიც ვარ, მსაჯები "საკუთარ თამაშს თამაშობენ". მსაჯობა აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. მთავარია, გავრისკოთ და რადიკალური ზომები მივიღოთ. ის საზიზღრობები, რაც ამ სფეროში მოხდა და ჩვენ შეგვეხო, პრობლემების მხოლოდ ნაწილია. "გაგრას" გავარდნა პრობლემა არაა, ცუდი თამაშით რეგიონულ ლიგაშიც დაქვეითდება, მაგრამ მომხდარს გაანალიზებ და შემდეგი სეზონისთვის უკეთ მოემზადები, მაგრამ როდესაც არ იცი, მსაჯი რას გერჩის, იქ უკვე დაფიქრდები, რა უბედურება ხდება. დამიჯერეთ, უმაღლესი ლიგიდან სწორედ იმიტომ გავვარდით, რომ ეს საზიზღრობები მოხდა. ეს არის ყველაზე ცუდი.

**- გამოსავალს რაში ხედავთ?**

- თუ გახსოვთ, ჩვენზე კორუმპირებული პოლიცია მსოფლიოში არ არსებობდა. მთელი ცხოვრება მაქინაციებში რომ იყვნენ, ის ადამიანები ვერ გადაკეთდებოდნენ, ქრთამის გარეშე ვერ ცხოვრობდნენ. ასე უნდა მოხდეს მსაჯებშიც, ძველი სისხლისგან განვიწმინდოთ, ახალი კადრები შევარჩიოთ და დარწმუნებული ვარ, ეს უმსგავსობები აღარ მოხდება.

**- პროფლიგის ჩამოყალიბებაზე რას ფიქრობთ?**

- ეს წინგადადგმული ნაბიჯია. მაგრამ სანამ პროფლიგა სპონსორებს არ მოიზიდავს, სახელმწიფო მანამდე ეროვნულ ჩემპიონატს კვლავ დაეხმარება იმ თანხით, რაც წლევანდელ ჩემპიონატში საპრიზო ფონდის სახით ჩადო. ეს იმიტომ, რომ არ იყოს ბიუჯეტის, მსაჯების ხელფასებისა და ა.შ. პრობლემები.

ყრილობა საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობდა, მაგრამ მე კმაყოფილი დავრჩი, რადგან, როგორც იქნა, მწვავედ და რაც მთავარია, საქმიანად ვილაპარაკეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

მეგობრები თანაუგრძნობენ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ყოფილ გენერალურ მდივანს, პაატა ბურჯალიანს მამის

**თამაზ ბურჯალიანის**

**გარდაცვალების გამო.**

*პანაშვიდები: ხუთშაბათს და პარასკევს*
*გამოსვენება: შაბათს 14:00 საათზე*
*მისამართი: ნინოშვილის ქუჩა 54*


შოთა არველაძე

## ფრაგმენტები შოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

# იმ საქართველოს გაუმარჯოს...

გაგრძელება. დასაწყისი:
**ლელო № 110 (13716)**

ხალხს კი ხანდახან ტყუილი და ჭორი ურჩევნია სიმართლეს. ზოგმა დაიჯერა, რომ საქართველოს ნაკრებში ლოთები არიან, რომ ჩვენ თურმე წაგებული თამაშის შემდეგ თვითმფრინავში ვიქეიფეთ. მეორე დღეს ერთ-ერთ სპორტულ გაზეთში, — ჩემი, **აჩის** და **გიოს** კარიკატურები დახატეს, სადაც ხელში არყის ბოთლები გვეჭირა. ნაკრების გარშემო დაძაბული ატმოსფერო შეიქმნა, ურთიერთობა დაიძაბა **დათო ყიფიანსა** და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის.

ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი გადაგვეწურა, მაგრამ ძალიან გვინდოდა, შესარჩევის დარჩენილი თამაშები კარგად ჩაგვეტარებინა, საკუთარი თავისთვის და გულშემატკივარისთვის დაგვემტკიცებინა, რომ გრანდების გამწარებაც შეგვიძლია.

იფიქრეს, ქართველები ამას ყველაფერს შეგნებულად გვიკეთებენო.

იტალიას მართლაც ღირსეულად ვეთამაშეთ. **პაოლო მალდინი, ფაბიო კანავარო, ალესანდრო ნესტა, რობერტო ბაჯო, ფრანჩესკო ტოტი და კრისტიანო ვიერი...** ამ დიდებულ გუნდს არაფერი დავუთმეთ და მათთვის ძალზედ საჭირო ორი ქულა წავართვით!... პირველ ტაიმში **კახა ცხადაძე** ისე დაშავდა, რომ შეცვალეს და ყიფიანმა მის მაგივრად 18 წლის **კახა კალაძე** შეუშვა მინდორზე. კახა მაშინ თბილისის „დინამოს" ფეხბუთელი იყო და ნაკრებში ერთი-ორი მატჩი თუ ექნებოდა ჩატარებული, მაგრამ კრისტიან ვიერის წინაალმდეგ დიდებულად ითამაშა.

იტალიელთა კარებთან რამდენიმე მწვავე იერიში მივიტანეთ, აჩიმ ერთხელ „დირკა" გაუძვრინა პაოლო მალდინის, ერთხელაც მე და აჩიმ „კედელი", გავითამაშეთ და ჩემი დარტყმა სულ ცოტათი ასცდა კარს. გულშემატკივარს ვაჩვენეთ, რომ საქართველოს ნაკრებს მაღალ დონეზე თამაში შეუძლია. იტალიასთან 0:0 ვითამაშეთ და „სკუადრა აძურა" პლეი ოფში რუსეთთან სათამაშოდ გავუშვით. ხალხმა კი მაგრად გაიხარა, მთელი სტადიონი ფეხზე დამდგარი გვიკრავდა ტაშს და ისე გვაცილებდა მინდვრიდან.


1997 წელი. საქართველო-იტალია

მომდევნო მატჩი იტალიასთან გვქონდა. **ჩეზარე მალდინის** გუნდს მხოლოდ გამარჯვება აწყობდა. სხვა შემთხვევაში, პლეი ოფში მოუწევდა თამაში. ჯგუფის გამარჯვებული კი ინგლისი გახდებოდა. იტალია მხოლოდ და მხოლოდ მოსაგებად ჩამოვიდა თბილისში.

ყიფიანმა ფსიქოლოგიურად ძალიან კარგად მოგვამზადა. აქცენტი უფრო ამ ასპექტზე გადავიტანეთ, ვიდრე ტაქტიკაზე, რადგან ძალიან კარგად იცოდა, რომ საქართველოს ნაკრების ძალა ინდივიდუალიზმი იყო და მოკლე დროში გუნდის სტილის შეცვლა შეუძლებელი იქნებოდა.

საქართველო მაშინაც დაულაგებელი ქვეყანა იყო. თბილისი, აეროპორტიდან — სასტუმრომდე, ჩაბნელებული დაგვხვდა. იტალიის ნაკრები სასტუმრო „მეტეხში" ცხოვრობდა და როგორც კი შენობაში შევიდნენ, სასტუმროც გაანათეს... იტალიელებმა მაღალი დონის სასტუმრო რომ დაინახეს, ძალიან გაუკვირდათ. აქედან სტადიონზე რომ მოვიდნენ და განათება ჩართეს, აქაც გაკვირვებულნი დარჩნენ,

შემდეგ მოლდოვაში ჩავედით და თემურ ქეცბაიას გოლით 1:0 მოვიგეთ. თუ წინა შესარჩევში მოლდოველებთან ორივე მატჩი წავაგეთ, მომდევნოში ორივეჯერ დავამარცხეთ. ბოლო შესარჩევ შეხვედრაში კი პოლონეთი გვესტუმრა და სრულფასოვანი რევანში ავიღეთ — 3:0. გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა! აჩიმ ულამაზესი გოლი შეაგდო, მე სამივე გოლში უშუალო მონაწილეობა მივიღე. ჯგუფური ტურნირი მორჩა და ჩვენმა ნაკრებმა მესამე-მეოთხე ადგილები გაინაწილა პოლონელებთან. ცუდი შედეგი ნამდვილად არ იყო.

საქართველოს ნაკრები გუნდს დაემსგავსა, ჩვენი თამაში ვიპოვეთ და დავიჭირეთ, მაგრამ რისი შექმნაც მოვახერხეთ, ისიც დაანგრიეს... შევიტყვე, რომ დავით ყიფიანს მოხსნას უპირებდნენ და მის ნაცვლად ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ, **ვლადიმერ გუცაევს** ნიშნავდნენ!.. მე და აჩიმ ეს ამბავი ჩვენი მეგობრებისგან შემთხვევით გავიგეთ. ისინი საქართველოს დელეგაციას ვიზის და ბილეთების აღებაში ეხმარებოდნენ. გვითხრეს, რომ ჩვენი დელეგაცია 2000 წლის კენჭისყრაზე ციურიხში მიემგზავრებოდა, სადაც მთავარი მწვრთნელის ადგილზე, ყიფიანის ნაცვლად, — გუცაევი ეწერა. როგორც კი ეს გავიგეთ, ყიფიანთან მივედით და ყველაფერი ვუთხარით. გვითხრა, „ამის შესახებ უკვე ვიციო", მაგრამ ნათელი იყო, რომ ეს ამბავი ჩვენგან გაიგო. უბრალოდ, არ შეიმჩნია, არ უნდოდა ჩვენთვის დაენახებინა გაწბილება და წყენა. დათო ყიფიანი ფედერაციაში აღმასკომის სხდომას უნდა დასწრებოდა, რომელზეც მისი და ნაკრების გარჯა შეფასდებოდა. „ყიფოს" ვუთხარით, აღმასკომზე ნაკრების ფეხბურთელებიც წამოვალთ და გვერდში დაგიდგებით-მეთქი. ამაზე უარი გვითხრა. აღმასკომზე მის მიერ გაწეული სამუშაო კარგად შეაფასეს, მაგრამ ნაკრებიდან მაინც გაუშვეს... გაუგებარი, სასაცილო და სამარცხინო მიზეზით, — ვერ უზრუნველყავი კონტაქტი ფედერაციასა და ნაკრების ფეხბურთელებს შორისო!.. ჩემი აზრით, ეს უსამართლო და უსაფუძვლო ბრალდება იყო.

დავით ყიფიანის და ალექსანდრე ჩივაძის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა მქონდა, არა მარტო იმიტომ, რომ ისინი გენიალური ფეხბურთელები იყვნენ, — მათი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე. ძალიან ბევრჯერ გავბრაზებულვარ მათზე, თუმცა საკმარისი იყო, რომელიმე მათგანს გამოვლაპარაკებოდი, ყველაფერი გამივლიდა-ხოლმე. ხოლო როცა ისინი ჩვენთან ერთად ფეხბურთს თამაშობდნენ, თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი.

ოცი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამომ" 1981 წელს თასების მფლობელთა თასი მოიგო. მე, **აჩიმ** და **რეზიმ** საკუთარი სახსრებით, თბილისში, 1981 წლის იენის „კარლ ცაისი" ჩამოვიყვანეთ. გვინდოდა ზეიმი მოგვეწყო, — ოცი წლის წინანდელმა ფინალის მონაწილეებმა, ორმოცდაათიათასამდე გულშემატკივრის წინაშე ითამაშეს. ყიფიანი ყოყმანობდა, — ფეხის ისეთი ტრავმა მაქვს, თამაშს ალბათ ვერ შევძლებო. ამსტერდამიდან დავურეკე და ძალიან ვთხოვე, იქნებ, როგორმე ითამაშო, ხალხს ძალიან უნდა, **ალექსანდრე ჩივაძის, ვოვა გუცაევის, თენგიზ სულაქველიძის** და **რამაზ შენგელიას** გარდა, შენც გახვიდე მოედანზე. აბა, როგორ წარმოგიდგენია 1981 წლის „დინამო" უშენოდ-მეთქი. დავითანხმე და რამდენიმე წუთი ითამაშა, სანამ ამის საშუალება ტრავმირებულმა ფეხმა მისცა.

იმ თაობის „დინამომ" ძალიან დიდი სიხარული გვაჩუქა და ვფიქრობ, ასეთი ზეიმის მოწყობით მათდამი პატივისცემა ერთხელ კიდევ გამოვხატეთ. 1981 წელს ცხრა წლის ვიყავი და „დინამოს" გამარჯვებამ ისე ამანთო, ლექსიც კი დავწერე:

**„დარასელიამ მოგვაგებინა**
**თასის მფლობელთა თასი,**
**ბრწყინვალე გოლი შეაგდო**
**მან კარლ ცაისის კარში!"**

ნაკრების მწვრთნელად ამ თაობის „დინამოს" კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, — ვლადიმერ გუცაევი დანიშნეს. გუცაევი სხვა ტიპის მწვრთნელი გამოდგა, ფეხბურთელებთან საკმაოდ დისტანციური, ოფიციალური ურთიერთობა დაამყარა. შეიძლება ითქვას, ურთიერთობაში სწორი შუალედი დაიჭირა, მაგრამ ნაკრებს არც გუცაევის ხელში ეშველა რამე.

მან ნაკრების გადახალისება სცადა. მე და აჩი დაგვიბარა, სამომავლო გეგმებზე გველაპარაკა. მომავალზე საუბრისას საერთოდ არ უხსენებია ნაკრების იმდროინდელი კაპიტანი — **კახა ცხადაძე**. გვითხრა, გუნდის კაპიტანი **გია ნემსაძე** იქნებაო...

გაგრძელება იქნება


იბრაჰიმოვიჩი პენალტით მატჩის საბოლოო ანგარიშს აფიქსირებს

# საფრანგეთის სამიდან სამი

## რიბერიმ მესამე თამაშში მესამე გოლი გაიტანა

**საფრანგეთი-ესტონეთი 4:0**

**საფრანგეთი:** ლორისი, მექსესი, რამი, ევრა, დებიუში, ა. დიარა (კოშელნი 65), მალუდა (ჟირუ 73), კაბაი (ვალბუენა 51), რიბერი (მარტენი 65), ბენზემა (მენეზი 74), ნასრი (ჟირუ 73)

**ესტონეთი:** პარეიკო, კლავანი, რანი, ტენისტე (კრუგლოვი 45), იააგერი, ვასილიევი, დმიტრიევი, კინკი (პურიე 68), პური, ოპერი (ვოსკობოინიკოვი 67), ოამაა (საავი 61)

**გოლები:** 1:0 რიბერი (25), 2:0 ბენზემა (37), 3:0 ბენზემა (47), 4:0 მენეზი (90)

საფრანგეთმა ისლანდიის, სერბეთისა და ესტონეთის ნაკრებები ერთიმეორის მიყოლებით "მიალაგა". მართალია, "სამფეროვანთა" მეტოქეები არ არიან მაღალი კლასის გუნდები, მაგრამ აქ სხვა რამეა მნიშვნელოვანი - **ლორან ბლანის** შეგირდთა მონდომება და სათამაშო დისციპლინა. ისლანდიასთან შეხვედრის პირველი ტაიმიდან მოყოლებული, ისინი თვალსა და ხელს შუა იზრდებიან და სადამდე მოახერხებენ გაფრენას, ეს მხოლოდ თავად იციან. ჩვენი აზრით, გერმანიის, ესპანეთისა და ჰოლანდიის ნაკრებების გვერდით ფრანგების დასახელება ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტთა შორის თავისუფლად შეიძლება.

მატჩის დებიუტში უპირატესობას ვინ მოიპოვებდა, თავისთავად ცხადი იყო. ესტონელები თამაშის კონტრშეტევებზე აგებას ცდილობდნენ და თქვენ წარმოიდგინეთ, გამოსდიოდათ კიდეც. **ლორისს** რამდენჯერმე მოუხდა თამაშში ჩართვა. 25-ე წუთზე **კარიმ ბენზემამ** და **ფრანკ რიბერიმ** მცირე შედევრი შემოგვთავაზეს – მათი კომბინაცია რეალელის ქუსლით გაკეთებული პასითა და ბაიერნელის ეფექტური გოლით დაგვირგვინდა. 12 წუთში უკვე თავად ბენზემამ გამოიჩინა თავი. კუთხურის გათამაშების შემდეგ სტუმრებმა მას მეტისმეტი დრო და სივრცე მისცეს. მეორე ნახევარში "სამფეროვნებმა" სტუმარს "სალამი არ აცალეს" ისე ეცნენ. რიბერის პასით ბენზემამ დუბლი გაიფორმა. დიდი ანგარიშის დაფიქსირების შემდეგ ბლანის შეგირდებმა ტემპი დააგდეს. მატჩის ბოლო წუთზე შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა თავისი ბექიდიც დაასვეს თამაშს – **ჟირუმ** უხერხული მოძრაობით **მენეზს** საგოლე პასი დაუგორა. უკანასკნელს ახლო მანძილიდან გატანა აღარ გასჭირვებია.

**მატჩის შემდგომ**

**ლორან ბლანი** (საფრანგეთი): "გამარჯვება ყოველთვის კარგია მიუხედავად იმისა, ოფიციალურ შეხვედრაში მოიპოვე ის, თუ საკონტროლოში. დიახ, დღეს ჩვენი მეტოქე ისეთი ძლიერი არ ყოფილა, როგორიც ისლანდია ან სერბეთი, მაგრამ ამას ფეხბურთელებისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი იყო, მათ საკუთარი ძალებისა ერწმუნათ. გოლი არ გაგვიშვია, მაგრამ უკანა ხაზთან მაინც მაქვს პრეტენზიები. მცველებმა ზოგადად კარგად ითამაშეს, მაგრამ რაღაც მომენტებში ცოტა ამანერვიულეს, რის გამოც შესვენებისას თამაშში კორექტივები შევიტანე. იმედი მაქვს, ინგლისთან შეხვედრამდე ჩვენს ყველა მინუსს აღმოვფხვრით".


კარიმ ბენზემამ დუბლი შეასრულა, რიბერი კი მოედანს უგოლოდ აღარ ტოვებს

# სიმშვიდე ჩრდილოელთა ბანაკში

**შვედეთი-სერბეთი 2:1**

**შვედეთი:** ისაკსონი (ვილანდი 71), გრანკვისტი, მელბერგი, მ. ოლსონი, ლუსტიგი (ი. ოლსონი 77), ჩელსტრიომი, ა. სვენსონი (ჰოლმენი 87), ელმი, ს. ლარსონი (კ. ვილჰელმსონი 87), ტოივონენი (ჰიუსენი 55), იბრაჰიმოვიჩი (ვერნბლუმი 81)

**სერბეთი:** ალექსიჩი (კარიმანი 45), მაქსიმოვიჩი, ლუკოვიჩი, სუბოტიჩი, იგნიოვსკი (მატიჩი 63), პეტროვიჩი, ტოშიჩი, ობრადოვიჩი (კოლაროვი 77), ტომიჩი, ლეკიჩი (მჩეპოვიჩი 45), ლაზოვიჩი

**გოლები:** 1:0 ტოივონენი (23), 1:1 სუბოტიჩი (27), 2:1 იბრაჰიმოვიჩი (52-პენ)

უჩვეულოა, მაგრამ მას მერე, რაც 14 მაისს შვედეთის მთავარმა მწვრთნელმა **ერიკ ჰამრენმა** 23-კაციანი სია გამოაქვეყნა თავისი ნომრებით, "ტრე კრუნურის" თავს არაფერი ხდება. ტრავმა არავის აწუხებს და შესაბამისად გუნდი მშვიდად ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის. რაც შეეხება სერბებს, **სინიშა მიხაილოვიჩის** გუნდმა უკვე მესამე საკონტროლო მატჩი ჩაატარა და მესამედ დამარცხდა. ბალკანელთა ნინააღმდეგობის დაძლევა აქამდე ფრანგებმა (2:0) და ესპანელებმა (2:0) შეძლეს.

სტოკჰოლმის "რასუნდაზე" მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს თამაში, თუმცა მათ არც სერბები ჩამორჩნენ. **ისაკსონის** კართან ხიფათი ჯერ **ლაზოვიჩმა** შექმნა, მერე **ტოშიჩმა**. 23-ე წუთზე ანგარიში მოულოდნელად გაიხსნა – **ალექსიჩმა** კუთხურის შემდეგ ბურთი ვერ დაიჭირა. **ტოივონენი** "საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა" – 1:0. მეკარის შეცდომა სერბებმა მალევე გამოასწორეს და რაც ყველაზე საინტერესოა, მათაც კუთხურით ისარგებლეს. **სუბოტიჩმა** არც მცველებს და არც მეკარეს შანსი არ დაუტოვა. ტაიმის ბოლომდე ანგარიშში წინ გასვლის მეტი შანსი სწორედ სერბებს ჰქონდათ, მაგრამ ისაკსონს ვერაფერი მოუხერხეს. მეორე ნახევარი დაიწყო თუ არა ტოივონენი მეკარესთან აღმოჩნდა. შეცვლაზე შესულმა **კარიმანმა** "ეინდჰოვენის" თავდამსხმელის წინააღმდეგ თამაშის წესი დაარღვია. პენალტი **იბრაჰიმოვიჩმა** აულელვებლად გაიტანა – 2:1. თამაშის ბოლომდე სერბებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ, თუმცა უშედეგოდ. მიხაილოვიჩის ახალმა გუნდმა მოკლე პერიოდში მესამე თამაში წააგო.

**ევროპის ჩემპიონატების ისტორია**

# ჩემპიონთა წყევლა

აქამდე არც ერთ გუნდს არ მოუხერხებია ევროპის ჩემპიონის ტიტულის დაცვა. მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ გამარჯვებულ ესპანეთს აქვს შანსი, მიაღწიოს იმას, რასაც მისი 12 წინამორბედი ვერ შესწვდა.

ესპანეთმა ევრო 2012-ის შესარჩევი ციკლი ზუსტად ისე დაიწყო, როგორც მოქმედ გამარჯვებულს ეკადრებოდა, მაგრამ თუკი მას უკრაინა-პოლონეთშიც სურს წარმატების მიღწევა, უმაგალითო გმირობა უნდა ჩაიდინოს. ევროპის ჩემპიონის ტიტულის დაცვის პრეცედენტი უეფას სხვა სანაკრებო ტურნირებში ყოფილა სამჯერ ვაჟების, სამჯერ ქალების და ერთხელაც ფუტსალის შემთხვევაში.

ტიტულის დაცვის პირველ მცდელობას წარმატებამდე ცოტა დააკლდა. 1960 წლის ჩემპიონატზე გამარჯვებიდან 4 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირი ესპანეთში გაემგზავრა, სადაც ფინალამდე მიაღწია და მასპინძლებთან 2:1 დამარცხდა. ესპანეთმა და შემდეგ იტალიამ, როგორც 1964 და 1968 წლების ჩემპიონატების გამარჯვებულებმა, მომდევნო, 4-გუნდიანი ფინალური ეტაპები გამოტოვეს. 1974 წელს გერმანია პირველი გუნდი გახდა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატი ევროპის ჩემპიონობის შემდეგ მოიგო. ეს გმირობა ესპანეთმა 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში გაიმეორა და ძალიან ახლოსაა ზედიზედ მესამე ტურნირის მოგებასთან. ისევე როგორც გერმანიას ჰქონდა ამის შანსი 1976 წელს, როდესაც კონტინენტის ჩემპიონატის ფინალში თამაშის წაუგებლად გაალწია. ჩეხოსლოვაკიასთან 2:2-ის შემდეგ პირველად პენალტების სერია დაინიშნა, სადაც **ული ჰიონესმა ივო ვიქტორს** ვერ გაუტანა და ამით ისტორიაში შევიდა.

ამის შემდეგ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 8 გუნდამდე გაიზარდა. 1980 წელს ჩეხოსლოვაკიამ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და მესამე ადგილისთვის ბრძოლაში (რაც სხვა ჩემპიონატებზე აღარ განმეორებულა) იტალია დაამარცხა. 1984 წლის ჩემპიონატზე გერმანია ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩა. 1988-ში კი საფრანგეთი, წინა ტურნირზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, საერთოდ ვერ მოხვდა ფინალურ ეტაპზე. 1992 წელს ჰოლანდიას ტიტულის შენარჩუნების დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ ისევე როგორც გერმანია 16 წლით ადრე, პენალტების სერიაში დამარცხდა, ოღონდ დანიასთან. 16 ნაკრების 4 ჯგუფად დაყოფის შემდეგ მხოლოდ ერთხელ მოახერხა მოქმედმა ჩემპიონმა ჯგუფური ეტაპის გადალახვა. უკანასკნელად საბერძნეთმა კი ქულაც ვერ აიღო.

ეს უილბლო ევროპული მოვლენაა. სხვა კონტინენტების ჩემპიონატებზე თუნდაც ერთხელ, მაგრამ ტიტულის დაცვის შემთხვევა ყოფილა. ფაქტია, კოპა ამერიკის პირველ ორ ტურნირზე ერთმა და იმავე გუნდმა იმარჯვა (ურუგვაიმ), ასეთი შედეგი დაფიქსირებულა აფრიკის ეროვნებათა თასზეც (ეგვიპტე) და აზიის თასზეც (სამხრეთი კორეა). ესპანეთს შეუძლია ცოტა გული დაიმშვიდოს იმ შედეგებით, რაც მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებს ჰქონდათ ევროპის პირველობებზე. საფრანგეთმა 2000 წელს მოიგო ტურნირი მას შემდეგ, რაც 2 წლით ადრე მსოფლიოს ჩემპიონატი ჰქონდა მოგებული. გერმანიამ ორჯერ, 1976 და 1992 წლებში ფინალში ითამაშა, 1968 წელს ინგლისი მესამე ადგილზე გავიდა, რაც ამ გუნდისთვის დღემდე საუკეთესო შედეგად რჩება. მხოლოდ ერთხელ 1984 წელს ვერ მოახერხა იტალიამ ფინალურ ეტაპზე მოხვედრა, როცა 1/4-ფინალში ესპანეთთან პენალტებით წააგო.



**ამბები**

## საყრდენების გასაჭირი

ესტონეთთან მატჩის შემდეგ **ლორან ბლანს** ახალი თავსატეხი გაუჩნდა. აქამდე მას ორი ტრავმირებული საყრდენი ნახევარმცველი ჰყავდა - **ბლეზ მატუიდი** და **იან მ'ვილა**. უკანასკნელის დაზიანება შედარებით სერიოზულია და 1-ელ ტურში ინგლისთან მისი ასპარეზობა თითქმის გამორიცხულია. ბალტიისპირელებთან გამარჯვების შემდეგ მათ მესამე დაცვითი ტიპის შუახაზელი **ალუ დიარაც** შეუერთდა. *"დამნაშავე თავად ვარ, მიწას ცუდად მოვარტყი ფეხი და მუხლის ტკივილიც უმალ ვიგრძენი. შემიძლია, დაგამშვიდოთ, სერიოზული არაფერია, თუმცა ბლანს შეცვლა მაინც ვთხოვე, რადგან ჩემპიონატის წინ გარისკვა არ ღირს. ტრავმირებულები ისედაც გვყავს, ამიტომ თავიდან ყველას მ'ვილას შემთხვევა გაახსენდა. კარგია, რომ შიში არ დადასტურდა,"* – აცხადებს მ'ვილა.

## გახსნით მატჩს ესპანელი იმსაჯებს

8 ივნისს, ვარშავაში, ევროპის ჩემპიონატის გახსნით მატჩს პოლონეთსა და საბერძნეთს შორის ესპანელი არბიტრი, 41 წლის **კარლოს ველასკო კარბალიო** განსჯის, - ინფორმაცია უეფას ვებგვერდით გავრცელდა. მოკლედ გეტყვით, რომ კარიერა მან 2004 წელს დაიწყო, საერთაშორისო ასპარეზზე კი 2008-დან მსაჯობს. მისთვის პროფესიული ასპარეზის პიკი 2011 წლის ევროპის ლიგის ფინალი იყო, სადაც ერთმანეთს "პორტუ" და "ბრაგა" დაუპირისპირდნენ. ამას გარდა ის 2012 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის სარეზერვო მსაჯიც გახლდათ. კარბალიოს ძირითადი პროფესიაც საინტერესო აქვს, ის ინჟინერ-ტექნოლოგია.

## ტერიმ ვარჯიში გამოტოვა

ინგლისის ნაკრების წამყვანმა ცენტრალურმა მცველმა **ჯონ ტერიმ** ბარძაყის ტრავმის გამო გუნდის გუშინდელი ვარჯიში გამოტოვა. **როი ჰოჯსონმა** ის ინდივიდუალურად დატვირთა. ჯერჯერობით ადრეა იმაზე ლაპარაკი, შეძლებს თუ არა 31 წლის ფეხბურთელი ფრანგებთან 1-ლი ტურის შეხვედრაში თამაშს.

ჰოჯსონი კი აღიარებს, რომ დაცვის ხაზში ამდენი პრობლემის გადამკიდე, მისი გუნდი სულ უფრო დამოკიდებული ხდება **ჯო ჰარტზე**. აი, რა უთხრა 64 წლის სპეციალისტმა "ფრანს პრესს": *"მანჩესტერ სიტის" შემადგენლობაში ჯოს თამაში მართლაც ბრწყინვალე იყო. ის ნაკრებშიც მშვენივრად გამოიყურება და თუკი გვინდა, რომ გუნდმა ჩემპიონატზე ღირსეულად ითამაშოს, ძალიან მნიშვნელოვანია, ჰარტი სათანადო დონეზე იდგეს. თუკი ინგლისის ნაკრების საუკეთესო ფორმაციებს გავიხსენებთ, მათ ყოველთვის ჰყავდათ ისეთი მეკარე, ვინც თავის ეპოქაში სამართლიანად მიიჩნეოდა ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ თავის ამპლუაში".*

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

## უცხოური ფეხბურთი

საბერძნეთის ნაკრები · ევრო 2012

# ბერძნებს რაღაცის იმედი აქვთ

### ნუთუ მხოლოდ იმის, რომ ევრო 2004-იც მასპინძლებთან მატჩით დაიწყეს?

ევროპის ჩემპიონატის გახსნითი მატჩი ქალაქ ვარშავაში გაიმართება, სადაც ერთმანეთის პირისპირ პოლონეთისა და საბერძნეთის ნაკრებები წარდგებიან. პირველობის ფავორიტთა შორის ვერც სლავებს მოვიხსენიებთ და ვერც ელადელებს, მაგრამ ნეიტრალურ გულშემატკივართა მეტ ინტერესს მაინც პოლონეთის ნაკრები იწვევს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან პოლონელები მასპინძლები არიან და შესაბამისად, ამ გუნდს შედეგი ისე მოეთხოვება, როგორც არასდროს. მით უმეტეს, ჩემპიონატის მეორე მასპინძელი კომმარულ ჯგუფში მოხვდა და საყოველთაო მოლოდინით, პლეი ოფამდე ვერც მიაღწევს. ერთი მასპინძელი ხომ მაინც უნდა გავიდეს ჯგუფიდან? – უნდა გავიდეს და ეს ერთი მასპინძელი წესით პოლონეთი უნდა იყოს – ასე მიიჩნევენ არა მარტო უბრალო გულშემატკივრები, არამედ საფეხბურთო ექსპერტებიც კი; გამომდინარე აქედან, პირველ შეხვედრაში პოლონელების მიმართ ინტერესი გამძაფრდება, მაგრამ...

### გახსოვთ 2004 წელი?

არ უნდა დაგვავიწყდეს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატი, რომელიც პორტუგალიაში გაიმართა და რომელიც ბერძენთა სენსაციური გამარჯვებით დასრულდა. მაშინ, ისევე როგორც ამჟამად, ელადებს აუტსაიდერებად მიიჩნევდნენ და ვერავინ წარმოიდგენდა თუ ეს გუნდი არათუ ჩემპიონი გახდებოდა, საერთოდ რაიმე წარმატებას მიაღწევდა, თუნდაც ლოკალურს. რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა და მაშინ, ბერძენთა ტრიუმფალური სვლა სწორედ მასპინძლებზე გამარჯვებით დაიწყო...

დიახ, 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის გახსნით შეხვედრაში პორტუგალია საბერძნეთის ნაკრებს დაუპირისპირდა და ყველასათვის მოულოდნელად, მინიმალური ანგარიშით წააგო. ის თამაში პორტუში გაიმართა, გამარჯვების გოლი კი გიორგოს კარაგუნისმა გაიტანა, რომელიც დღეს 35 წლის არის, "პანათინაიკოსის" ღირსებას იცავს და რაც მთავარია, საბერძნეთის ნაკრებს კარს მომდგარ კონტინენტის პირველობაზეც დაეხმარება. კარაგუნისმა რვა წლის წინანდელი მოვლენები გაიხსენა და მომავალსაც გახედა – მოვუსმინოთ გიორგოსს:



გიორგოს კარაგუნისი ოპტიმისტურადაა განწყობილი

*"ასეთი მასშტაბის ტურნირის გახსნით შეხვედრაში მონაწილეობის მიღება განსაკუთრებული შეგრძნებაა და მიხარია, რომ ამის საშუალება კიდევ ერთხელ მეძლევა. მახსოვს, პორტუგალიასთან ყველა განწირულად მიგვიჩნევდა, ჩვენ კი გავიმარჯვეთ და მთელი საფეხბურთო მსოფლიო გავაოცეთ. შემდეგ, გამარჯვებათა მთელი სერია გამოვაცხვეთ და თასსაც დავეუფლეთ. ზღაპარში ვიყავით და დიდი სურვილი მაქვს, რომ მსგავსი ემოციები კიდევ ერთხელ განვიცადო. გვაქვს თუ არა ამის შანსი? – რა თქმა უნდა, გვაქვს, რადგან ჩვენ ერთხელ უკვე დავამტკიცეთ, რომ შეუძლებელი არაფერია".*

კარაგუნისმა ჯგუფსა და მეტოქეებზე უფრო კონკრეტულადაც ისაუბრა და შემდეგი განაცხადა: *"ბევრი თვლის, რომ ყველაზე სუსტი ჯგუფი ჩვენია. არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ეს ასე არაა და რომ ყველა ჯგუფი თანაბრად ძლიერია. ყველა მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება და ამ თემაზე დიდხანს შეჩერება უაზრობა მგონია. ფაქტია, რომ პლეი ოფში გასვლა ურთულესი იქნება და სწორედ ესაა ყველაზე მთავარი საზომი. რუსებმა ევროპის წინა ჩემპიონატზე დაამტკიცეს, რომ ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ – მათი ძლიერი მხარე მაღალი სისწრაფე და ბურთის კონტროლია. ჩეხებს ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდი ჰყავთ და უბრძოლველად არავის არაფერს დაუთმობენ. პოლონელები მასპინძლები არიან და ამით ყველაფერია ნათქვამი – როდესაც თითოეულ შეხვედრაში 50 ათასზე მეტი ადამიანი გგულშემატკივრობს, წარმატების მიღწევა გაცილებით იოლია. ასე რომ, თუ მეოთხედფინალში გასვლა გვსურს, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამოვავლინოთ. მჯერა, რომ ასეც მოხდება".*

**ლაშა ნიკლაური**

---

იტალიის ნაკრები

# პრანდელიმ ასტორი წაიყვანა



დავიდე ასტორი

იტალიის ეროვნული ნაკრები, როგორც იქნა, გაემგზავრა პოლონეთში და ქალაქ კრაკოვში დაბანაკდა. იქვე, **ჩეზარე პრანდელიმ** მინი-ბრიფინგი გამართა და ყველაზე აქტუალურ საკითხებზე ისაუბრა. ბუნებრივია, შეეხო **ანდრეა ბარცალის** თემას, რომელიც ტრავმირებულია და ჯერ კიდევ უცნობია, შეძლებს თუ არა ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობის მიღებას – მოვუსმინოთ "სკუადრა აძურას" დამრიგებელს:

*"გუნდში შესანიშნავი განწყობაა და ყველას გვიხარია, რომ როგორც იქნა, პოლონეთში ჩამოვედით. კრაკოვში წესით რამდენიმე დღით ადრე უნდა დავბანაკებულიყავით, მაგრამ გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებულმა სკანდალმა გეგმები შეგვიცვალა. რაც იყო, იყო – მთავარია, რომ აქ ვართ და ევროპის ჩემპიონატზე საასპარეზოდ ვემზადებით. ერთი დღე დავისვენებთ, შემდეგ კი ჩვეულებრივად განვაგრძობთ წვრთნებს. რაც შეეხება ანდრეა ბარცალის, მას დეტალური გამოკვლევა ჩაუტარდება და საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ. თუ ანდრეა მაქსიმუმ ორ თამაშს გამოტოვებს, მაშინ მას დავიტოვებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დავიდე ასტორით უნდა ჩავანაცვლოთ. დიახ, ასტორი და არა ანდრეა რანოკია, როგორც ეს პრესაში გავრცელდა. სამწუხაროდ, რანოკიასაც ტრავმა აქვს, ორი კვირა მაინც სჭირდება სამკურნალოდ და მის დაბრუნებას არავითარი აზრი არ აქვს. რაც შეეხება ასტორის, სრულიად ჯანმრთელია და უკვე გავაფრთხილეთ, რომ შეიძლება პოლონეთში გადმოფრენა მოუწიოს".*

### ბალოტელი მაისურზე ბარუვას დაიწერს!

### მარიო ბარუვა-ბალოტელი

განური წარმოშობის **მარიო ბარუვა** ძალიან პატარა იყო, როდესაც სიცილიელებმა იშვილეს და ახალი გვარი: **ბალოტელი** მისცეს. პატარა მარიოს ფეხბურთის თამაშის ნიჭი აღმოაჩნდა და მალევე მიიქცია საფეხბურთო სკაუტთა ყურადღება. თინეიჯერი გახლდათ, როდესაც "ინტერთან" პროფესიული ხელშეკრულება გააფორმა და მალე, მთელ საფეხბურთო მსოფლიოს გააცნო თავი. წლების განმავლობაში, მას განის ეროვნულ ნაკრებში სთავაზობდნენ ასპარეზობას, მაგრამ კატეგორიულ უარზე იდგა და აცხადებდა, ჩემი მიზანი იტალიის ეროვნული გუნდის ამუნიციის მორგებააო. ერთი ხანობა, მან უარი განაცხადა ბიოლოგიური მამის გვარზე და ამით, თითქოს ყველანაირი კავშირი განყვიტა ისტორიულ სამშობლოსთან.

და აი, ევროპის ჩემპიონატის წინ, მარიოს მოულოდნელად ბიოლოგიური გვარი გაახსენდა და სურვილი გამოთქვა, რომ მაისურზეც წაიწეროს. ანუ, იტალიის ნაკრების ფერადკანიან ფორვარდს ზურგზე ბარუვა-ბალოტელი ეწერება; ეს გადაწყვეტილება მარიომ შემდეგნაირად ახსნა:

*"იტალიის ნაკრებში თამაში ჩემი ბავშვობის ოცნება იყო და ვამაყობ, რომ მიზანს მივაღწიე. ამასთან, არ უნდა დავივიწყო, რომ ჩემი ფესვები განიდან მოდის, სადაც უამრავი ადამიანი მგულშემატკივრობს. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ზურგზე ორივე გვარს წავიწერ და ამაში მთელ ჩემს ისტორიას, წარსულს ჩავტევ. დიდი იმედი მაქვს, რომ ორი გვარის გაერთიანება ჩემთვის წარმატების მომტანი იქნება".*

**ლაშა ნიკლაური**

---

ევრო 2012 უკრაინის ნაკრები

# უკრაინელები მოწამლეს!

### ბლოხინმა განგაშის ზარი შემოჰკრა

**თურქეთი–უკრაინა 2:0**

**თურქეთი (4-4-2):** მერთ გიუნოკი – ჰამით ალთინთოფი, სემიჰ კაია (31. ტოპრაკი), ეგემენი (78. ემრე), ალი ქალდირიმი – თიორე (83. ბაითარი), თოფალი, შაჰინი, არდა (66. თუნაი თორუნი) – ჯანერი (66. სერქანი), ფექთემექი (81. ბულუთი).

**უკრაინა (4-3-2-1):** პიატოვი – ბუტკო (64. გუსევი), კუხერი (46. ხაჩერიდი), რაკიცკი, შევჩუკი – გარმაში (46. ნაზარენკო), როტანი, კონოპლიანკა – მილევსკი (69. სელეზნიოვი), ალიევი (46. შევჩენკო) – დევიჩი.

**გოლები:** 1:0 ჯანერი (30), 2:0 ფექთემექი (70).

გერმანიაში შეკრებაზე მყოფმა უკრაინის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის წინ, უკანასკნელი საკონტროლო მატჩი გამართა და თურქეთის ეროვნულ გუნდთან დამარცხდა, 0:2. კონტინენტის პირველობის თანამასპინძლებმა უსახური მატჩი გამართეს და სრულიად დამსახურებული მარცხი იწვნიეს. საერთოდაც, **ოლეგ ბლოხინის** გუნდი ვერაფრით ჩამოყალიბდა ძლიერ საფეხბურთო მანქანად, როგორც ეს თავად მწვრთნელს სურდა და რაზეც მას შემდეგ ლაპარაკობს, რაც ქვეყნის უმთავრეს გუნდს ჩაუდგა სათავეში; ამ ეტაპზე, ეს ასე ჩანს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ უკრაინელებმა ევროპის ჩემპიონატზე გამოიდონ თავი და როგორც **ანდრეი შევჩენკო** აცხადებს, მთელი საფეხბურთო მსოფლიო გააოცონ.

სანამ უკრაინელები მსოფლიოს გააოცებენ, მორიგი თამაში ჩააგდეს და როგორც უკვე აღვნიშნეთ, თურქებთან სრულიად დამსახურებულად დამარცხდნენ. ბლოხინს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი არ ჰყავდა, მაგალითად: **ტიმოშჩუკი, იარმოლენკო** და **მიხალიკი**, მაგრამ გასამართლებელ საბუთად ეს ვერ გამოდგება – ვერ გამოდგება იმიტომ, რომ ოპტიმალური შემადგენლობა არც თურქებს ჰყავდათ. მეტიც, ჩვენმა მეზობლებმა აღნიშნული სპარინგი ნახევრად ექსპერიმენტალური შემადგენლობით გამართეს. მიუხედავად ამისა, მთელი თამაშის განმავლობაში, უპირატესობას სწორედ ოსმალოები ფლობდნენ და მომენტიც იმდენი შექმნეს სლავთა კართან, რომ შეეძლოთ გამანადგურებელი ანგარიშითაც მოეგოთ; თუმცა, თურქებმა ორი გოლი იკმარეს, თითო ტაიმში თითო მიართვეს მეტოქეს და ევროპის ჩემპიონატის დაწყების წინ, უკრაინელებს ხასიათი წაუხდინეს. მატჩის შემდეგ, ბლოხინმა თავი იმართლა და ჰქონდა კიდეც საბაბი, რადგან თურმე, მისი შეგირდების დაახლოებით ნახევარი თურქებთან მატჩის წინ მოიწამლა – მოვუსმინოთ უკრაინელთა თავკაცს:



*"არასასიამოვნო მარცხი ვიწვნიეთ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, დღეს უფრო სხვა რამ მაწუხებს – ჩემთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, თითქმის ნახევარი გუნდი მოგვეწამლა და ურთულეს ვითარებაში აღმოვჩნდით. დიდი იმედი მაქვს, რომ ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩამდე თითოეული მათგანი მომჯობინდება. რაც შეეხება მათ, ვინც არ მოიწამლა და ითამაშა, ბოლომდე არ დაიხარჯნენ და ვფიქრობ, რომ ეს ტრავმის მიღების შიშით გახლდათ განპირობებული. მიჭირს ამისთვის შეგირდთა გამტყუნება, მაგრამ მეორე მხრივ, არ შეიძლება მოედანზე ნასაგებად გახვიდე. შეტევაში ბევრი არაფერი გამოგვივიდა, დაცვაში კი უამრავი შეცდომა დავუშვით. თუ ასე ვაპირებთ ევროპის ჩემპიონატზე თამაშს, მაშინ წინასწარ განწირულები ვყოფილვართ – თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამ მარცხს ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები".*

**ლაშა ნიკლაური**

---

ევრო 2012 დანიის ნაკრები



ნიკლას ბენდტნერი (მარცხნივ) მონდომებულია

# დანიელები თავს იმშვიდებენ

### ბენდტნერი: ჩვენ აუტსაიდერები არ ვართ!

ევროპის ჩემპიონატის „სიკვდილის ჯგუფში" დანიის ნაკრები უიმედო აუტსაიდერადაა შერაცხილი, რადგან ჯგუფში სამ გრანდთან მოუწევს ჭიდილი და მეოთხედფინალში გასვლის მთავარი კანდიდატები ამ ოთხეულიდან გერმანიის, ჰოლანდიისა და პორტუგალიის ნაკრები გუნდები არიან. თუმცა დანიელები აუტსაიდერობას არ აღიარებენ და გულშემატკივრებს აიმედებენ.

*„ჩვენ ძალიან გვინდა და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დანიამ ჩვენით იამაყოს. იმედი მაქვს, რომ ამ ტურნირზე 4, 5 ან 6 მატჩს ჩავატარებთ,"* – აცხადებს დანიელთა მთავარი დამრტყმელი ძალა, 24 წლის თავდამსხმელი **ნიკლას ბენდტნერი**.

ვეტერანი წინახაზელი **დენის რომედალი** კი ჰოლანდიის ნაკრებს ემუქრება: *„ჰოლანდიელების არ გვეშინია! ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. თუ მაქსიმალურად მობილი ზებულები ვიქნებით და ცოტათი გაგვიმართლებს კიდეც, ჰოლანდიელების დამარცხება ნამდვილად შესაძლებელია. სხვათა შორის, დანიის ნაკრების დამარცხებაც არ არის იოლი და ჰოლანდიელებსაც კარგი დღე უნდა გაუთენდეს იმისათვის, რომ ჩვენთან სამი ქულა აიღონ,"* – ამბობს 33 წლის რომედალი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო დღეებში დანიის ნაკრების თავკაცი **მორტენ ოლსენი** გუნდს ყოველთვის დახურულ კარს მიღმა ავარჯიშებს. ვის რას უმალავს ოლსენი, ეს შაბათს გამოჩნდება.

**გოტფრიდ ლენცი**

ევრო 2012. გერმანიის ნაკრები

# ლიოვის კანონები

## ლუდი, ქალები, სიგარეტი: რას უკრძალავს და რის უფლებას უტოვებს ბუნდესმწვრთნელი ფეხბურთელებს

გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობას შაბათს, პორტუგალიასთან მატჩით იწყებს. „ბილდმა" გამოარკვია, რომ ბუნდესგუნდის მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ფეხბურთელებს კანონების სახით ჩამოუწერა, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ევრო 2012-ის მიმდინარეობისას. ცხადია, „ბილდი" არ იქნებოდა „ბილდი", ეს კანონები ხელში რომ არ ჩაეგდო. ვფიქრობთ, „ლელოს" მკითხველებისთვისაც საინტერესო უნდა იყოს, რას უკრძალავს 52 წლის იოგი თავის შეგირდებს ან რის უფლებას უტოვებს ევროპის ჩემპიონატზე.

### ქალები

ლიოვი არ არის იმის წინააღმდეგი, რომ ევროპის ჩემპიონატის დროს ფეხბურთელები თავიანთ ცოლებს ან მეგობარ გოგონებს ხვდებოდნენ. მეტიც, ოფიციალურად დადასტურებულია, რომ მატჩების მეორე დღეს გერმანიის ნაკრების მოთამაშეების ქალბატონებს თავიანთი მამაკაცების მონახულება ბუნდესგუნდის სასტუმროში შეუძლიათ. რაც შეეხება სასტუმროში ღამით დარჩენას: ბუნდესგუნდის მენეჯერი ოლივერ ბირჰოფი ამბობს, ჯერ არ გადაგვიწყვეტია, მივცეთ თუ არა ქალბატონებს და ბავშვებს სასტუმროში გათენების უფლებაო. სიყვარულის პირველი დღე გერმანელებს კვირას, პორტუგალიასთან მატჩის მეორე დღეს ექნებათ და ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, თუ ბუნდესგუნდი პორტუგალიას დაამარცხებს, ლიოვი ქალბატონებს სასტუმროში ღამის გათენების ნებასაც დართავსო...

### ალკოჰოლი

ლიოვმა თავის შეგირდებს ღვინისა და ლუდის დალევის ნება დართო – ოღონდ არა დიდი დოზებით. „ბილდის" ინფორმაციით, ფეხბურთელებს დაძინების წინ ერთი კათხა ლუდის მირთმევა შეუძლიათ, რადგან ეს რაოდენობა მეორე დღეს ნაბახუსევს არ გამოიწვევს. იოგი ფეხბურთელებს იმდენად ენდობა, რომ სასტუმროს ნომრებში მინიბარებსაც კი არ შეუმოწმებს. აღსანიშნავია, რომ სხვა გუნდების მწვრთნელები ასე არ იქცევიან.

### მოწევა

გერმანიის ნაკრების თავკაცი ადრე მწეველი იყო, მაგრამ წელიწადზე მეტია, ერთი ღერი სიგარეტიც კი აღარ მოუწევია. რაც უნდა გასაკვირი იყოს, იოგი ფეხბურთელებს მოწევას არ უკრძალავს! *„ბიჭებს შეუძლიათ გააბოლონ, ოღონდ ეს არ უნდა მოხდეს ჭამის ან სხდომის დროს,"* - აცხადებს ბუნდესმწვრთნელი.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ნაკრებში დღესდღეობით მწეველი მხოლოდ მეორე მეკარე **ტიმ ვიზეა**, სხვები კი იშვიათად აბოლებენ ხოლმე.

### სოციალური ქსელები

ლიოვმა ფეხბურთელებს არც სოციალური ქსელების გამოყენება აუკრძალა, თუმცა გარკვეული წესები აქაც დაამკვიდრა: მოთამაშეებს შეუძლიათ, „ფეისბუქი" ან „თვითერი" გამოიყენონ, მაგრამ არასდროს უნდა დაწერონ რაიმე ისეთი, რაც გუნდის შიდა ინფორმაციაა, არასდროს უნდა ისაუბრონ მეტოქეზე, კოლეგაზე ან მსაჯზე ნეგატიურად. მაგალითად, სამშაბათს **თომას მიულერმა** „ფეისბუქზე" დაწერა: *„მოგესალმებით პოლონეთიდან! ეს ესაა გდანსკში ჩამოვედით და ძალიან ლამაზ სასტუმროში მოგვიყვანეს. აქაურობა მომწონს,"* - ასეთი პოსტები მისაღებია.

### სასტუმროდან გამოსვლა

ფეხბურთელებს შეუძლიათ, თავისუფალ დროს სასტუმროდან გავიდნენ და ქალაქში გაისეირნონ, მაგრამ ღამის 12 საათამდე ყველა უნდა დაბრუნდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები სასტუმროდან გასვლის შემდეგ მაქსიმუმ ერთ საათში უკან უნდა დაბრუნდნენ.

### განსაცმელი

ბუნდესგუნდის ფეხბურთელები ყოველ დილას ელექტრონული პოსტით მიიღებენ შეტყობინებას იმის შესახებ, თუ რა უნდა იქონიონ თან იმ დღეს. ლიოვი შეგირდებს ასეთ წერილებს ოფიციალური შეხვედრების დღეებშიც მისწერს.


ეროვნული ბიბლიოთეკა
გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი


ბასტიან შვაინშტაიგერის მეგობარი გოგონა სარა

ტრავმის შემდეგ

## ესეც ასე: შვაინი ფეხზე დადგა!

მესამე დღეა, **ბასტიან შვაინშტაიგერი** სრული დატვირთვით ვარჯიშობს და ტკივილები აღარ აწუხებს, რაც იმას ნიშნავს, რომ 27 წლის ნახევარმცველს პორტუგალიასთან მატჩის გამოტოვების საფრთხე აღარ ემუქრება. ბუნდესგუნდის სამედიცინო შტაბმა შვაინის საბოლოოდ აუნთო მწვანე შუქი და ბასტიანიც ძალიან კარგ ხასიათზეა.

*„შვაინშტაიგერი უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და თამამად შეგვიძლია იმის თქმა, რომ პორტუგალიასთან სათამაშოდ მზადაა. გვიხარია, რომ 23-ივე ფეხბურთელი ჯანმრთელია. ითამაშებს თუ არა შვაინი ძირითად შემადგენლობაში, ამას ლიოვი გადაწყვეტს,"* - უთხრა გუშინ ბუნდესგუნდის მენეჯერმა **ოლივერ ბირჰოფმა** „ბილდს".


ბასტიან შვაინშტაიგერი

ამბები

## ესპანელების ვარჯიში GUANTANAMERA-ს ფონზე

გუშინ ესპანეთის ნაკრებმა პოლონურ გნიევინოში პირველი ვარჯიში გამართა – წვრთნა ცნობილი ესპანური ჰიტის, Guantanamera-ს ფონზე მიმდინარეობდა და 300 ფანი დაესწრო. ვარჯიშის შემდეგ „ფურია როხას" მთავარი მწვრთნელი **ვისენტე დელ ბოსკე** ჟურნალისტებს გაესაუბრა და აღნიშნა, რომ ევროპის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება მისი გუნდისთვის ძალიან ძნელი იქნება.

*„ამოცანის სირთულეზე თუნდაც ის ფაქტი მიუთითებს, რომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ არც ერთი გუნდი არ გამხდარა კიდევ ერთხელ ევროპის ჩემპიონი,"* - უთხრა 61 წლის სპეციალისტმა ჩვენს ესპანელ კოლეგებს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ **ალვარო არბელოა** და **ხესუს ნავასი** გუშინდელი დღის შემდეგ ისევ სრული დატვირთვით ვარჯიშობენ.

## ნანი მსუბუქად ვარჯიშობს

პორტუგალიის ნაკრების გარემარბმა **ნანიმ** მსუბუქად ვარჯიში განაახლა, სრული დატვირთვები კი მისთვის ჯერ კიდევ სარისკოა. შეგახსენებთ, რომ ნანი შაბათს, თურქეთთან ამხანაგურ შეხვედრაში (1:3) დაშავდა და ევროპის ჩემპიონატის პირველ ტურში (შაბათს, გერმანიასთან) მისი თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა.

„მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველს სამშაბათს წვრთნაში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია, გუშინ კი ინდივიდუალურად ივარჯიშა – ფიზიოთერაპევტ **ანტონიო გასპართან** ერთად ირბინა. ითამაშებს თუ არა ნანი გერმანიასთან, ეს დღეს-ხვალ უნდა გადაწყდეს.

## ბაროში ჯერ კიდევ საეჭვოა

ჩეხეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობას ხვალ, რუსეთთან მატჩით იწყებს და **მიხალ ბილეკის** გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალის, **მილან ბაროშის** თამაში ისევ კითხვის ნიშნის ქვეშაა. 30 წლის თავდამსხმელი, რომელიც ევრო 2004-ის საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ, სამშაბათდს ვარჯიშზე დაშავდა.

*„მილანი თავს უკეთ გრძნობს და თუ ტკივილები აღარ ექნება, ხუთშაბათს ივარჯიშებს. თუ ასე მოხდა, პარასკევს რუსეთთან მოედანზე გასვლა შეეძლება,"* - ეს ჩეხეთის ნაკრების მთავარი ექიმის, **პეტრ ნოვაკის** სიტყვებია. მილან ბაროშს ჩეხეთის ნაკრების ფორმით 89 შეხვედრაში 40 გოლი აქვს გატანილი.

## პლატინი: სამუდამო დისკვალიფიკაცია ჩამწყობებს!

უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** მანიპულირებული მატჩების სკანდალში მონაწილე ფეხბურთელებისთვის სამუდამო დისკვალიფიკაციები მოითხოვა.

*„როცა ფეხბურთელი ფულს დებს თავისი გუნდის ნაგებაზე, ან განგებ ნააგებს თამაშს, რათა ამით ფული იშოვოს, ასეთს ფეხბურთის თამაში სამუდამოდ უნდა აუკრძალო!"* - განაცხადა პლატინიმ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე და ამით იტალიაში აგორებულ მორიგ სკანდალს გამოეხმაურა.

*„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ისეთი პრობლემების აღმოსაფხვრელად, როგორებიცაა ძალადობა, რასიზმი და მანიპულაციები ფეხბურთში, - აგრძელებს პლატინი, - ვინც ფეხბურთს გაყიდის, სპორტის ამ სახეობით ველარასოდეს დაკავდება! მართალია, ყველას და ყველაფერს ვერ ვაკონტროლებთ, მაგრამ თუ ასეთ დანაშაულში ვინმეს გამოვიჭერთ, სამუდამო დისკვალიფიკაციას მივუსჯით!"*

## გივენი მოასწრებს

გუშინ გაირკვა, რომ ირლანდიის ნაკრების მეკარე **შეი გივენი** ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩამდე (კვირას, ხორვატიასთან) გამოჯანმრთელებას მოასწრებს და მოედანზე გავა. „ასტონ ვილას" მეკარემ სამშაბათს ვერ ივარჯიშა, მაგრამ უკვე ყველაფერი კარგადაა: *„მადლობა ღმერთს, რომ სერიოზული არაფერია,"* - განაცხადა გუშინ ირლანდიელთა დამრიგებელმა **ჯოვანი ტრაპატონიმ**.

შეი გივენს ირლანდიის ნაკრებში 121 მატჩი აქვს ჩატარებული და მისი არყოფნა ტრაპატონის გუნდისთვის სერიოზული დანაკლისი იქნებოდა, რადგან მეორე და მესამე მეკარეებს, **დევიდ ფორდს** (მილუოლი) და **კეირენ ვესტვუდს** (სანდერლენდი) ნაკრებში თამაშის მწირი გამოცდილება (11 მატჩი ორივეს ერთად) აქვთ.

ევრო 2012. ჰოლანდიის ნაკრები

# ჰოლანდია დანიისთვის იმუხტება

## მატეისენი მომჯობინდა, ჰეიტინგა ჯერ ვერა

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჰოლანდიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩს (შაბათს, დანიასთან) საკადრო პრობლემების გარეშე შეხვდება: ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე ის არის, რომ ნარინჯისფერების დაცვის ბურჯმა **იორის მატეისენმა** ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა. ეს უკანასკნელი ათი დღის წინ, ბულგარეთთან ამხანაგურ შეხვედრაში (1:2) დაშავდა და მას მერე სრული დატვირთვით არ ვარჯიშობდა.

32 წლის ცენტრალურ მცველს ტრავმა არ გაუმიზეზდა და დანიასთან ალბათ სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს. *„მატეისენი ჩვენი გუნდის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა და მისი არყოფნა უდიდესი დანაკლისი იქნებოდა. დღევანდელი მდგომარეობით, დანიასთან მოედანზე გასვლა შეეძლება და ეს ძალიან მიხარია,"* - აცხადებს ჰოლანდიელთა მთავარი მწვრთნელი **ბერტ ვან მარვიიკი**.

სამაგიეროდ, ვერ ივარჯიშა ნარინჯისფერების კიდევ ერთმა მცველმა **ჯონ ჰეიტინგამ**, თუმცა ვან მარვიიკის თქმით, ეს გადაწყვეტილება მან სიფრთხილის გამო მიიღო. *„მწვრთნელმა სამედიცინო შტაბთან შეთანხმებით გადაწყვიტა, რომ დავესვენებინე. ძალიან დამღლელი სეზონი მქონდა და მძიმე დატვირთები გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული,"* - აღნიშნა „ევერტონის" ფეხბურთელმა.

ჩვენი ჰოლანდიელი კოლეგები წერენ, ფეხბურთელებს ეტყობათ, რომ კარგ ხასიათზე არიან და დანიასთან მატჩს მოუთმენლად ელოდებიანო. *„ძალიან კარგი პირობები გვაქვს – სასტუმროც შესანიშნავია და სავარჯიშო მოედანიც. ერთი სული გვაქვს, როდის მოვა შაბათი. დანიასთან ძალიან კარგად უნდა ვითამაშოთ,"* - ეს ჰოლანდიელთა კაპიტნის, **მარკ ვან ბომელის** სიტყვებია.

## ვან პერსი დუმს, ჰუნტელაარი საუბრობს

**რობინ ვან პერსისა** და **კლაას-იან ჰუნტელაარის** კონფლიქტთან დაკავშირებით ახალი არაფერია. მათ შორის სერიოზული დაპირისპირება არც ყოფილა, უბრალოდ, როგორ იცით, ჰუნტელაარმა უდიდესი უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ვან მარვიიკი ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებს და ორი ცენტრფორვარდით თამაშზეც უარს ამბობს, რაც ვან პერსის და ჰუნტელაარს არა ერთმანეთის კონკურენტებად, არამედ თანამოაზრეებად გამოიყვანდა.

ჰუნტელაარს ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება ან აღარ სურს, ანაც ლაპარაკი აუკრძალეს. მართალია, „შალკეს" გოლეადორი და ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი ჟურნალისტებს ესაუბრება, მაგრამ ახალს არაფერს ამბობს: *„ამ თემაზე უკვე ყველაფერი ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა. ყველამ გაიგო, რომ გაბრაზებული და ნაწყენი ვარ. ახლა კი, სიმართლე გითხრათ, ამაზე ლაპარაკით უკვე დავიღალე,"* - აცხადებს ჰუნტელაარი.

შეგახსენებთ, რომ დანიასთან მატჩის შემდეგ, ჰოლანდიელებს მეორე ტურში (ოთხშაბათს) გერმანიასთან დუელი ელით, ხოლო 17 ივნისს პორტუგალიას შეხვდებიან.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

# ჩეხეთის ეროვნული ნაკრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩეხეთის რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია**
www.fotbal.cz

**ტიტული: 1**
როგორც ჩეხოსლოვაკიის სამართალმემკვიდრე

**მატჩები ევრო 2012-ზე**

**VS რუსეთი**
8 ივნისი. ვროცლავი. 22.45

**VS საბერძნეთი**
12 ივნისი. ვროცლავი. 20:00

**VS პოლონეთი**
16 ივნისი. ვროცლავი. 22:45

**საუკეთესო შედეგი მუნდიალზე:** ჯგუფური ეტაპი (2006)
**საუკეთესო შედეგი ევროზე:** ჩემპიონი (1976)
**ყველაზე მეტი გოლი:** იან კოლერი - 55 (1999-2009)
**ყველაზე მეტი მატჩი:** კაროლ პობორსკი - 118 (1994-2006)
**ფიფას რეიტინგი:** 26




## ფეხბურთელთა სტატისტიკა საკვალიფიკაციო ტურნირში

მ. კადლეცი (10 თამაში, 4 გოლი), ჩეხი (9), პლაშილი (9, 2), ჰუბნიკი (9, 1), როსიცკი (9), პოშპეხი (8), სივოკი (7, 1), ბაროში (7, 1), ჰუბშმანი (7), ჟირაჩეკი (5, 1), ნეციდი (5, 1), პეხარტი (5), პუდილი (5), რეზეკი (5, 2), გაბრე სელასიე (4), კოლარი (4), პოლაკი (4), ბედნარი (3), პილარი (3, 1), შტაინერი (2), ლაფატა (2), ვაჩეკი (2), სუხი (2), პეტრჟელა (2), რაინოხი (2), ჰლუშეკი (2), მაგერა (1), მორავეკი (1), ლაშტუვკა (1), ვ. კადლეცი (1, 1), ჰოლეკი (1), ფენი (1).



**ჩეხები ვერ მოხვდნენ 2010 წლის მუნდიალზე და კინაღამ ვერც ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზეს - პლეი ოფში გამოუცდელი ჩერნოგორია რომ არ შეხვედროდა, ვინ იცის, რა მოხდებოდა. მოკლედ, ის დრო, როცა ისინი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში თამაშობდნენ (2004) წარსულს ჩაჰბარდა.**

**ვარსკვლავი:** თეოდორ გაბრე სელასიე პირველი შავკანიანი ფეხბურთელია, რომელიც ჩეხეთის ნაკრებში თამაშობს. ის მარჯვენა ფლანგის ნამდვილი ბატონ-პატრონია.

**სუსტი წერტილი:** ცენტრალური დაცვა და შეტევის ხაზი.

**მწვრთნელი:** მიხალ ბილეკი ჩეხეთის ნაკრებს 4-2-3-1 ტაქტიკური სქემით ათამაშებს.



**1. პეტრ ჩეხი**
მეკარე. ჩელსი (ინგ)
20.05.1982
197 სმ, 92 კგ
90 თამაში



**2. თეოდორ გაბრე სელასიე**
მცვ. ლიბერეცი
24.12.1986
182 სმ, 70 კგ
9 თამაში



**5. რომან ჰუბნიკი**
მცვ. ჰერტა (გერმ)
06.06.1984
192 სმ, 83 კგ
21 თამაში, 2 გოლი



**12. ფრანტიშეკ რაიტორალი**
მცველი. პლზენი
12.03.1986
179 სმ, 77 კგ
2 თამაში



**11. მილან პეტრჟელა**
ნახ. პლზენი
19.06.1983
175 სმ, 65 კგ
9 თამაში



**17. ტომაშ ჰუბშმანი**
ნახ. შახტარი (უკრ)
04.09.1981
180 სმ, 76 კგ
42 თამაში



**22. ვლადიმირ დარიდა**
ნახ. პლზენი
08.08.1990
170 სმ, 66 კგ
1 თამაში



**20. ტომაშ პეხარტი**
თავდ. ნიურნბ. (გერმ)
26.05.1989
194 სმ, 75 კგ
10 თამაში



**16. იან ლაშტუვკა**
მეკარე. დნიპრო (უკრ)
07.07.1982
191 სმ, 87 კგ
1 თამაში



**3. მიხალ კადლეცი**
მცვ. ლევერკ. (გერ)
13.12.1984
183 სმ, 75 კგ
34 თამაში, 8 გოლი



**6. ტომაშ სივოკი**
მცვ. ბეშიქთ. (თურ)
15.09.1983
184 სმ, 77 კგ
25 თამაში, 3 გოლი



**9. იან რეზეკი**
ნახ. ანორთოსისი (კვიპრ.)
05.05.1982
177 სმ, 68 კგ
13 თამაში, 3 გოლი



**13. იაროსლავ პლაშილი**
ნახ. ბორდო (საფრ)
05.01.1982
183 სმ, 72 კგ
71 თამაში, 6 გოლი



**18. დანიელ კოლარი**
ნახ. პლზენი
27.10.1985
180 სმ, 77 კგ
10 თამაში, 1 გოლი



**7. ტომაშ ნეციდი**
თავდ. ცსკა (რუს)
13.08.1989
193 სმ, 84 კგ
25 თამაში, 7 გოლი



**21. დავიდ ლაფატა**
თავდ. ლიბერეცი
18.09.1981
180 სმ, 72 კგ
17 თამაში, 2 გოლი



**23. იაროსლავ დროზნი**
მეკ. ჰამბ. (გერმ)
18.10.1979
192 სმ, 90 კგ
5 თამაში



**4. მარეკ სუხი**
მცველი. სპარტაკი (რუს)
29.03.1988
182 სმ, 80 კგ
3 თამაში



**8. დავის ლიმბერსკი**
მცველი. პლზენი
06.10.1983
179 სმ, 79 კგ
8 თამაში



**10. ტომაშ როსიცკი (კაპ)**
ნახ. არსენ. (ინგ)
04.10.1980
178 სმ, 65 კგ
85 თამაში, 20 გოლი



**14. ვაცლავ პილარი**
ნახ. ვოლფს. (გერმ)
13.10.1988
170 სმ, 68 კგ
8 თამაში, 1 გოლი



**19. პეტრ ჟირაჩეკი**
ნახ. ვოლფს. (გერმ)
02.03.1986
180 სმ, 77 კგ
7 თამაში, 1 გოლი



**15. მილან ბაროში**
თავდ. გალათ. (თურ)
28.10.1981
184 სმ, 68 კგ
88 თამაში, 40 გოლი



**მიხალ ბილეკი**
მწვრთნელი
13.04.1965

# საბერძნეთის ეროვნული ნაკრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია

www.epo-gr

ტიტული: 1 (2004)

**მატჩები ევრო 2012-ზე**

**VS პოლონეთი**
8 ივნისი. ვარშავა. 20.00

**VS ჩეხეთი**
12 ივნისი. ვროცლავი. 20:00

**VS რუსეთი**
16 ივნისი. ვარშავა. 22:45

**საუკეთესო შედეგი მუნდიალზე:** პლეი ოფი I რაუნდი (1990)
**საუკეთესო შედეგი ევროზე:** ჩემპიონი (2004)
**ყველაზე მეტი გოლი:** ნიკოს ანასტოპულოსი - 29 (1977-1988)
**ყველაზე მეტი მატჩი:** თეოდოროს ზაგორაკისი - 120 (1994-2007)
**ფიფას რეიტინგი:** 14



## ფეხბურთელთა სტატისტიკა საკვალიფიკაციო ტურნირში

კარაგუნისი (10, 1), სალპინგიდისი (10, 1), კაცურანისი (9), პაპასტატოპულოსი (8), სამარასი (8, 1), ა. პაპადოპულოსი (7), ტოროსიდისი (7, 2), ნინისი (7, 1), ციოლისი (6), ფეცფაციდისი (6, 2), სიფაკისი (6), ვინტრა (5), მიტროგლუ (5), კ. პაპადოპულოსი (4, 2), კაფესი (4), გეკასი (4, 1), სპიროპულოსი (4, 1), მაკოსი (3), მანიატისი (3), ზარადუკასი (3), ცორვასი (3), ცაველასი (3), ლიბეროპულოსი (2), კონე (2), სეიტარიდისი (2), ფოტაკისი (2, 1), გეორგიადისი (1), კონსტანტოპულოსი (1), მორასი (1), ქრისტოდულოპულოსი (1), ათანასიადისი (1), ქარისტეასი (1, 1).



**ბოლო** დეკადაა საბერძნეთის ნაკრები სტაბილური გუნდია - შესაბამისად, ზედიზედ მესამედ თამაშობს ევროპის ჩემპიონატზე (2004-ში ჩემპიონიც კი გახდა). „ოქროს გუნდიდან“ 23-კაციან სიაში კიდევ 2 ტრიუმფატორია.

**ვარსკვლავი:** თუკი საბერძნეთს სურს წარმატებას მიაღწიოს, მაშინ კარგად უნდა ითამაშოს თეოფანის გეკასმა. გეკასი ელინთა შეტევების მთავარი იმედია.

**სუსტი წერტილი:** გუნდში დისციპლინა მოიკოჭლებს. იგივე გეკასი, კოსტას კაცურანისი დისკვალიფიკაციის მიღების კანდიდატები არიან.

**მწვრთნელი:** ფერნანდუ სანტუშმა გუნდი საკვალიფიკაციო ეტაპზე დაუმარცხებლად გაატარა. პორტუგალიელმა ხელი არ ახლო დაცვის აწყობილ სისტემას, თუმცა უფრო შემტევ ფეხბურთს (4-3-3) ათამაშებს გუნდს.



1. კოსტას ჭალკიასი
მეკარე. პაოკ
30.05.1974
196 სმ, 92 კგ
30 თამაში



2. იანის მანიატისი
მცვ. ოლიმპიაკოსი
12.10.1986
178 სმ, 78 კგ
9 თამაში



5. კირიაკოს პაპადოპულოსი
მცვ. შალკე (გერმ)
23.02.1992
183 სმ, 85 კგ
8 თამაში, 3 გოლი



19. სოკრატის პაპასტატოპულოსი
მცვ. ვერდერი (გერმ)
09.06.1988
185 სმ, 82 კგ
28 თამაში



10. გიორგოს კარაგუნისი (კაპ)
ნახ. პანათინაიკოსი
06.03.1977
176 სმ, 74 კგ
117 თამაში, 8 გოლი



21. კოსტას კაცურანისი
ნახ. პანათინაიკოსი
21.06.1979
183 სმ, 81 კგ
91 თამაში, 9 გოლი



7. გიორგოს სამარასი
თავ. სელტიკი (შოტ)
21.02.1985
192 სმ, 86 კგ
54 თამაში, 7 გოლი



14. დიმიტრის სალპინგიდისი
თავდ. პაოკ
18.08.1981
172 სმ, 74 კგ
56 თამაში, 6 გოლი



12. ალექსანდროს ცორვასი
მეკ. პალერმო (იტ)
12.08.1982
188 სმ, 80 კგ
16 თამაში



3. გიორგოს ცაველასი
მცვ. აინტრახ (გერ)
26.11.1987
183 სმ, 72 კგ
6 თამაში



8. ავრამ პაპადოპულოსი
მცვ. ოლიმპიაკოსი
03.12.1984
186 სმ, 79 კგ
33 თამაში



20. იოსე ჰოლებასი
მცვ. ოლიმპიაკოსი
27.06.1984
185 სმ, 81 კგ
4 თამაში



16. გიორგოს ფოტაკისი
ნახ. პაოკ
29.10.1981
176 სმ, 73 კგ
10 თამაში, 2 გოლი



22. კოსტას ფორტუნისი
ნახ. კაიზერ. (გერმ)
16.10.1992
182 სმ, 70 კგ
3 თამაში



9. ნიკოს ლიბეროპულოსი
თავდ. აეკ
04.08.1975
187 სმ, 82 კგ
75 თამაში, 13 გოლი



17. თეოფანის გეკასი
თავდ. სამს. (თურ)
23.05.1980
179 სმ, 76 კგ
58 თამაში, 21 გოლი



13. მიხალის სიფაკისი
მეკარე. არისი
09.09.1984
189 სმ, 79 კგ
12 თამაში



4. სტელიოს მალეზასი
მცველი. პაოკ
11.03.1985
194 სმ, 79 კგ
2 თამაში



15. ვასილის ტოროსიდისი
მცვ. ოლიმპიაკოსი
10.06.1985
185 სმ, 80 კგ
44 თამაში, 6 გოლი



6. გრიგორის მაკოსი
ნახ. აეკ
18.01.1987
183 სმ, 78 კგ
11 თამაში



18. სოტარის ნინისი
ნახ. პანათინაიკოსი
03.04.1990
173 სმ, 69 კგ
19 თამაში, 2 გოლი



23. იანის ფეცფაციდისი
ნახ. ოლიმპიაკოსი
21.12.1990
165 სმ, 61 კგ
13 თამაში, 3 გოლი



11. კოსტას მიტროგლუ
თავდ. ატრომიტოსი
12.03.1988
188 სმ, 85 კგ
13 თამაში



ფერნანდუ სანტუში
მწვრთნელი
10.10.1954

## ქართული სპორტი

● თბილისი - 2015. ოლიმპიური ფესტივალი

# სიმძიმე – ფედერაციებზე!

### ტურისტებს ნუ გაგზავნითო, გვირჩიეს ევროპელებმა

**გუშინ** ორდღიანი სამუშაო ვიზიტი დაამთავრა ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ოთხკაციანმა დელეგაციამ, რომელიც „თბილისი-2015“ მზადებას გაეცნო.

თბილისში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საკოორდინაციო კომისიის სლოვაკი თავმჯდომარე **იოზეფ ლიბა** და ამავე კომისიის წევრები, ჩეხი **კატერინა ნიცოვა**, სერბი **ჯორჯ ვისაცკი** და ბერძენი **სტრატოს კარეტოსი** იმყოფებოდნენ. ლიბა ადრეც იყო ჩამოსული ასევე საორგანიზაციო საკითხების გასაცნობად.

სტუმრებმა დაათვალიერეს მომავალი ფესტივალის ჩასატარებლად შეგულებული სავარაუდო ბაზები, რომელთაგანაც ზოგიერთის მასპინძლობა გადაწყვეტილია, ზოგის საკითხი კი ჯერაც გაურკვეველია - სპორტის სასახლე, ვერის ბაღი, ეროვნული სტადიონი, სპორტკომპლექსები „ქარიშხალა“, „არენა“, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს **ირაკლი სამყურაშვილმა** მკაფიოდ განმარტა, რომ კონკრეტულ სახეობაში შეჯიბრების ჩატარების მთელი სიმძიმე, საორგანიზაციო საკითხები სრულად გადადის ფედერაციების მხრებზე. ხელმძღვანელი სტრუქტურები მხოლოდ დაეხმარებიან ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებაში, თუმცა შეჯიბრებათა ღირსეულად ჩატარებაზე მთელი პასუხისმგებლობა ფედერაციებს ეკისრებათ და ამიტომ მათ სრული მობილიზება სთხოვა. სწორედ ეს ფაქტორი - ქართული ფედერაციების გამოუცდელობა იქცა შეხვედრის ერთ-ერთ საკვანძო თემად. დაასახელეს სამი ფედერაცია, რომლებსაც არანაირი გამოცდილება არ აქვთ საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობაში - ცურვა, ველოსპორტი და სპორტული ტანვარჯიში. აუცილებელია, მათ ფესტივალამდე გარკვეული, თუნდაც რეგიონული მასშტაბის საერთაშორისო რანგის შეჯიბრებები გამართონ და მიიღონ ორგანიზების გამოცდილება. ითქვა, რომ ამ მხრივ ჩვენებს ძალიან გამოადგებათ გაისად ჰოლანდიურ უტრეხტში გასამართი ანალოგიური ფესტივალი.




სტუმრები და ირაკლი სამყურაშვილი (მარჯვნივ)

დარბაზი, ხელბურთის სკოლა გლდანში, ძიუდოს აკადემია დიღომში; მოინახულეს თბილისის ზღვის ის ნაწილი, სადაც განზრახულია ოლიმპიური სოფლის გაშენება, გაეცნენ სოფლის მაკეტს, შეხვდნენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **გია ნაცვლიშვილს**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს **ვლადიმერ ვარძელაშვილს**, გუშინ კი შუადღისას შემაჯამებელი შეხვედრა გამართეს ფესტივალის პროგრამაში შეტანილი ცხრა სახეობის (კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ცურვა, ველოსპორტი, ტანვარჯიში, ძიუდო) ფედერაციების პრეზიდენტებთან.

ევროპელებმა ძირითადად დადებითად შეაფასეს აქაური სპორტული ბაზების ამჟამინდელი მდგომარეობა, თუმცა შენიშვნებიც გამოითქვა. ფესტივალის სპორტულმა დირექტორმა, სპორტის სამინისტროს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ლიბამ ურჩია ქართულ მხარეს, გააგზავნონ იქ წარმომადგენლები, ოღონდ იქვე მიუთითა, ისეთები გაუშვით, რომლებიც 2015 წლამდე იმუშავებენ ფედერაციებში და ჰოლანდიაში მიღებულ გამოცდილებას კოლეგებს გადასცემენო. ანუ ლიბამ ლამის პირდაპირ გვითხრა, ტურისტებს ნუ გააგზავნით, პროფესიონალები შეარჩიეთო.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კაკაბაძემ** საერთაშორისო ტურნირის ორგანიზებაში დახმარება ითხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ნადირაძე** დაინტერესდა, მოიწონეს თუ არა სტუმრებმა ველოტრასების სავარაუდო მარშრუტი. აღმოჩნდა, რომ თურმე მოიწონეს და იქ შეჯიბრების გამართვა დასაშვებად მიიჩნიეს.

**ირაკლი თავაძე**

● ბალახის ჰოკეი

# ზღვა, ჰოკეი და ქუთაისი



**ჰოკეიში** 16 წლამდე ასაკის გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრეს ბათუმმა უმასპინძლა. სპორტკომპლექს „მარინაზე“ ჩატარებული მატჩების შემდეგ ოთხგუნდა ჩემპიონატის ცხრილი საბოლოოდ დალაგდა და პირველადგილოსანიც გამოვლინდა.

ჩემპიონის ტიტული „ქუთაისმა“ მოიპოვა, რომელმაც მწვრთნელების **ავთანდილ თევდორაძისა** და **ფიქრია ნიკოლაძის** თავკაცობით მეორე წრეშიც ყველა შეხვედრა მოიგო. ვერცხლის პრიზიორი „აბაშა“ გახდა (მწვრთნელი **კოტე კუჭუხიძე**), მესამეზე კი აჭარის ნაკრები გავიდა (მწვრთნელი **ავთანდილ წითელაძე**). ჩემპიონატის ბომბარდირის პრიზი ქუთაისელმა **თამუნა სუპატაშვილმა** მიიღო, რომელმაც მეტოქეთა კარი 14-ჯერ დალაშქრა. მასვე გადაეცა ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი პრიზი. საქართველოს გოგონათა ნაკრები, რომლის ძირითადი ბირთვი ქუთაისელი ჰოკეისტებით არის დაკომპლექტებული, მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონატში, რომელიც 5-8 ივლისს საფრანგეთში გაიმართება.

„ქუთაისის“ მწვრთნელმა და საქართველოს ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ავთანდილ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება (ხელმძღვანელი **დავით აბულაძე**) ევროპის ჩემპიონატისთვისაც გვერდით დაუდგება ქუთაისურ გუნდს.

**დავით კოხრეიძე**

● წყალბურთი

# ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ

**საწყლოსნო** კომპლექს „ოლიმპიკში“ საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის ბოლო ოთხი მატჩი გაიმართა, რომლებმაც ნახევარფინალისტები გამოავლინა.

**ჭაბუკთა ნაკრები-ივერია 8:9**

1:1, 2:2, 3:2, 2:4

**ჭაბუკთა ნაკრები:** ინწკირველი, ჩიკვაიძე (3), რევია, იმნაიშვილი (1), გაბადაძე, ბითაძე (1), ჯახაია, ჩერქეზიშვილი, კახეთელიძე (1), ჩომახაშვილი, კაკულია (2), თუხარელი. მთავარი მწვრთნელი პოპოვიჩი.

**ივერია:** შუბლაძე, ჩიქვინიძე, ქარჩილაძე (1), ცანკაშვილი (2), ქართველიშვილი (5), გელაშვილი, ბულაძე, სულაძე, რცხილაძე (1), კაპანაძე. მთავარი მწვრთნელი ჩომახიძე.

ორივე გუნდი მომდევნო ეტაპზე გასასვლელად იბრძოდა, ამიტომ მოგებაც ჰაერივით სჭირდებოდათ, რამაც განაპირობა კიდეც მატჩის სიმწვავე და დრამატულობა. პირველ ორ პერიოდში ლიდერი ვერ გამოიკვეთა. მესამეში **იოვან პოპოვიჩის** შეგირდებმა ერთი ბურთით დაწინაურება შეძლეს, თუმცა ბოლო რვაწუთიან მონაკვეთში „ივერიამ“, რომელიც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებითაა დაკომპლექტებული, მატჩის ბედი შემოაბრუნა და გაიმარჯვა კიდეც - 9:8.

**თბილისი-ლიგამუსი 10:22**

3:4, 2:4, 2:5, 3:9

**თბილისი:** ნამორაძე, ქენქაძე, კოტარია (2), ბაბუნაშვილი (1), ლაითაძე (3), ყავლაშვილი (1), ტუკვაძე (1), რაფავა, ჩერქეზიშვილი, ჩომახაშვილი, ალიბეგაშვილი (2), ლომიძე, კინწურაშვილი. მთავარი მწვრთნელი ბაქრაძე.

**ლიგამუსი:** ჭუმბურიძე, თუხარელი, მანძულაშვილი, ბაქრაძე, ხვედელიანი (1), რუსიშვილი (3), გიორგაძე (7), გეგელაშვილი (8), ნიკოლეიშვილი (3), გაბადაძე, შენგელია, მთავარი მწვრთნელი ისელიძე.

საქართველოს ჩემპიონ „ლიგამუსსა“ და ვიცე-ჩემპიონ „თბილისს“ ფინალში თამაშის უფლება ჯგუფური ტურნირის დამთავრებამდე უკვე განაღდებული ჰქონდათ, ამიტომ ლაღად ითამაშეს და გულშემატკივრებმა უხვგოლიანობით იხალისეს.

ლიგამუსელთაგან განსაკუთრებით გეგელაშვილმა და გიორგაძემ იყოჩაღეს - მეტოქის კარში, შესაბამისად, 8 და 7 გოლი გაიტანეს.

**ლიგამუსი-ჭაბუკთა ნაკრები 14:13**

3:1, 6:1, 3:3, 2:8

**ლიგამუსი:** ჭუმბურიძე, თუხარელი, მანძულაშვილი (1), ბაქრაძე (1), ხვედელიანი (4), რუსიშვილი, გიორგაძე (1), გეგელაშვილი (5), ნიკოლეიშვილი (2), შენგელია. მთავარი მწვრთნელი ისელიძე.

**ჭაბუკთა ნაკრები:** ინწკირველი, ჩიკვაიძე (4), რევია, გაბადაძე, ბითაძე (2), ჯახაია (1), ჩერქეზიშვილი, კახეთელიძე (2), ჩომახაშვილი, კაკულია (3), მაგრაქველიძე (1), მთავარი მწვრთნელი პოპოვიჩი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ლიგამუსს” ამ მატჩში მოტივაცია აკლდა, მაგრამ პაექრობა მაინც არ დაუთმია, თუმცა ბოლო პერიოდში ჭაბუკი წყალბურთელები გამარჯვებისგან არც ისე შორს იყვნენ. პირველი ორი პერიოდის შემდეგ, რაც ილიაუნელები 9:2 დაწინაურდნენ, ვერავინ იფიქრებდა, რომ ჩემპიონთა წარმატება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. შეხვედრის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე 3-3 საჯარიმო შენიშვნის გამო სარბიელი დატოვეს **ბაქრაძემ და ნიკოლეიშვილმა**. აუზში 5 მოთამაშით დარჩენილმა ლიგამუსელებმა მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და საკუთარ კარში რვა ბურთი მიიღეს, თავად კი ორი გოლი გაიტანეს და საბოლოოდ მინიმალური ანგარიშით - 14:13 გაიმარჯვეს და პოპოვიჩის შეგირდებს ნახევარფინალის გზა გადაუღობეს.

**ზვიგენები-თბილისი 21:17**

2:5, 7:5, 7:2, 5:5

**ზვიგენები:** ციხელაშვილი, ალავიძე (2), მოსეშვილი, ჩოდრიშვილი (3), ბერიშვილი, შერვაშიძე (2), გოგელია (5), ცაგარელი (5), ბრეგვაძე (2), დოლიძე, ალხაზოვი, ბალათურია, ქოიავა (2), დაუშვილი, მთავარი მწვრთნელი მაისურაძე.

**თბილისი:** ნამორაძე, ქენქაძე, კოტარია (7), ბაბუნაშვილი (1), ლაითაძე (3), ყავლაშვილი (1), ტუკვაძე (2), რაფავა, ჩერქეზიშვილი, ჩომახაშვილი (2), ალიბეგაშვილი (1), ლომიძე, კინწურაშვილი, მთავარი მწვრთნელი ბაქრაძე.

“ზვიგენები” მოუთმენლად ელოდნენ “ლიგამუსი”-ჭაბუკთა ნაკრების ორთაბრძოლის შედეგს. ჩემპიონატის დებიუტანტების მარცხმა ვეტერანებით დაკომპლექტებულ გუნდს ქვეყნის ვიცე-ჩემპიონებთან შეხვედრაში მოტივაცია გაუჩინა. მართალია, “თბილისი” პირველ პერიოდში მოწოდების სიმაღლეზე იდგა, რაც ანგარიშშიც აისახა, მაგრამ მერე პაექრობის სადავეები მეტოქეს გადააბარა, თანაც **ლაითაძემ** და **ტუკვაძემ** 3-3 პერსონალური ჯარიმის გამო მაყურებლებში გადაინაცვლეს. ვერცხლის პრიზიორმა მატჩი 17:21 დათმო. “ზვიგენებმა” ჭაბუკთა ნაკრებს ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბალანსის წყალობით აართვა ნახევარფინალის საგზური.

**სატურნირო მდგომარეობა ორი წრის შემდეგ**

„ლიგამუსი“ - 20, „თბილისი“ - 12, „ივერია“ - 12, „ზვიგენები“ - 8, ჭაბუკთა ნაკრები - 8, ბათუმი - 0 ქულა.

8 ივნისს ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: „ლიგამუსი“ - „ზვიგენები“ (16.00), „თბილისი“ - „ივერია“ (17.30).

ფინალები შაბათს, 9 ივნისს, გაიმართება.

**ვაჟა დანელია**



● ჭადრაკი

# სუსტი სტარტი

**პარნაში** მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე მეორე-მესამე ტურების ორთაბრძოლები გაიმართა. უდანაკარგოდ სხვადასხვა ქვეყნის 8 წარმომადგენელი მეწინავეობს. სამწუხაროდ, მათ შორის ვერ ვხედავთ ქართველებს, არადა, შეჯიბრებაში შვიდი ჩვენებური მონაწილეობს. პირველ ტურში წარმატებით ითამაშეს **აკაკი შალამბერიძემ** და **ალექსანდრე ყაშაშვილმა**. მეორეში ყაშაშვილი ჰოვანეს გაბუზიანს დაუზავდა, შალამბერიძე პეტარ დრენჩევთან დამარცხდა. სამაგიეროდ, გათამაშების ცხრილში პირველი ქულები ჩაიწერეს **თამაზ მგელაძემ, ნინო მელაშვილმა, ვახტანგ ჩიქოვანმა** და **ნატო იმნაძემ,** რომლებმაც, შესაბამისად, რობ კონინის, ემილ სტეფანოვს, იორდან მეტევს და პლამენ მილოვს აჯობეს, ხოლო **მაია მუმლაძე** ჰეორი მინჩენკოს დანებდა.

მე-3 ტურში: კარენ გრიგორიანი-ალექსანდრე ყაშაშვილი 1:0, ნინო მელაშვილი-კრისტიან ჩირილა 0,5:0,5, არტიომ სმირნოვი-თამაზ მგელაძე 1:0, ნატო იმნაძე-ლიუბენ სპასოვი 0:ა, ნიკოლაი გოლიკოვი-აკაკი შალამბერიძე 0:1, ივა ვიდენოვა-ვახტანგ ჩიქოვანი 1:0, მაია მუმლაძე-რად სოლაკი 1:0. სამი ტურის შემდეგ 3-3 ქულა აქვთ შილონ ლის, ერვინ ლამის, ლევენტე ვაიდას, რადოსლავ დიმიტროვს, ტიგრან პეტროსიანს, თანირ ნაბათის, შანგლეი ლუსა და ალექსანდრ იპატოვს. ქართველთა მონაგარი კი ასეთია: შალამბერიძე-2, ყაშაშვილი, მელაშვილი-1.5-1.5, მგელაძე, იმნაძე, ჩიქოვანი, მუმლაძე-1- ქულა.

**ვაჟა დანელია**

სუპერლიგა. არმია




ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავახვედრეთ ქართული კალათბურთი და...

**ევროპულ ქვეყნებში ჩემპიონატის დასრულებისთანავე გუნდები ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებენ. საქართველოში აქამდე ასე არ იყო - კლუბების უმეტესობა სექტემბერში არკვევდა ყოფნა-არყოფნის საკითხს. ბოლო ორი წელიწადია, გამოჩნდა გუნდი, რომელიც მოსამზადებელ პროცესსაც ევროპულად გეგმავს და ევროპულადაც თამაშობს. აქედან გამომდინარე, საინტერესოა რას აპირებს ქვეყნის ჩემპიონი „არმია“...**

ამ კითხვით მთავარ მწვრთნელ **კოტე ტულუშს** მივმართეთ, რომელთან ერთად განვლილი სეზონი შევაფასეთ. იმასაც შეგახსენებთ, რომ 2011-12 წლების სეზონი მისთვის მთავარი მწვრთნელის რანგში სადებიუტო იყო.

- მართალია, იმ სფეროს, რომელშიც დიდი ხანია ვმოღვაწეობ, არ დავშორებივარ, მაგრამ კალათბურთელობა და მწვრთნელობა ერთმანეთისგან მაინც ძალიან განსხვავდება. გუნდის დამრიგებლობა მეტად რთული საქმეა. საჭიროა არა მხოლოდ კალათბურთელთა კონდიციებზე, ტაქტიკაზე ზრუნვა, არამედ გუნდის გამართვა ფსიქოლოგიურად, მოთამაშეებთან საერთო ენის გამონახვა, მათ შორის ურთიერთობის აწყობა...

**- თვლით, რომ სამწვრთნელო კარიერის „არმიის“ დარი სერიოზული გუნდით დაწყება სწორი ნაბიჯი იყო?**

- შესაძლოა, კალათბურთელის კარიერა ნაადრევად დავასრულე, მაგრამ დიდი ხნის წინათ მქონდა გადაწყვეტილი მწვრთნელის პროფესიის არჩევა. როცა ასეთ გადაწყვეტილებას იღებ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. პირველივე სეზონში საქართველოში ყველა შეჯიბრება მოვიგეთ (რომელშიც ვითამაშეთ). ასე რომ, დასაწყისი კარგი იყო.

**- განვლილ სეზონს გადავხედოთ. თუ იყო ისეთი ნიუანსი, რამაც უკმაყოფილების გრძნობა დაგიტოვათ?**

- სამწუხაროდ, ევროჩელენჯზე ჯგუფიდან ვერ გავედით. არადა მიზანთან ძალიან ახლოს ვიყავით. იმ პერიოდში გუნდში არაერთი იძულებითი ცვლილება განხორციელდა, თუმცა ჩემი მხრიდან გამართლების ძიება მართებული არ იქნება. გასულ სეზონში „არმიას“ ევროჩელენჯზე გამოსვლა გაკვეთილი უნდა იყოს.

**- საქართველოს ჩემპიონატი სტაბილურად ჩაატარეთ...**

- სეზონის განმავლობაში ერთ დონეზე თამაში რთულია. რეგულარული ეტაპი წაუგებლად ჩავამთავრეთ, ფინალურ სერიაში ერთი მატჩი წავაგეთ. საერთოდ კი, გასულ სეზონში „არმიას“ გამოსვლა კლუბის ხელმძღვანელობისა და გულშემატკივრის შესაფასებელია.

**- შვედი, პუერტორიკოელი, ამერიკელები... ასეთი მრავლფეროვანი კონტინგენტის ერთ მუშტად შეკვრა იოლი იყო?**

- ისევე როგორც ცხოვრებაში, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის საერთო ენის გამონახვა რთულია, მაგრამ უცხოელებს ქართული ტრადიციებით, ქართული კალათბურთით დავხვდით და საბოლოოდ გუნდი ერთი მიზნისთვის გავაერთიანეთ, რაშიც თითოეული კალათბურთელი დაგვეხმარა. დიდ ყურადღებას ვუთმობდით დისციპლინას. ამ მხრივ კარგი მაგალითი გვქონდა, რომელიც მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა მოგვცა.

**- „ლელოს“ გამოკითხვაში საუკეთესოდ უილიამ ტომასი დაასახელეთ. საბოლოოდ მან გაიმარჯვა. კალათბურთის ფედერაციის გამოკითხვით კი სეზონის საუკეთესო ბენ ვუდსაიდი იყო...**

- კალათბურთში ბევრი რამაა დამოკიდებული გამთამაშებელსა და მეფარეზე. მათ გარეშე წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია. გუნდში შარაბიძის შემდეგ ყველაზე ახალგაზრდა ტომასი გახლდათ. ასაკის მიუხედავად ტომასი ყველაზე სტაბილური იყო - არ მახსოვს, თამაში ჩაეგდოს. სწორედ მისი დახმარებით მოვახერხეთ ქუთაისში ბოლო წუთებზე მოგება. განსაკუთრებით დიდი წვლილი ფინალური სერიის მესამე მატჩის მოგებაში შეიტანა. ამ შეხვედრამ ბევრი გადაწყვიტა. ბენ ვუდსაიდი არანაკლებ ღირებული კალათბურთელია, რომელსაც გუნდში მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა. თუმცა იყო ერთი-ორი შეხვედრა, როცა მეტის გაკეთებას ვითხოვდით. გამოკითხვისას საუკეთესოდ ტომასი სტაბილურობის მიხედვით დავწერე, თორემ სხვებიც დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებდნენ. მაგალითად, ჯერემი რიჩარდსონი, რომელიც მეტად დადებითი პიროვნება და ძალიან ნიჭიერი კალათბურთელია. ყველაზე გამოცდილი შვედი იოაკიმ შელბომი იყო. ვთვლი, კალათბურთელების შერჩევისას ნამდვილად გაგვიმართლა.

**- შელბომი ევროჩელენჯზე უფრო მეტს თამაშობდა, ვიდრე საქართველოს ჩემპიონატში...**

- ვერ ვიტყვი, რომ იგი პირველობის დასკვნით ეტაპს ოპტიმალურ ფორმაში შეხვდა. ამაზე პასუხისმგებლობას მეც ვიღებ. მართლაც, შვედმა ევროჩელენჯის მატჩები გაცილებით უკეთესად ჩაატარა. იყო გარკვეული მიზეზები, რამაც საქართველოში დრო ცოტა შეუზღუდა: სუპერლიგაში მეტოქეები ყოველთვის ცდილობდნენ ჩვენს წინააღმდეგ დაბალი ხუთეულით სწრაფი კალათბურთი ეთამაშათ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთდროულად ხუთი უცხოელის მოედანზე გაყვანის უფლება არ გვქონდა.

**- ცალკე კითხვა უნდა დაისვას გილერმო დიასის შესახებ. მხოლოდ მისგან მახსოვს უკმაყოფილების საჯაროდ გამოხატვის ფაქტი - პირსახოცი მოისროლა...**

- დიასის მსგავს უნიკალურ კალათბურთელს არ შევხვედრივარ. საოცარი მონაცემები აქვს, თამაშის ორიგინალური მანერა... რომ მოენდომებინა, მისთვის მოედანზე შეუსრულებელი არაფერი იქნებოდა. თუმცა ხასიათით საკუთარ თავს ვნებდა. არადა, ჩემი აზრით, სანდიეტა გეინსზე ძლიერი იყო.

**- დიასი პუერტორიკოელია, ლათინურსა და ქართულ ხასიათს ხშირად ამსგავსებენ...**

- მართლაც, დიასი ფეთქებადი კალათბურთელია. იყო მცირე უსიამოვნო ნიუანსი, თუმცა საერთო ჯამში მას თბილად დავშორდით, ისევე როგორც ყველა დანარჩენ ლეგიონერს.

**- გუნდის ქართველ წევრებზეც გკითხავთ.**

- უცხოელების დარად ქულებს უხვად ვერ აგროვებდნენ, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, კალათბურთი გუნდური თამაშია და 3-4 კაცი მატჩს, მით უმეტეს ჩემპიონატს ვერ მოიგებს. გამართული იყო სისტემა, რომელშიც ყველას საკუთარი ადგილი ჰქონდა.

**- აღნიშნეთ, ლეგიონერებს თბილად დავშორდითო. წასვლის წინ დაბრუნებაზე თუ ელაპარაკეთ?**

- მომავალში ურთიერთობის გაგრძელებაზე ყველას ვესაუბრეთ, მაგრამ კონკრეტული წინადადებით არავისთვის მიგვიმართავს. ჯერ ხომ სამომავლო გეგმები სრულად არ გვაქვს ჩამოყალიბებული. ლეგიონერებმა გუნდში დაბრუნების სურვილი გამოთქვეს.

**- ბოლოს ქართული კალათბურთისთვის მნიშვნელოვანი კითხვაც: ითამაშებთ ევროჩელენჯზე?**

- დღეს ზუსტი პასუხის გაცემა მიჭირს. ჯერ ფიბა-ევროპასაც არ განუსაზღვრავს, რა სისტემით ჩატარდება შეჯიბრება, რამდენი გუნდი მიიღებს მონაწილეობას, როდის უნდა წარედგინოს მონაწილეობისთვის საჭირო დოკუმენტაცია. მხოლოდ ისაა გარკვეული, რომ წილისყრა 6 ივლისს გაიმართება.

## სეზონის მონაგარი

| № | მოთამაშე | თ | წთ | 2ქ.ჩ. | 2ქ.წ. | 2ქ% | 3ქ.ჩ. | 3ქ.წ. | 3ქ% | 1ქ.ჩ. | 1ქ.წ. | 1ქ% | მ.შ. | მ.დ. | მ | პ | ფ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ჯერემი რიჩარდსონი | 28 | 24.6 | 4.7 | 7.8 | 60.3 | 1.3 | 4.1 | 30.4 | 2.4 | 2.8 | 87.2 | 0.7 | 3.2 | 3.9 | 1.8 | 1.5 | 1.5 | 1.1 | 0.1 | 15.6 |
| 5 | ზვიად ბაბიაშვილი | 24 | 11.7 | 2.8 | 5.1 | 54.5 | 0.4 | 0.9 | 40.9 | 0.8 | 1.8 | 41.9 | 1.6 | 2.3 | 3.9 | 0.4 | 1.5 | 1 | 0.4 | 0 | 7.5 |
| 6 | ანატოლი ბოისა | 28 | 19.6 | 1.1 | 3.1 | 35.6 | 0.8 | 2.7 | 28 | 1 | 1.3 | 80 | 1.3 | 2.3 | 3.6 | 1.6 | 2.7 | 1.4 | 0.5 | 0.1 | 5.5 |
| 7 | ვახტანგ მინაშვილი | 16 | 12.1 | 2.2 | 4 | 54.7 | 0 | 0.1 | 0 | 1.1 | 1.6 | 69.2 | 1.3 | 2.5 | 3.8 | 0.4 | 1.3 | 1 | 0.5 | 0.1 | 5.5 |
| 8 | დავით უგრეხელიძე | 15 | 9.4 | 1.2 | 1.7 | 72 | 0 | 0.1 | 0 | 0.3 | 0.4 | 66.7 | 1.3 | 1.7 | 3 | 0.3 | 2.3 | 0.4 | 0.5 | 0.2 | 2.7 |
| 9 | ბუბა კვიმსაძე | 27 | 13.9 | 0.8 | 1.5 | 55 | 0.4 | 1.2 | 37.5 | 0.7 | 1.1 | 64.5 | 0.4 | 2 | 2.4 | 2 | 1.7 | 1 | 0.9 | 0.1 | 3.7 |
| 10 | უილიამ ტომასი | 27 | 27.4 | 6.4 | 10.6 | 60.3 | 0.3 | 1.1 | 25.8 | 2.9 | 4.2 | 69.9 | 1.9 | 5.9 | 7.8 | 1.9 | 1.1 | 0.8 | 0.8 | 0.4 | 16.6 |
| 11 | კლიფ ჰოუკინსი | 2 | 20 | 0.5 | 1 | 50 | 0.5 | 2.5 | 20 | 1 | 1 | 100 | 0 | 0 | 0 | 2.5 | 2 | 2 | 1 | 0 | 3.5 |
| 12 | ლევან მოსეშვილი | 9 | 3.3 | 0 | 1 | 0 | 0.2 | 0.8 | 28.6 | 0.2 | 0.2 | 100 | 0.3 | 0.6 | 0.9 | 0.2 | 0.3 | 0.8 | 0.2 | 0 | 0.9 |
| 13 | რევაზ ათანელიშვილი | 19 | 10.4 | 1.9 | 3.5 | 55.2 | 0 | 0.1 | 0 | 0.5 | 0.8 | 56.3 | 1.5 | 1.9 | 3.4 | 0.7 | 1.6 | 0.8 | 0.2 | 0.1 | 4.4 |
| 14 | იოაკიმ შელბომი | 29 | 20.4 | 3.6 | 5.3 | 67.5 | 0 | 0 | 0 | 1.7 | 3.1 | 55.6 | 2.7 | 4.1 | 6.8 | 1.1 | 2.3 | 1.1 | 1 | 1.7 | 8.9 |
| 15 | გილერმო დიასი | 26 | 25.9 | 3.3 | 6 | 54.1 | 1.2 | 3.9 | 30.7 | 1.9 | 2.3 | 82 | 0.7 | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.9 | 1 | 1.5 | 0.2 | 12 |
| 20 | ბენჟამინ ვუდსაიდი | 22 | 32.2 | 4 | 7.1 | 56.7 | 1.5 | 4.4 | 35.4 | 4 | 4.8 | 84 | 0.4 | 3.5 | 4 | 6.7 | 2.3 | 2 | 2.3 | 0.2 | 16.8 |
| 21 | დავით საყვარელიძე | 25 | 17 | 1.2 | 3 | 40.8 | 0.4 | 1.3 | 31.3 | 0.9 | 1.5 | 57.9 | 1 | 1.6 | 2.7 | 2.4 | 1.8 | 1.3 | 0.4 | 0.1 | 4.6 |
| 23 | გიორგი შარაბიძე | 7 | 8.4 | 1.6 | 3.1 | 50 | 0 | 0 | 0 | 0.4 | 0.4 | 100 | 1.1 | 0.9 | 2 | 0.6 | 2 | 1.1 | 0.3 | 0.1 | 3.6 |
| 24 | სანდიეტა გეინსი | 6 | 26 | 2.8 | 5.7 | 50 | 1.5 | 5 | 30 | 1.8 | 2.7 | 68.8 | 1.3 | 2.8 | 4.2 | 6.5 | 0.7 | 1.3 | 2.5 | 0 | 12 |

შემდგარი ტრანსფერი

# დევიდი და გოლიათი

### ბლატი შერმადინის შეძენით აღფრთოვანებულია

თელ-ავივის „მაქაბის“ ვებსაიტის პირველივე გვერდზე **გიორგი შერმადინის** დიდი ფოტო გამოქვეყნდა წარწერით: Welcome to Maccabi.

სურათს თან სტატიაც ერთვის:

„გიორგი შერმადინმა „მაკაბისთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მალე სამედიცინო შემოწმებასაც გაივლის. 23 წლის, 216 სმ სიმაღლის ქართველი ცენტრი თელავიველთა ახალი სეზონის წინ პირველი შენაძენია.

აი, რას ამბობს გუნდის მთავარი მწვრთნელი **დევიდ ბლატი**:

*- მოხარული ვართ, რომ გიორგი ჩვენს გუნდში ჩაირიცხა. იგი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ცენტრია ევროპაში და დარწმუნებული ვარ, ჩვენს სისტემას კარგად მოერგება. დიდი ხანია, შერმადინის თამაშს ვაკვირდები როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო სარბიელზე და ვფიქრობ, რომ მას ნებისმიერი მაღალი დონის გუნდის გაძლიერება შეუძლია. გიორგის პლუსი მხოლოდ სიმაღლე როდია, მოძრავი მეფარეა, ენერგიული და მშრომელი. იგი მოედანზე უკანახაზელივით დარბის, იბრძვის ყოველი მოხსნისა და ბურთისთვის, შეუძლია დაფარება. ხაზი უნდა გაესვას შერმადინის შეტევით პოტენციალს: კარგია მეტოქის ფარზე მოხსნებისას, დაყენებული საშუალო ტყორცნა აქვს, მაღალი პროცენტული სიზუსტით ისვრის საჯარიმოებს.“*




აკი ვამბობდით, დევიდ ბლატმა კარგად იცის, ვისთან აფორმებს კონტრაქტსო.

ქართველი NBA-ში

# ვარაუდი: ზაზა ლეიკერსში, გასოლი ატლანტაში

ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციას მიმდინარე სეზონში ოთხი გუნდიღა შერჩა, რომლებიც ნახევარფინალებს თამაშობენ. დანარჩენებში ახალი ჩემპიონატისთვის ემზადებიან. თუმცა დრაფტამდე კონკრეტულ ნაბიჯებს არავინ დგამს, მხოლოდ მსჯელობებითა და ვარაუდებით იფარგლებიან.

ერთი საინტერესო ვარაუდი გამოცემა „ბლიჩერ რეპორტში“ გამოქვეყნდა: ესპანელ **პაუ გასოლს** „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ დატოვება სურს და „ჩიკაგო ბულსში“ გადასვლაზე უარს არ ამბობს. თუმცა ზემოხსენებული ჟურნალის კორესპონდენტის თქმით, გასოლისთვის ურიგო ვარიანტი არც „ატლანტა ჰოქსი“ იქნება.

ოღონდ, გაცვლა უნდა განხორციელდეს - პაუს სანაცვლოდ „ლეიკერსს“ ფორვარდმა **ჯოშ სმიტმა** და ცენტრმა **ზაზა ფაჩულიამ** უნდა მიაშურონო.

რამდენად მოიგებს ამ „ტრეიდით“ „ატლანტა“, ძნელი სათქმელია, ჩვენი გადასახედიდან კი ფაჩულიას „ლეიკერსში“ გადასვლა ურიგო ვარიანტი არ უნდა იყოს.

ვარაუდებიდან რეალობაზე გადავინაცვლოთ: ზაზას „ჰოქსთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს. ასე რომ, ხელშეკრულების მიხედვით 28 წლის და 212 სმ სიმაღლის ქართველ ცენტრს „ატლანტაში“ კიდევ ერთი სეზონი აქვს სათამაშო.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**






რუბრიკას უძღვება ალექსანდრე ჯინორიძე

# პამირის მთებში

მოგესალმებით, პამირის მთათა სისტემა განფენილია ტაჯიკეთის (ძირითადად), ჩინეთის, ავღანეთისა და ყირგიზეთის ტერიტორიებზე. აქვს 7 ათასზე მეტი სიმაღლის რამდენიმე მწვერვალი და მათზე ასვლა, მით უმეტეს ფილმის გადაღება, განსაკუთრებულ უნარს მოითხოვს. საქართველოში არა ერთი მხატვრული და დოკუმენტური ფილმია გადაღებული მთამსვლელებზე. მათ გამარჯვებებსა და ტრაგედიებზე - ეს ბუნებრივიცაა. მთები ხომ ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმის (ალპინისტებზე ფილმის გადაღება) მაღალი რანგის ოსტატებად მამა-შვილი **ბორის** და **იგორ კრეპსები** ითვლებიან. იგორის და **ინა** კი ქართული სატელევიზიო კინოს შესანიშნავი მემონტაჟე იყო.

ფილმი „პამირის მთებში" ამ კინემატოგრაფიული დინასტიის ხელოვნების დამადასტურებელია. სურათში ასახულია ქართველი ალპინისტების ლაშქრობა პამირზე.

საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდია. ფერადი, ორი ნაწილი.

**სცენარის ავტორები და რეჟისორები:** ირაკლი კვირიკაძე და ბორის კრეპსი.

**ოპერატორი:** იგორ კრეპსი.

1960 წელი.



● აკაკი შანიძე - 125

# ქართული ჭადრაკის ქომაგი

გუშინ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა სხდომა, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი შანიძის დაბადებიდან 125 წლისთავს. სიტყვით გამოვიდნენ ქართველი აკადემიკოსები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები.

ხაზგასმით აღინიშნა, ისიც, რომ ა. შანიძე იყო ყოველივე ქართულის თავგამოდებული ქომაგი. უდიდესია მისი ღვაწლი ჭადრაკის ქართული ტერმინოლოგიის შესწავლისა და შექმნის საქმეში. აკაკი შანიძე და ქართული ჭადრაკი ქართული ისტორიის ულამაზესი ფურცლებია.

● ჩოგბურთი

# მარცხი ამერიკელთან

ნოტინგემის საერთაშორისო ტურნირის მერვედფინალში **ანა ტატიშვილმა** (75) ამერიკელ **კოკო ვანდევეგესთან** წააგო - 6:7, 5:7. ჩვენებურმა 14 სარეიტინგო ქულა მოაგროვა ამ ტურნირში, რაც ოლიმპიადის ლიცენზიისთვის ცოტაა, თუმცა საბოლოო პასუხი 11 ივნისს გვეცოდინება, როცა ახალი რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● უნივერსიადა 2012

# 22-დან 19-ში

საქართველოს 2012 წლის უნივერსიადის პროგრამით ოცდაორიდან სპორტის ცხრამეტ სახეობაში უკვე დამთავრდა შეჯიბრებები. გათამაშების ცხრილს დამაჯერებლად უდგას სათავეში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი, რომლის წარმომადგენლებმაც საერთო მონაგარი გუშინწინ კიდევ ერთი მედლით გაამდიდრეს: მომავალმა ტექნიკოსებმა ქუჩის კალათბურთში ყველა მეტოქეს სძლიეს, მათ შორის ფინალში თსუ-ს და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი გავიდა, მესამე იყო სამედიცინო უნივერსიტეტი.

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე მშვილდოსნებმა იასპარეზეს. აქ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენთა უპირატესობა აშკარა იყო: მათ ორი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.

გოგონებში 635 ქულით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ბათუმელი **ნანა მახარაძე**. გამარჯვებულს 28 ქულით ჩამორჩა და ვერცხლის მედალი ერგო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ **ლილი ოდოსაშვილს**. მახარაძის თანაგუნდელი **თეონა ფარსენაძე** 593 ქულით მესამე ადგილს დასჯერდა.

ვაჟებში ოქრო-ვერცხლი ზღვისპირელებმა მოიხვეჭეს: 664 ქულით პირველი იყო **გიგა კაკაბაძე**, 641 ქულით



მეორე ადგილი **გოგიტა კაკაბაძემ** დაიკავა. 624 ქულით ბრინჯაო **დავით ჭელიძეს** (თსუ) ხვდა.

19 სახეობის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: სტუ-53 (23 ოქრო, 13 ვერცხლი, 17 ბრინჯაო), აგრარული უნივერსიტეტი-44 (12, 13, 19), თსუ-36 (9, 16, 11), სამედიცინო უნივერსიტეტი-31 (7, 5, 19), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი-29 (6, 12, 11), გორის უნივერსიტეტი-11 (5, 6, 0), ბათუმის უნივერსიტეტი21 (5, 5, 11), საავიაციო უნივერსიტეტი-7 (4, 2, 1), სეუ-5 (4, 1, 0), სოხუმის უნივერსიტეტი-15 (3, 5, 7). სულ უნივერსიადის მედლები 25 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

**ვაჟა დანელია**



# ქართული სპორტის ქრონიკები

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

# ნონა გაფრინდაშვილი



გაფრინდაშვილი ნონა. დაიბადა 03.05.1941, ზუგდიდი. ჭადრაკი. მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონი ქალთა შორის. ჩემპიონობა მოიპოვა 1962 წელს ელიზავეტა ბიკოვას დამარცხებით (9:2) და შემდეგ ტიტული ოთხჯერ დაიცვა: 1965 (8,5:4,5), 1969 (8,5:4,5) და 1972 (8,5:7,5) წლებში სამჯერ მოუგო ალა კუშნირს, 1975-ში კი - ნანა ალექსანდრიას (8,5:3,5). ტიტული დათმო 1978 წელს მაია ჩიბურდანიძესთან მატჩში (6,5:8,5). საერთაშორისო დიდოსტატი ქალთა (1976) და კაცთა შორის (1978, ჭადრაკის ისტორიაში პირველად). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების 11-გზის ჩემპიონი (1963, 66, 69, 72, 74, 78, 80, 82, 84, 86 - სსრკ ნაკრებში; 1992 - საქართველოს ნაკრებში). სსრკ ხუთგზის ჩემპიონი (1964, 73, 81, 83, 85), ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი (1969, 72). ჭადრაკის ოსკარის პირველი მფლობელი (1982). საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი ქალი (ოქროს პრიზი). საქართველოს ორგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1969, 75). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი (1964). ფიდეს 68-ე კონგრესის გადაწყვეტილებით (1997) დაწესდა ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასი, რომელიც გადაეცემა კაცთა და ქალთა ოლიმპიადების ჯამში საუკეთესო ქვეყანას. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი (1989-96) და საპატიო პრეზიდენტი (1996-დან). საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი (2000-02). ფიდეს ქალთა კომისიის თავმჯდომარე (1980-86). 2001 წელს მისი სახელი მიენიჭა თბილისის ჭადრაკის სასახლეს. ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი (2001). ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის 1996 წელს მიენიჭა საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების სამი უმაღლესი ჯილდო: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორდენი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის საპატიო ორდენი და ევროპის ოლიმპიური კომიტეტის ორდენი.

ოლიმპიზმი

# მშვიდობის ჩირაღდანი 20 წლისაა

**2012 წლის 5 ივნისს ზუსტად 20 წელი შესრულდა, რაც ანტიკურ ოლიმპიაში, მთელი ისტორიის განმავლობაში უცხო ქვეყნიდან - მხოლოდ საქართველოდან ჩატანილი ქანდაკება დაიდგა.**

ოლიმპია ეს არის ძველი ბერძნული ქალაქი ელიდაში, პელოპონესის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთით. რელიგიური ცენტრი, ზევსის კულტისა და მისდამი მიძღვნილი თამაშების ჩატარების ადგილი. არქიტექტურული ანსამბლი ჩამოყალიბდა ძვ.წ. VII-IV საუკუნეებში. განადგურდა 426 წელს რომის იმპერატორ თეოდოსი II-ის ბრძანებით, როგორც წარმართული სარწმუნოების კერა. გადარჩენილი ნაგებობები და ქანდაკებები დაინგრა 522 და 551 წლების მიწისძვრების შედეგად. ოლიმპიის გათხრები პირველად დაიწყეს ფრანგმა არქეოლოგებმა 1829 წელს. გათხრებმა სისტემატური ხასიათი მიიღო 1875 წელს (გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ექსპედიცია ერნსტ კურციუსის ხელმძღვანელობით). ოლიმპიის ტერიტორიაზე აღმოჩენილია 130 ქანდაკება, 13 ათასამდე ბრინჯაოს ნივთი, 10 ათასამდე წარწერა ბრინჯაოს ფირფიტებზე, პელოპის სამლოცველოს (ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრული), ჰერას (VII ან VI ს. დასაწყისი), ზევსის (ძვ.წ. 468-456 წწ. არქიტექტორი ლიბონი), ღმერთების დედის (მეტროონი, ძვ.წ. IV ს.), ზევს სოსიპოლისის და ილითიას (ძვ.წ. 363 წ) ტაძრების, თორმეტი საგანძურისა და სხვა ნაგებობების ნაშთები. წმინდა ადგილის, სატაძრო კომპლექსის ფარგლებს გარეთ მდებარეობს ბულევტერიონის (ძვ.წ. VI-V სს.), კლასიკური ეპოქის სტადიონის, ლეონიდაიონის (ძვ.წ. IV ს. არქიტექტორი ლეონიდე), გიმნასიონის და ელინისტური პალესტრების ნანგრევები. ოლიმპიის მუზეუმში, ინახება გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთები და ქანდაკებები (მათ შორის აღსანიშნავია პრაქსიტელის ჰერმესი ჩვილი დიონისეთი და პეონიოსის ნიკე). დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, ჰერას ტაძრის ნანგრევებთან ანთებენ თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ჩირაღდანს და აქედან იწყება ე. წ. ცეცხლოვანი ესტაფეტა. 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის ოლიმპიაში საგანგებო სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა. იქვე გაიმართა ბირთვის მკვრელთა ოლიმპიური შეჯიბრება.



აი, ასეთ ქალაქში დაიდგა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საჩუქარი, მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაიას ბრწყინვალე ნამუშევარი - ბრინჯაოს ფრთოსანი ქალის ქანდაკება - მშვიდობის ჩირაღდანი ოლიმპიური თამაშების სამშობლოში 20 წლის წინათ, ბარსელონაში ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე.

კალენდარი

7-13 ივნისი

07. 1933 წ. დაიბადა [illegible] - ხელბურთი. გარდაიცვალა 2001 წელს.

07. 1948 წ. დაიბადა **თემურ ზენდიაშვილი** - მორაგბე, მწვრთნელი.

07. 1991 წ. დაფუძნდა საქართველოს ჩოგბურთის ეროვნული ფედერაცია.

08. 1958 წ. დაიბადა **ზურაბ სტურუა** - ჭადრაკი.

08. 1992 წ. ქ. მანილაში (ფილიპინები) გაიხსნა ქალთა XV და ვაჟთა XXX საჭადრაკო ოლიმპიადა. ქალთა შორის მთავარი პრიზი დაიმსახურა საქართველოს ნაკრებმა (**მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი**).

09. 1946 წ. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები პირველად ოფიციალურ მატჩში გამოვიდნენ ნომრებით მაისურებზე.

09. 1981 წ. დაიბადა **ირაკლი ლაბაძე** - ჩოგბურთი.

10. 1955 წ. დაიბადა **გიგლა (გია) იმნაძე** - ფეხბურთი (მეკარე).

11. 1962 წ. დაიბადა **მანანა მნათობიშვილი** - აკრობატიკა.




12. 1912 წ. დაიბადა **შალვა ჩიხლაძე** - ბ/რ ჭიდაობა, თავ. ჭიდაობა. გარდაიცვალა 1997 წელს.

12. 1943 წ. დაიბადა **ტარიელ ალიბეგაშვილი** - თავ. ჭიდაობა.

13. 1850 წ. დაიბადა **ანდრია დადიანი** - ჭადრაკი. გარდაიცვალა 1910 წელს.

ვიქტორინა

**1. რომელ წელს მიიღო საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დროებით წევრად საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი?**

ა - 1990 წელს
ბ - 1991 წელს
გ - 1992 წელს

**2. რომელ წლებში იყო თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი ვლადიმერ ბარქაია?**

ა - 1967-1969 წლებში
ბ - იყო მხოლოდ 1972 წელს
გ - არასდროს ყოფილა

**3. რომელ წელს დაფუძნდა საქართველოში კეტბურთი (ბეისბოლი) ფედერაცია და შეიქმნა პირველი კლუბი „ივერია"?**

ა - 1982 წელს
ბ - 1986 წელს
გ - 1991 წელს

**4. სად დაიბადა და დაიწყო კალათბურთის თამაში ვლადიმერ ბოისამ?**

ა - რუსეთში
ბ - ქუთაისში
გ - რუსთავში

**5. ტანვარჯიშის რომელი ქართველი მწვრთნელი მუშაობდა კუნძულ მადაგასკარზე 1979-1982 წლებში და დიდი წვლილი შეიტანა იქ სპორტის ამ სახეობის განვითარებაში?**

ა - არნოლდ კვეტენაძე
ბ - ჰანს ბურჯანაძე
გ - ნიკოლოზ მახვილაძე

პასუხები: 1 - გ, 2 - ა, 3 - ბ, 4 - ბ, 5 - ბ

# პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** სახეობა, რომელშიც საქართველოს სპორტსმენებმა ყველაზე ადრე მოიპოვეს საკავშირო ჩემპიონის ოფიციალური ტიტულები, მძლეოსნობა იყო. ჩვენი მძლეოსნები საკავშირო სარბიელზე 1924 წელს გამოჩნდნენ და იმთავითვე დაიმსახურეს საყოველთაო აღიარება.

■ ■ ■

**პირველმა** ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში ერთ ტაიმში ხუთი გოლი გაიტანა თბილისის „დინამოს" თავდამსხმელმა **ილია დათუნაშვილმა** ერევნის „არარატთან" მატჩში 1966 წლის 22 სექტემბერს. ეს შედეგი ფეხბურთში სსრკ ჩემპიონატების რეკორდად დარჩა.

■ ■ ■

**პირველად** სვანეთის კავკასიონის პირქუში მწვერვალი უშბა ექსპედიციაში ქალის მონაწილეობით ქართველმა მთამსვლელებმა დაიპყრეს 1934 წლის 31 აგვისტოს. ეს ქალი გახლდათ ლეგენდარული მთამსვლელების ალიოშა და სიმონ ჯაფარიძეების და ალექსანდრა, რომლის ორივე ძმა მთებთან ჭიდილში დაიღუპა - სიმონი 1924 წელს თეთნულდზე, ალიოშა 1946 წელს - უშბაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

# ოთხმოცი კეპი ირაკლი აბუსერიძისთვის

**საქართველოს ნაკრები ერთა თასის წლევანდელი გათამაშების ბოლო მატჩში თბილისში, 9 ივლისს „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ უკრაინის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნები“ ამ შეხვედრისთვის „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ ემზადებიან. გუშინ ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა ღია ვარჯიში გამართა.**

საქართველოს ნაკრებს გაფართოებული შემადგენლობიდან რამდენიმე მორაგბე აკლდა. ვარჯიშში მონაწილეობა არ მიუღიათ პირველხაზელებს, **დავით ზირაქაშვილს** (კლერმონი), **აქვსენტი გიორგაძეს** (ტულუზი), **ლევან ჩილაჩავას** (ტულონი) და **ბექა შეყლაშვილს** (აჟენი). ჯერ ისევ კლუბის განკარგულებაშია და ფედერალ 1 დივიზიონის ფინალში უნდა ითამაშოს „მასის“ მესამეხაზელმა **შალვა სუთიაშვილმა.**

„ბორჯღალოსნებმა“ ვარჯიში ძალოსნობის დარბაზში დაიწყეს, სადაც დაახლოებით ნახევარი საათი დაჰყვეს. მერე კი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** მორაგბეები რამდენიმე ჯგუფად დაყო. მორკინალების ორი მოკლე დარტყმის შემდეგ, შეტევას „ბორჯღალოსნები“ მოკლე ფრთაზე განაგრძობდნენ.

მოთამაშეებს მითითებებს ჰეიგთან ერთად **კრის გიბსი, ილია მაისურაძე** და **ილია ზედგინიძეც** აძლევდნენ. მწვრთნელებმა გუნდი ორად, „წითლებად“ და „თეთრებად“ გაჰყვეს. „წითლები“, რომლებიც, სავარაუდოდ, უკრაინის ნაკრებთან ძირითადი შემადგენლობა იქნება, შეტევის ორგანიზებას სტატიკური მდგომარეობიდან, აუტიდან და შერკინებიდან ცდილობდნენ. ამ ვარჯიშს „ბორჯღალოსნებმა“ ყველაზე დიდი დრო, თითქმის ერთი საათი დაუთმეს.

სავარაუდო ძირითადი შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა:

**15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. მერაბ შარიქაძე, 12. ლაშა მალაღურაძე, 11. ლექსო გუგავა, 10. ლაშა ხმალაძე, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. რეზო ბელქანია, 3. ირაკლი მირცხულავა, 4. ბაჩუკი გუჯარაიძე, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. გიორგი თხილაიშვილი, 7. გიორგი ჩხაიძე, 8. ზვიად მაისურაძე.**

ვარჯიშის მიწურულს, „წითლები“ დაცვაში დადგნენ და თეთრების შეტევებს იგერიებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცხელოდა, წვრთნამ ხალისიანად ჩაიარა და მორაგბეები დიდი მონდომებით ირჯებოდნენ. ბოლოს სამუშაოს ნაყოფიერად შესრულებისთვის ერთმანეთს აპლოდისმენტები უძღვნეს.

ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, საქართველოს ნაკრების კაპიტანი **ირაკლი აბუსერიძე** უკრაინის ეროვნულ გუნდთან მატჩში, ქართული რაგბისთვის სარეკორდო, მე-80 კეპს მოიხვეჭს.

**მილტონ ჰეიგი,** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

*„სამი დღეა ორჯერადი ვარჯიშებით ვემზადებით უკრაინასთან სათამაშოდ. გუნდში რამდენიმე ახალი მორაგბე გვყავს და საქმეში მათ გამოცდას ვაპირებთ. იმედი გვაქვს, ერთა თასის ბოლო მატჩს სრულ მზადყოფნაში შევხვდებით.“*

**ირაკლი აბუსერიძე,** საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

*„ცხადია, სასიხარულოა, რომ მეოთხმოცე კეპს მოვიხვეჭ, თუმცა ამ მატჩისთვისაც ისეთივე მონდომებით ვემზადები, როგორც ნებისმიერი სხვა რანგის შეხვედრისთვის. ყველაფერს ვილონებ, რომ ჩემს თანაგუნდელებს წინ უწინდელი შემართებით წარვუძღვე და გამარჯვება მოვიპოვოთ.*

*უკრაინის ნაკრები, მართალია, აუტსაიდერია, მაგრამ მას დასაკარგი არაფერი აქვს. გამოვა და, რაც შეუძლია, იბრძოლებს. ჩვენ კი ერთა თასი გვაქვს მოსაგები და საამისოდ მაქსიმალურად დავიხარჯებით.*

*ცხადია, უკრაინასთან მატჩს ამერიკისა და კანადის ნაკრებებთან თამაშისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ. გუნდში ბევრი ახალი მორაგბე გვყავს და ამიტომ ჯერ კიდევ არ ვართ ბოლომდე შეთამაშებულები, გვაქვს მცირეოდენი ხარვეზები, რომლების გამოსწორებაზეც უნდა ვიმუშაოთ.*

*კანა და ამერიკა რევანშისთვის ემზადებიან, ამიტომ იქ სათამაშოდ ყოველმხრივ მომზადებულნი უნდა ჩავიდეთ. ამ მატჩების შედეგები რეიტინგზეც აისახება. ვნახოთ, რა იქნება, ერთს კი ვიტყვი, რომ მოედანზე ჩვენ მხოლოდ მოსაგებად გავალთ“.*

**ირაკლი მირცხულავა,** საქართველოს ნაკრების დებიუტანტი:

*„ამ თამაშში, ცხადია, ფავორიტები ჩვენ ვართ. მაგრამ, მეტოქის არასათანადოდ შეფასება ჩვენთვის ხშირად ცუდად დასრულებულა. ამიტომ მატჩის ბოლო წუთამდე მაქსიმუმი უნდა გავილოთ წარმატების მისაღწევად.*

*მოხარული ვარ, რომ ნაკრებში ჩემი დებიუტი შედგება. იმედი მაქვს, ეროვნულ გუნდში ადგილის დამკვიდრებას შევძლებ“*

შეგახსენებთ, რომ მატჩი „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ შაბათს 17 საათზე დაიწყება.

### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: **დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), აქვსენტი გიორგაძე (ტულუზი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), ბექა შეყლაშვილი (დაქსი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი), რეზო ბელქანია (ლა სეინი), ირაკლი მირცხულავა (ტარბი), შალვა მამუკაშვილი (არმია).**

მეორე ხაზი: **ვახტანგ მაისურაძე (ალბი), გიორგი ჩხაიძე (სენ ჟუნიენი), ბაჩუკი გუჯარაიძე (ლოკომოტივი), დავით ჩიტიძე (არმია).**

მესამე ხაზი: **შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბინაძე, გიორგი თხილაიშვილი (ორივე-არმია), გივი ბერიშვილი, ზვიად მაისურაძე (ორივე-ლოკომოტივი), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი)**

**№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ბათუმი XV).**

**№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა ხმალაძე (ლელო), ლაშა მალაღურაძე (ვალანსი).**

**№12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), მერაბ შარიქაძე (ჰართპური).**

**№11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ლექსო გუგავა (ლელო), ალექსანდრე თოდუა (ალბი).**

**№15. ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი).**

### უკრაინის ნაკრები

**ტარას მარჩენკო, ოლექსანდრ პოლიანსკი, ვიტალი ორლოვი, ჯაბა მალაღურაძე, ზურაბ კიკაჩეიშვილი, მიროსლავ შულიაკი, ოლეგ კოსარევი, ვიტალი კრასნოდემსკი, მიკოლა დელეგირიევი, ვიაჩესლავ პონომარენკო, მაქსიმ კრავჩენკო, პავლო მასიუკოვი, ოლექსი ნოვოკრეშენცოვი, ოლეგ ლიტვინენკო, მიკოლა კირსანოვი, ევგენი ჩაიკა, ედუარდ ვერტილეცკი, ვიტალი კრამარენკო, ოლექსანდრ ტარასენკო, რუსლან რადჩუკი, ვიაჩესლავ კრასილნიკი, სერგეი მონასტირიოვი.**

### 2012 წელი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 5 | 3 | 0 | 2 | +33 | 16 |
| 2. რუმინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | +97 | 16 |
| 3. საქართველო | 5 | 3 | 0 | 2 | +70 | 15 |
| 4. რუსეთი | 5 | 3 | 0 | 2 | -47 | 14 |
| 5. პორტუგალია | 5 | 1 | 0 | 4 | -30 | 7 |
| 6. უკრაინა | 4 | 1 | 0 | 3 | -123 | 5 |

### ორი წლის ჯამი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 9 | 8 | 0 | 1 | +203 | 37 |
| 2. რუმინეთი | 10 | 6 | 0 | 4 | +194 | 32 |
| 3. ესპანეთი | 10 | 5 | 0 | 5 | -50 | 26 |
| 4. რუსეთი | 10 | 5 | 0 | 5 | -45 | 25 |
| 5. პორტუგალია | 10 | 4 | 0 | 6 | -15 | 21 |
| 6. უკრაინა | 9 | 1 | 0 | 8 | -287 | 5 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*



ბურთით მიხეილ ნარიაშვილი



ირაკლი აბუსერიძე შეტევის ორგანიზებას ხელმძღვანელობდა



გიორგი ჩხაიძე დერეფანში ვარჯიშისას



ილია მაისურაძე და მილტონ ჰეიგი

უცხოური სპორტი

ფორმულა 1




# ბარსელონა და ვალენსია მონაცვლეობით

## ესპანეთში ორი ეტაპი აღარ გაიმართება

2012 წლის სეზონი ბოლო იქნება, როცა ესპანეთი ფორმულა 1-ის ორ ეტაპს უმასპინძლებს. კატალონიის პრეზიდენტმა **არტურ მასმა** და ვალენსიას მთავრობის თავმჯდომარე **ალბერტო ფაბრამ** მიაღწიეს შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ ბარსელონასა და ვალენსიას ტრასები მონაცვლეობით უმასპინძლებენ ესპანეთის გრანპრის.

ბარსელონაში ფორმულა 1-ის რბოლები 2013, 2015, 2017 და 2019 წლებში ჩატარდება, ვალენსიაში - 2014, 2016 და 2018 წლებში.

■ ■ ■

საფრანგეთის ახალი მთავრობა დარწმუნებული არ არის იმაში, რომ ღირს მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში საფრანგეთის გრანპრის დაბრუნება. თუ წინა მთავრობა **ნიკოლა სარკოზის** ხელმძღვანელობით მთლიანად უჭერდა მხარს ქვეყანაში „სამეფო რბოლების" დაბრუნებას, ახალი პრეზიდენტის **ფრანსუა ოლანდის** გუნდს ჯერ არ დაუდასტურებია ამგვარი ინტერესი. ჩინოვნიკებს სურთ გადაამოწმონ ფინანსური გათვლები და მეტი ინფორმაცია მიაწოდონ ავტოდრომის ახლოს მდებარე დასახლებული პუნქტების მცხოვრებლებს ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობასთან მიღწეული შეთანხმების დეტალებზე.

უახლოეს დღეებში საფრანგეთის სპორტის სამინისტროს დელეგაცია **პოლ რიკარის** სახელობის ავტოდრომს ეწვევა მოლაპარაკებათა ახალი რაუნდის დასაწყებად. შეგახსენებთ, რომ პროექტის თანახმად, უნდა მოხდეს საფრანგეთისა და ბელგიის ეტაპების მონაცვლეობით ჩატარება.

ამბები

ფორმულა 1

### კუბიცას ახალი ოპერაცია

პოლონელმა პილოტმა **რობერტ კუბიცამ** მორიგი ოპერაცია გაიკეთა მარჯვენა ხელზე. იტალიის ქალაქ ვერონაში დოქტორმა **როჯერ ტესტონიმ** კუბიცას მარჯვენა იდაყვში ძვლების ნაწილი პროთეზებით შეცვალა.

*„ახლა მას ნორმალურად შეეძლება საჭის მართვა. ადრე ის ვერ ხრიდა მტევანს და საჭიდან ხელის აღება სჭირდებოდა მარცხენა მოსახვევის გასავლელად. ოპერაციის წინ ტესტების სერია გავიარეთ ფორმულა 1-ის სიმულატორზე და ოპერაციაც ამის შემდეგ დაიგეგმა"*, - განაცხადა ტესტონიმ.

კუბიცამ 2011 წლის თებერვალში, რალის დროს მიიღო მძიმე ტრავმები და ამის გამო უკვე მეორე სეზონს ტოვებს ფორმულა 1-ში.

ჰოკეი

### ჟირუ ფილადელფიას რჩეული

ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბის - „ფილადელფია ფლაიერზის" ფორვარდი **კლოდ ჟირუ** 2012 წელს ქალაქ ფილადელფიას საუკეთესო სპორტსმენი გახდა. ჯილდო, რომელიც უკვე გადასცეს ჰოკეისტს, 1961 წელს არის დაარსებული.

ჟირუ გახდა „ფლაიერზის" მესამე მოთამაშე, რომელსაც მსგავსი პატივი ხვდა წილად. ადრე ეს პრიზი დაიმსახურეს **ბობი კლარკმა** (1974) და **ბერნი პარენტმა** (1975).

### სლოვაკეთმა მწვრთნელი დაიტოვა

სლოვაკეთის ჰოკეის ფედერაციამ 2014 წლის სოჭის ოლიმპიადამდე გაუფორმა კონტრაქტი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ვლადიმირ ვუიტეკს**. შეგახსენებთ, რომ ამ სპეციალისტის ხელმძღვანელობით სლოვაკებმა მსოფლიოს 2012 წლის ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს.

ვუიტეკის ხელშეკრულება 2013 წლის ბოლომდე იყო ძალაში. ეს კონტრაქტი გაგრძელდებოდა იმ პირობით, თუ სლოვაკეთი საკვალიფიკაციოს გავლის გარეშე მოიპოვებდა ოლიმპიადაზე თამაშის უფლებას. ამისთვის გუნდი მეცხრე ადგილზე ქვემოთ არ უნდა ჩასულიყო საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგში. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სლოვაკეთი მეექვსეა ამ კლასიფიკაციაში.

### ჰემსკი გორგოლაჭებზე დადგება

„ედმონტონ ოილერზის" ფორვარდი **ალეშ ჰემსკი** მონაწილეობას მიიღებს გორგოლაჭებიანი ციგურებით მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც ამ დღეებში გერმანიის ქალაქ ინგოლშტადტში მიმდინარეობს. 28 წლის ჰოკეისტი უკვე შეიყვანეს ჩეხეთის ნაკრების განაცხადში, რომელსაც ალეშის მამა - **პეტრ ჰემსკი** ავარჯიშებს. ედმონტონელს ნება დართეს გერმანიის წინააღმდეგ ითამაშოს მეოთხედფინალი.

მაისში ჰემსკი შაიბის ჰოკეიში მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

ჩეხეთის ნაკრები მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია გორგოლაჭებიან ჰოკეიში.

ხელბურთი

### ჰოლანდიამ ევროპა იუარა

ევროპის ხელბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ჰოლანდიამ უარი განაცხადა ქალთა შორის ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ორგანიზებაზე.

ჰოლანდიურმა მხარემ ბოლო მომენტამდე გადადო უარის გამოცხადება და ეს გააკეთა როტერდამში დანიშნული ფინალური ეტაპის წილისყრამდე ორი დღით ადრე. ამის გამო, ევროპის ფედერაციის ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ დაიწყო მოლაპარაკებები იმ ქვეყნებთან, რომლებსაც შეუძლიათ მოკლე დროში ჩემპიონატის ორგანიზება.

ჰოლანდიაში ჩემპიონატი 4-16 დეკემბერს უნდა გამართულიყო, ფინალური ეტაპის წილისყრა კი 6 ივნისს იყო დანიშნული.

როგორც იტყობინებიან, ჰოლანდიამ პირველად არ დაალალატა სახელბურთო სამყარო. ამ ქვეყანას ქალთა შორის მსოფლიოს 2003 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა მიანდეს, მაგრამ შემდეგ უარი თქვა და ჩემპიონატის ორგანიზებამ ხორვატიას მოუწია.

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# ისევე, როგორც დასავლეთში

## ბოსტონმა ოკლაჰომას მიჰბაძა და მაიამიში მოგებით საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა

აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალური სერია დასავლეთის ზუსტი ასლია. პირველ ოთხ მატჩში საშინაო მოგებების გაცვლის შემდეგ, „ბოსტონმა" მაიამიში მეხუთე მატჩი ტრიუმფით დაასრულა და სერიაში 3:2 დაწინაურდა.

**რონდოს, ალენისა** და **პირსის** ტრიოს მიერ სროლების საშინელი რეალიზაციის, ნაგებული ფარისა და „მაიამიში" **კრის ბოშის** დაბრუნების მიუხედავად, „ბოსტონმა" სტუმრად გამარჯვება გამოგლიჯა „ჰიტს", ძირითადად, დაცვაში ბრწყინვალე თამაშის წყალობით.

შესაბამისად, სტუმრებმა პატარა სასწაული ჩაიდინეს. მათ დაცვას მხოლოდ მატჩის პირველ ნაწილში გაუჭირდა, როცა „მაიამიმ" 13-ქულიან უპირატესობას მიაღწია. პირველი 31 ქულიდან 29 თავის ანგარიშზე ჩაიწერა „ჰიტის" დიდმა ტრიომ". ყველაზე საოცარი ის არის, რომ ასეთი სხვაობის მიუხედავად, „ბოსტონის" სამწვრთნელო შტაბმა ტაიმ-აუტი არ აიღო.

**დოკ რივერსი** მიჩვეულია, რომ ალენი მატჩის დიდი ნაწილი ჩრდილში იმყოფება, პირსს შეიძლება სროლა არ წაუვიდეს, რონდო კი ხანდახან ისეთ სიტუაციებში ცდება, როცა ბურთს სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა ფარში ჩავარდეს. როგორც გითხარით, ამ ტრიომ კატასტროფული მაჩვენებლით დაასრულა შეხვედრა - 43-დან 11 ბურთი ჩააგდო.

რის ხარჯზეა შესაძლებელი ასეთ დროს მატჩის მოგება? გამოცდილების ხარჯზე. იმ დროს, როცა სხვა ლიდერებს თამაში არ მისდიოდათ, 36 წლის **კევინ გარნეტმა** იტვირთა შეტევების მთელი სიმძიმე და არც საკუთარ ნახევარზე ივიწყებდა „შავი" სამუშაოს შესრულებას.

დანარჩენი „ბოსტონი" მესამე მეოთხედის ბოლოსკენ გამოცოცხლდა და **სტიმსმას, პიეტრუსისა** და **პირსის** აქტიურობის წყალობით 6-ქულიანი ჩამორჩენა 5-ქულიან უპირატესობად აქცია. საინტერესოა, რომ „მაიამიმ" 216 წამის განმავლობაში ქულა ვერ აიღო: ვერ ჩააგდო **ბასის** ტექნიკური პერსონალურისთვის მიღებული საჯარიმო და გააფუჭა ზედიზედ ცხრა შეტევა. რამდენიმე შეცდომის შემდეგ, კრის ბოში მოედანზე აღარ დაბრუნებულა.

აქ კვლავ მოჰკიდა საქმეს ხელი ბოშის გარეშე დარჩენილმა „დიდმა ტრიომ". **ჯეიმსმა** და **უეიდმა** თავისი გუნდის 18 ქულიდან 15 საკუთარ ანგარიშზე მიითვალეს. ეს სპურტი უეიდის ბრწყინვალე სლალომით დასრულდა - 78:72 „მაიამის" სასარგებლოდ.

იქვე დუეინმა ბასის წინააღმდეგ ულამაზესი დაფარება შეასრულა, თუმცა მის ბლოკშოტს მომენტალურად მოჰყვა პიეტრუსის სამქულიანი რონდოს პასის შემდეგ. დაახლოებით სამი წუთის შემდეგ, ფრანგი ისევ დატოვეს კუთხეში უმეთვალყურეოდ და მან მორიგი შორეული ტყორცნა ჩააგდო, რითაც იმ საღამოს რეი ალენის მოვალეობები აიღო თავის თავზე.

ეს მატჩის ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი აღმოჩნდა, მეორე ასეთი მომენტი იყო პირსის ფანტასტიკური სამქულიანი სირენამდე 52.9 წამით ადრე. „სელტიქსის" უპირატესობა ოთხ ქულამდე გაიზარდა. ამის შემდეგ ფლორიდელებმა რამდენჯერმე შეამცირეს სხვაობა ორ ქულამდე, 8.8 წამით ადრე კი ბოლო შეტევის უფლებაც შეიძლებოდა ჰქონოდათ, მაგრამ **ჩელმერსმა** გარნეტის წინააღმდეგ პერსონალური მიიღო და კევინმა ორი ზუსტი საჯარიმოთი მშვიდად დააფიქსირა საბოლოო ანგარიში.

**მაიამი–ბოსტონი 90:94**

**24:16, 18:24, 18:25, 30:29**

**მ:** ჯეიმსი (30+13 მოხსნა), უეიდი (27+6 მოხსნა+3 პასი), ბოში (9+7 მოხსნა), ჩელმერსი (9+3 პასი), ბატიე (5), ჯონსი (4), ჰასლემი (3+14 მოხსნა), მილერი (3).

**ბ:** გარნეტი (26+11 მოხსნა+2 დაფარება), პირსი (19+4 პასი), ალენი (13+7 მოხსნა), პიეტრუსი (13), ბასი (10), რონდო (7+13 პასი+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), დულინგი (3), სტიმსმა (3).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (39/40.7), სამქულიანები (26.9/40), საჯარიმოები (76/81.5).

**სერია:** 2-3



პირსის გადამწყვეტი სამქულიანი

კრივი

# ვიტალიმ წასვლა დანიშნა

## უფროსი კლიჩკო პოლიტიკაში წასვლამდე კიევში იჩხუბებს

სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონმა, უკრაინელმა **ვიტალი კლიჩკომ** მორიგი ბრძოლა დანიშნა. 40 წლის მოკრივე პირველ სექტემბერს, კიევის ოლიმპიურ სტადიონზე გავა რინგზე. უკრაინელის მეტოქე იქნება სირიული წარმოშობის გერმანელი **მანუელ ჩარი**.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ ჩარის გარდა, უფროს კლიჩკოსთან ბრძოლაზე პრეტენზიას აცხადებდნენ კანადელი **ბერმეინ სტივერნი**, კუბელი **ლუის ორტისი**, პოლონელი **მარიუშ ვახი**, ამერიკელები **სეტ მიტჩელი** და **ფრანკლინ ლოურენსი**.

ვიტალი კლიჩკო კარიერაში მეორე ბრძოლას ჩაატარებს სამშობლოში. პირველად უკრაინაში მან 1998 წელს იჩხუბა, როცა პირველ რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო იტალიელი **ფრანჩესკო სპინელი**.

როგორც ვარაუდობენ, ჩართან ბრძოლა ბოლო იქნება ვიტალი კლიჩკოს კარიერაში. ამის შემდეგ ის პოლიტიკური კარიერის გააქტიურებას აპირებს, კერძოდ, დაგეგმილი აქვს მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში, რომელიც 28 ოქტომბერს გაიმართება.

40 წლის ვიტალის კარიერის განმავლობაში 46 ბრძოლა აქვს ჩატარებული, აქედან უკრაინელმა მოიგო 44 (40 - ნოკაუტით) და ორჯერ დამარცხდა. ბოლო ბრძოლა კლიჩკომ 2012 წლის 18 თებერვალს ბრიტანელი **დერეკ ჩისორას** წინააღმდეგ ჩაატარა და 12 რაუნდის შემდეგ მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გაიმარჯვა.

ჰოკეი

# რუსეთმა ლეგენდა დაკარგა

## გარდაიცვალა ლეგენდარული ხუთეულის წევრი

53 წლის ასაკში გარდაიცვალა სსრკ-ის ნაკრებში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ვლადიმერ კრუტოვი**. ლეგენდარული ფორვარდი 3 ივნისს, შინაგანი სისხლჩაქცევით საავადმყოფოში მოათავსეს. სამი დღის განმავლობაში ჰოკეისტი მძიმე მდგომარეობაში იყო და ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

კრუტოვი კარიერის დიდი ნაწილი (1977-89 წლები) მოსკოვის ცსკა-ში თამაშობდა. ამ დროის განმავლობაში მან 439 მატჩი ჩაატარა და 288 გოლი გაიტანა. ცსკა-სა და სსრკ-ის ნაკრებში კრუტოვი ლეგენდარულ ხუთეულში თამაშობდა **იგორ ლარიონოვთან, სერგეი მაკაროვთან, ვიაჩესლავ ფეტისოვთან** და **ალექსეი კასატონოვთან** ერთად.

ცსკა-ს შემდეგ, ფორვარდი NHL-ში „ვანკუვერ კენაქსის" შემადგენლობაში აღმოჩნდა. შემდეგ იყო შვეიცარიული „ციურიხი" და შვედური კლუბები - „ესტერსუნდი" და „ბრუნფლი". კარიერის დასრულების შემდეგ კრუტოვმა სამწვრთნელო მოღვაწეობა დაიწყო და 2001-02 წლებში ცსკა-ს ავარჯიშებდა.

სსრკ-ის ნაკრებში კრუტოვმა ოქროს მედლები მოიგო სარაევოსა (1984) და კალგარის (1988) ოლიმპიადებზე, ვერცხლი დაიმსახურა 1980 წელს, ლეიკ-პლესიდის თამაშებზე. 1981 წელს მოიგო კანადის თასი, გარდა ამისა, ხუთჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1981-83, 1986, 1989).

2010 წელს ვლადიმერ კრუტოვი ჰოკეის საერთაშორისო დიდების დარბაზში შეიყვანეს.



ლეგენდარული ხუთეული (მარცხნიდან): მაკაროვი, კასატონოვი, ლარიონოვი, ფეტისოვი და კრუტოვი

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი. როლან გაროსი

# ნადალის იუბილე

## მორიგი სამსეტიანი მოგების შემდეგ, რაფას როლან გაროსზე 50 გამარჯვება დაუგროვდა



რაფაელ ნადალი

როლანგაროსზემეოთხედფინალური ეტაპი დასრულდა. გუშინდელ დღემდე მამაკაცთა ბადეში სამი ისეთი ჩოგბურთელი იყო შემორჩენილი, ვინც წინა ოთხი ეტაპი სეტის წაუგებლად გაიარა. სამივე ესპანელი იყო: **რაფაელ ნადალი, ნიკოლას ალმაგრო** და **დავიდ ფერერი**. პირველ ორს ერთმანეთში მოუწია ურთიერთობის გარკვევამ.

გემახსოვრებათ, რომ წინა რაუნდის მატჩში ნადალმა დაუჯერებლად კარგად ითამაშა არგენტინელი **ხუან მონაკოს** წინააღმდეგ - სამ სეტში მხოლოდ ორი გეიმი წააგო. ალმაგროსთან ასეთი გმირობა წესით არ უნდა გამოსულიყო. ნიკოლასმა გასულ თვეში ასევე სეტის წაუგებლად აიღო მთავარი პრიზი ნიცაში, წელს ის თავის საუკეთესო ჩოგბურთს თამაშობს და ამიტომაც იყო ვარაუდი იმის შესახებ, რომ ნადალს იოლი გასეირნება არ ექნებოდა.

პირველმა სეტმა გაამყარა ეს მოსაზრება. მთელი პირველი პარტიის განმავლობაში ნადალს ერთადერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ საქმე მაინც ტაი-ბრეიკამდე მივიდა და იქ შეძლო რაფამ დომინირება. მართალია, მე-13 გეიმში 5:1-დან მინიმუმამდე შეამცირებინა სხვაობა ალმაგროს, მაგრამ მაინც მოიგო - 7:4.

მომდევნო ორ პარტიაშიც შეინიშნებოდა ბრძოლა, ალმაგრო არ ნებდებოდა, მაგრამ ნადალმაც მოუმატა თამაშს, რაც მეორე სეტში ორი ბრეიკის ალებაში გამოიხატა - მეოთხე და მერვე გეიმებში. საბოლოოდ, 2 საათი და 46 წუთის შემდეგ ასეთი ანგარიში მივიღეთ - 7:6(4), 6:2, 6:3.

მთელი მატჩის განმავლობაში ალმაგროს მხოლოდ ოთხი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა. ნადალმა ისევ არ წააგო სეტი. უფრო მეტიც, განვლილ ხუთ მატჩში რაფამ ერთადერთხელ წააგო საკუთარი მოწოდება, ჯამში კი 17-დან 16 ბრეიკ-პოინტი მოიგერია.

აღსანიშნავია, რომ გუშინდელი გამარჯვება ნადალისთვის საიუბილეო იყო როლან გაროსზე. მას ამ ტურნირზე 50 მოგება და მხოლოდ ერთი წაგება აქვს. რაფას ორი მოგება აშორებს საფრანგეთის ღიას მეშვიდე ტიტულამდე, რაც მას აბსოლუტური რეკორდსმენის სტატუსს მოუტანს.

■ ■ ■

ნადალი ერთადერთია, ვინც სეტის წაუგებლად მიიწევს წინ, რადგან მეორე ნახევარფინალში ერთი პარტია დათმო დავიდ ფერერმა. ესპანელს სამი საათი და 45 წუთი დასჭირდა **ენდი მიურეის** დასამარცხებლად და კარიერაში პირველად საფრანგეთის ღიას ნახევარფინალში გასასვლელად. ეს მოსალოდნელი იყო. იმიტომ არა, რომ ფერერი მიურეიზე მაღალი კლასის მოთამაშეა, უბრალოდ, ბრიტანელი მთელი ტურნირი ზურგის ტრავმით თამაშობდა და ფერერთან მატჩში ამან ყველაზე მძაფრად იჩინა თავი.

წინა მატჩებში მიურეის ერთი ტრადიცია ჩამოუყალიბდა - აგებდა პირველ სეტს და შემდეგ საბოლოოდ იღებდა ხელთ ინიციატივას. ასე დაიწყო ყველაფერი გუშინაც. ფერერმა აიღო საწყისი პარტია (6:4), მაგრამ დათმო მეორე (6:7). თუმცა ტრადიცია აღარ გაგრძელებულა. მომდევნო ორ სეტში ბრიტანელს ბრეიკი აღარ გაუკეთებია, ფერერმა კი სამჯერ შეძლო მეტოქის მოწოდების აღება - მესამეში ერთი და მეოთხეში ორი.

ტრავმის გარდა, ენდი 59-მა უნებლიე შეცდომამ დაალალატა. ამ ყველაფერმა კი ის გამოიწვია, რომ შეწყდა ბრიტანელის სერია, რომლის დროსაც ის „დიდი სლემის" ტურნირებზე ზედიზედ ხუთჯერ გავიდა ნახევარფინალში.

**1/4 ფინალი**

**დავიდ ფერერი (ესპ, 6)**-ენდი მიურეი (ბრიტ, 4) 6:4, 6:7(3), 6:3, 6:2; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 12) 7:6(4), 6:2, 6:3.

**1/2 ფინალი**

ჯოკოვიჩი (1)-ფედერერი (3); ფერერი (6)-ნადალი (2).

# მარია ისევ ფავორიტია

## შარაპოვას ერთი ნაბიჯი აკლია კლასიფიკაციის პირველ საფეხურამდე



მარია შარაპოვა

წინა წრეში ჩეხ **კლარა ზაკოპალოვასთან** მატჩში წვალების შემდეგ (12 ორმაგი შეცდომა და ცხრაჯერ წაგებული საკუთარი მოწოდება), ბევრს ეგონა, რომ **მარია შარაპოვას** მორიგი რთული ბარიერი ელოდა ესტონელი **კაია კანეპის** სახით.

ცნობილია, რომ ესტონელი ჩოგბურთელისთვის გრუნტი - საყვარელი საფარია. 2001 წელს კანეპიმ იუნიორთა როლან გაროსი მოიგო, როცა ფინალში **სვეტლანა კუზნეცოვა** დაამარცხა. WTA-ის ტურში მოგებული სამი ტურნირიდან ორი გრუნტის კორტზე მოდის. წელს კაიამ ამავე საფარზე ეშტორილში გაიმარჯვა. თუმცა წელს გრუნტი შარაპოვასთვისაც მოხერხებული გახდა. 25 წლის რუსმა ამ სეზონში აღნიშნულ საფარზე 18-დან 17 მატჩი მოიგო.

ამჯერად, მარიას საკუთარ მოწოდებაზე ყველაფერი მეტ-ნაკლებად წესრიგში ჰქონდა, მეტოქის გეიმებზე კი შესანიშნავად ითამაშა - შვიდი ბრეიკი გააკეთა და კანეპის მეორე მოწოდებაზე ქულების 74 პროცენტი აიღო.

შეხვედრის დებიუტში ორივე ჩოგბურთელი ზედმეტად ნერვიულობდა. რუსმა თავიდანვე გააკეთა ბრეიკი - ისარგებლა კანეპის ორმაგი შეცდომით, თუმცა შემდეგ გეიმში მარიამ დაუშვა ორი ორმაგი შეცდომა და ესტონელმა ანგარიში გაათანაბრა. პირველ პარტიაში შარაპოვამ კიდევ ორი ბრეიკი გააკეთა და იოლად დაწინაურდა სეტებს შორის.

მეორე პარტია რუსისთვის არც ისე კარგად დაიწყო. კანეპიმ ზედიზედ ორი გეიმი აიღო. მაგრამ ეს ბალტიისპირელის ბოლო წარმატება აღმოჩნდა. მარიამ მაშინვე დაიბრუნა ინიციატივა და ზედიზედ ხუთი გეიმის აღების შემდეგ, მატჩზე ჩასაწოდებლად მოემზადა. აქ შარაპოვამ მეტოქისთვის მცირე საჩუქრის გაკეთება გადაწყვიტა - „მშრალი" ანგარიშით წააგო საკუთარი გეიმი, თუმცა შემდეგ მიღებაზე ისევ ბრწყინვალედ ითამაშა - 6:2, 6:3 74-წუთიანი ბრძოლის შემდეგ.

ამ მოგებით შარაპოვა კარიერაში მესამედ გავიდა როლან გაროსის ნახევარფინალში, თუმცა უფრო შორს ჯერ არ გაუღწევია. მომავალ ნახევარფინალს მისთვის ორმაგი დატვირთვა ექნება - მოგების შემთხვევაში ნავსს გატეხავს და პირველად გავა საფრანგეთის ღიას ფინალში, თან ეს მას გარანტირებულად მოუტანს მსოფლიოს პირველი ჩოგანის სტატუსს.

■ ■ ■

ნახევარფინალში შარაპოვა ჩეხ **პეტრა კვიტოვას** შეხვდება, რომელმაც გუშინ დაასრულა ყაზახი **იაროსლავა შვედოვას** ზღაპარი. ამ უკანასკნელს შეეძლო გამხდარიყო მესამე ჩოგბურთელი ისტორიაში, ვინც კვალიფიკაციიდან მოხვდა „დიდი სლემის" ტურნირის ნახევარფინალში. აქამდე ასეთი რამ **ალექსანდრა სტივენსონმა** (1999 წლის უიმბლდონი) და **კრისტინ დორიმ** გააკეთეს (1978 წლის ავსტრალიის ღია).

შვედოვამ ამ ამოცანის შესრულება კარგად დაიწყო - აიღო საწყისი სამი გეიმი და კვიტოვას გააქტიურების მიუხედავად, პირველი პარტია 6:3 მოიგო. მეორეში ჩეხი ფლობდა სრულ უპირატესობას - 6:2 გაიმარჯვა. გადამწყვეტ სეტში მოვლენები საინტერესოდ განვითარდა. 2:0-ის შემდეგ კვიტოვას მორიგი ჩავარდნა დაეწყო და შვედოვას ზედიზედ ოთხი გეიმი მოაგებინა. ჩეხი თითქოს განწირული ჩანდა, მაგრამ დროზე მოეგო გონს, მანაც ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო და სამსეტიანი მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 3:6, 6:2, 6:4.

წლევანდელი ავსტრალიის ღიას შემდეგ, კვიტოვამ პირველად მოიგო ზედიზედ ხუთი მატჩი. ჩეხი პირველად გავიდა საფრანგეთის ღიას ნახევარფინალში, „დიდი სლემის" ბოლო ოთხ ტურნირზე კი ასეთი რამ მესამედ გააკეთა.

**1/4 ფინალი**

**პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 4)**-იაროსლავა შვედოვა (ყაზ) 3:6, 6:2, 6:4; **მარია შარაპოვა (რუს, 2)**-კაია კანეპი (ესტ) 6:2, 6:3.

**1/2 ფინალი**

სტოსური (6)-ერანი (21); კვიტოვა (4)-შარაპოვა (2).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2013**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ბოსნია-სან მარინო | 3:1 |
| შვედეთი-მალტა | 4:0 |
| პორტუგალია-ალბანეთი | 3:1 |

**მუნდიალი 2014**

**ოკეანეთი**

| | |
|---|---|
| პ.ა. გვინეა-ფიჯი | 1:1 |
| ახ. ზელანდია-სოლომონის კ-ები | 1:1 |

**იტალია**

**სერია A/B**

| | |
|---|---|
| სამპდორია-ვარეზე | 3:2 |

**ესპანეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ერკულესი-ალკორკონი | 1:1 |
| კორდობა-ვალიადოლიდი | 0:0 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| სპარტაკსი-მეტალურგსი | 2:2 |

**სლოვენია**

**პლეი-ოფი**

| | |
|---|---|
| [illegible]-ტრიგლავი | 4:0 |

[illegible]

| | |
|---|---|
| ნაციონალი-ლიბერტადი | 1:2 |

**იაპონიის თასი**

| | |
|---|---|
| სერეზო-კავასაკი | 3:2 |
| ჰიროშიმა-ვეგალტა | 1:3 |
| საგანი-ურავა | 2:1 |
| საპორო-შიმიცუ | 0:4 |
| ომიია-კობე | 1:0 |
| ნიიგატა-კაშიმა | 0:1 |

**კალათბურთი**

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| შოლე-ლე მანი | 75:71 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ულმი-ბამბერგი | 70:86 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-რეალი | 81:80 |

● TV პროგრამა

**7 ივნისი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთ ამერიკა. არგენტინა-ეკვადორი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-დორტმუნდი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. მილანი-კატანია.
**16:00** საფრანგეთი ჩემპიონატი. პსჟ-დიჟონი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ნიურნბერგი.
**21:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-მალიორკა.
**23:00** პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
**00:30** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-იუვენტუსი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ოკლაჰომა-სან ანტონიო. VI მატჩი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვენლო-ეინდჰოვენი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. შოტლანდია-საფრანგეთი.
**18:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ იუნ.
**22:00** NBA Action.
**22:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ოკლაჰომა-სან ანტონიო. VI მატჩი.
**00:45** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
**04:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ბოსტონი-მაიამი. VI მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ბოსტონი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ბადმინტონი. კაცები. ჩინეთი.
**16:30** სპორტ-NEWS.
**17:00** რაგბი. ჰეინეკენის თასი. ლესტერი-კლერმონი.
**19:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ატლეტიკო-ჰანოვერი.
**21:00** რაგბი. ჰეინეკენის თასი. გლოსტერი-კონახტი.
**23:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჰანოვერი-ატლეტიკო.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 17 | 30 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 20 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 18 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 18 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 19 | 26 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 13 | 28 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 17 | 31 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 9 | 20 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 14 | 26 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 11 | 18 | (მცირე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0394 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6315 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5261 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9758 |

● ჩოგბურთი. ფედერაციის თასი

# 2013 დაწყვილებულია

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ პარიზში ჩაატარა 2013 წლის ფედერაციის თასის პირველი რაუნდის წილისყრა. ქალთა შორის რვა საუკეთესო ნაკრები მეოთხედფინალში ასე დაწყვილდა:

**ჩეხეთი-ავსტრალია**
**იტალია-აშშ**
**რუსეთი-იაპონია**
**სერბეთი-სლოვაკეთი**

წყვილებში პირველად მითითებულია მატჩების მასპინძლები. ნახევარფინალში ჩეხეთსა და ავსტრალიას შორის გამარჯვებული იტალიასა და აშშ-ს შორის მოგებულს შეხვდება. მეორე ნახევარფინალურ წყვილს დააკომპლექტებენ რუსეთი-იაპონიისა და სერბეთი-სლოვაკეთის დუეტების გამარჯვებულები.

2013 წლის ფედერაციის თასის ჩატარების თარიღებია: მეოთხედფინალი - 9-10 თებერვალი, ნახევარფინალი - 20-21 აპრილი, ფინალი - 2-3 ნოემბერი.

შეგახსენებთ, 2012 წლის გათამაშების ფინალი 3-4 ნოემბერს გაიმართება. პრაღაში მოქმედი ჩემპიონი ჩეხეთი სერბეთს უმასპინძლებს.



● ამბები

**მძლეოსნობა**

## რობლესი ლონდონში იქნება

110 მეტრზე თარჯრბენში ოლიმპიური ჩემპიონი, კუბელი **დაირონ რობლესი** ვერ ასწრებს ნიუ იორკში გასამართი „ბრილიანტის ლიგის" ეტაპისთვის გამოჯანმრთელებას. მას ფეხის ძველი ტრავმა გაუმიზეზდა, რის გამოც მსოფლიოს რეკორდსმენს ერთკვირიანი მკურნალობა მოუწევს.

ამასთან, კუბელის მწვრთნელმა განაცხადა, რომ რობლესს არ ემუქრება ლონდონის ოლიმპიადის გამოტოვება.

**კალათბურთი**

## დალასი საბერძნეთისკენ იყურება

საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის" მცველი **ეისი ლოუ** ახალ სეზონში, შესაძლოა, NBA-ში დაბრუნდეს. როგორც ევროპული პრესა წერს, ამ კალათბურთელის გადაბირებით „დალას მავერიქსია" დაინტერესებული.

ლოუ NBA-ში „ატლანტას", „ჩიკაგოს", „გოლდენ სტეიტის", „შარლოტისა" და „მემფისის" ღირსებას იცავდა.

# გერმანიის ეროვნული ნაკრები

გერმანიის საფეხბურთო კავშირი
www.dbf.de/
ტიტული: 3
(1972, 1980, 1996)

**მატჩები ევრო 2012-ზე**

**VS პორტუგალია**
9 ივნისი. ლვოვი. 22:45
**VS ჰოლანდია**
13 ივნისი. ხარკოვი. 22:45
**VS დანია**
17 ივნისი. ლვოვი. 22:45

**საუკეთესო შედეგი მუნდიალზე:** ჩემპიონი (1954, 1974, 1990)
**საუკეთესო შედეგი ევროზე:** ჩემპიონი (1972, 1980, 1996)
**ყველაზე მეტი გოლი:** გერდ მიულერი - 68 (1966-1974)
**ყველაზე მეტი მატჩი:** ლოთარ მათეუსი - 150 (1980-2000)
**ფიფას რეიტინგი:** 2





**ევროპისა და მსოფლიოს 3-3-გზის გამარჯვებული გერმანია უდავოდ ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია - დიდებულად დაბალანსებული გუნდი, შესანიშნავი მწვრთნელით. საკვალიფიკაციო ეტაპზე მოიგო 10-დან 10 მატჩი. დიდი მნიშვნელობა ექნება „ბაიერნის“ მოთამაშეთა ფსიქოლოგიურ განწყობას ჩემპიონთა ლიგის ფინალის წაგების შემდეგ.**

**ვარსკვლავი:** ბასტიან შვაინშტაიგერი და საქმეც ამაშია - ბასტიანი ვერ არის საუცხოო ფორმაში.

**სუსტი წერტილი:** დაცვის ცენტრი პრობლემურია - მერტეზაკერს მძიმე პირველი სეზონი ჰქონდა „არსენალში“.

**მწვრთნელი:** იოახიმ ლიოვმა კლინსმანი 2006 წელს შეცვალა. თამაშობს კლოზეს უკან განლაგებული სამი შემტევი ნახევარმცველით.

## ფეხბურთელთა სტატისტიკა საკვალიფიკაციო ტურნირში

ნოიერი (10 თამაში), ლამი (10), მიულერი (10, 3), ბადშტუბერი (9, 1), პოდოლსკი (9, 3), იოზილი (9, 5), კროოსი (8), ხედირა (8), მერტეზაკერი (7), გომესი (6, 6), კლოზე (6, 9), კაკაუ (5), შვაინშტაიგერი (5, 1), შიურლე (5, 3), ჰუმელსი (4), გიოტცე (4, 1), ვესტერმანი (4, 1), ჰიოვედესი (4), აოგო (3), მარინი (3), როისი (2), ბოატენგი (2), ტრეში (1), გიუნდოგანი (1), შმელცერი (1), ფრიდრიხი (1), ჰოლტბი (1), იანსენი (1), რიტერი (1).



1. მანუელ ნოიერი
მეკარე. ბაიერნი
27.03.1986
193 სმ, 93 კგ
26 თამაში



3. მარსელ შმელცერი
მცვ. დორტმუნდი
22.01.1988
181 სმ, 74 კგ
6 თამაში



14. ჰოლგერ ბადშტუბერი
მცველი. ბაიერნი
13.03.1989
189 სმ, 78 კგ
20 თამაში, 1 გოლი



20. ჟერომ ბოატენგი
მცველი. ბაიერნი
03.09.1988
190 სმ, 79 კგ
21 თამაში



7. ბასტიან შვაინშტაიგერი
ნახ. ბაიერნი
01.08.1984
183 სმ, 79 კგ
90 თამაში, 23 გოლი



13. თომას მიულერი
ნახ. ბაიერნი
13.09.1989
186 სმ, 80 კგ
27 თამაში, 10 გოლი



19. მარიო გიოტცე
ნახ. დორტმუნდი
03.06.1992
176 სმ, 65 კგ
14 თამაში, 2 გოლი



11. მიროსლავ კლოზე
თავდ. ლაციო (იტ)
09.06.1978
184 სმ, 77 კგ
116 თამ, 63 გოლი



12. ტიმ ვიზე
მეკარე. ვერდერი
17.12.1981
193 სმ, 89 კგ
6 თამაში



4. ბენედიქტ ჰიოვედესი
მცველი. შალკე
29.02.1988
187 სმ, 80 კგ
8 თამაში



16. ფილიპ ლამი (კაპ)
მცველი. ბაიერნი
11.11.1983
170 სმ, 62 კგ
86 თამაში, 4 გოლი



2. ილქაი გიუნდოგანი
ნახ. დორტმუნდი
24.10.1990
180 სმ, 78 კგ
2 თამაში



8. მესუთ იოზილი
ნახ. რეალი (ესპ)
15.10.1988
182 სმ, 73 კგ
33 თამაში, 8 გოლი



15. ლარს ბენდერი
ნახ. ლევერკუზენი
27.04.1989
183 სმ, 70 კგ
6 თამაში



21. მარკო როისი
ნახ. გლადბახი
31.05.1989
180 სმ, 70 კგ
6 თამაში, 1 გოლი



23. მარიო გომესი
თავდ. ბაიერნი
10.07.1985
189 სმ, 84 კგ
52 თამაში, 22 გოლი



22. რონ-რობერტ ცილერი
მეკარე. ჰანოვერი
12.02.1989
188 სმ, 83 კგ



5. მატს ჰუმელსი
მცვ. დორტმუნდი
16.12.1988
191 სმ, 90 კგ
14 თამაში, 1 გოლი



17. პერ მერტეზაკერი
მცვ. არსენალი (ინგ)
29.09.1984
198 სმ, 90 კგ
81 თამაში, 1 გოლი



6. სამი ხედირა
ნახ. რეალი (ესპ)
04.04.1987
189 სმ, 83 კგ
27 თამაში, 1 გოლი



9. ანდრე შიურლე
ნახ. ლევერკუზენი
06.11.1990
184 სმ, 71 კგ
14 თამაში, 7 გოლი



18. ტონი კროოსი
ნახ. ბაიერნი
04.01.1990
182 სმ, 72 კგ
26 თამაში, 2 გოლი



10. ლუკას პოდოლსკი
თავდ. კიოლნი
04.06.1985
182 სმ, 72 კგ
97 თამაში, 43 გოლი



იოახიმ ლიოვი
მწვრთნელი
03.02.1960

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com**
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608